გზამკვლევი: ისტორიაზე დაფუძნებული პროპაგანდა

ისტორიაზე დაფუძნებული პროპაგანდის შესწავლა სომხეთში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში

რედაქტორი:
პროფ. გიორგი კიკნაძე

გზამკვლევის შედგენაში
მონაწილეობდნენ:

ნანა ციხისთავი
მანანა შეყილაძე
ნათია ფირცხალავა
ეკატერინე მაისურაძე
ამირან ჯამაგიძე
ჯაბა ლაბაძე
ლიკა კაციტაძე
ივეტა გოგავა
თამარ უზუნაშვილი
ირაკლი ხვადაგიანი
რუსუდან კობახიძე

შესავალი

აღნიშნული პუბლიკაცია განკუთვნილია ისტორიის, სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისათვის, ასევე საუნივერსიტეტო მოხმარებისათვის. მასში განხილულია საკითხები, რომლებიც არაა ჩამოყალიბებული ცალკე აღებულ კვლევებში და ასევე ისტორიისა და სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში. ნაშრომში აკუმულირებულია ცალკეული ავტორების კვლევები და სტატიები ისტორიაზე დაფუძნებულ პროპაგანდაზე. ასევე პირველად ხდება გაკვეთილების მოდულების დემონსტრირება პედაგოგებისათვის აღნიშნულ თემაზე. იმედია, ეს გზამკვლევი წაადგებათ სპეციალისტებსა და ისტორიით დაინტერესებულ საზოგადოებას.

პროპაგანდა დიდი ხანია კაცობრიობის ისტორიის ნაწილია. სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმები, ეკლესია და პოლიტიკური პარტიები მიმართავდნენ პროპაგანდას, რათა მიეწოდებინათ თავიანთი ღირებულებები მსოფლიოსათვის. მათი მიზანი იყო, შეექმნათ ერთიანი საზოგადოება ან დაემკვიდრებინათ თავიანთი ხედვები. რა სახის პროპაგანდას არ შეხვდებოდით. მაგალითად დაწყებული კათოლიკე მისიონერებიდან, რომლებსაც რწმენის პროპაგანდა ევალებოდათ და დამთავრებული პლაკატებით, რომლებიც უხსნიდნენ პირველი მსოფლიო ომის დროს სანგრებში მყოფ ჯარისკაცებს, თუ რატომ იყო „ტკბილი და ღირსეული საქციელი სამშობლოსთვის სიკვდილი" (dulce et decorum pro patria mori).

საბჭოთა პროპაგანდას, ახალი სამყაროს შექმნას, მასში ახალი ადამიანის და მთლიანობაში – ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ისტორიაში. საბჭოელებმა გამოიყენეს ყველა შესაძლო საშუალება, რათა შესაძლო რეალობა უფრო მიეახლოვებინათ მათ იდეალებთან. ქვეყანა, რომელიც მათ ააშენეს, პიტერ კენეზის სიტყვებით რომ ვთქვათ, იყო ტიპიური „პროპაგანდისტული სახელმწიფო". პროპაგანდამ შეაღწია საბჭოთა ერების ყოველდღიური არსებობის ყველა ასპექტში. სიმღერები, რომლებსაც ბავშვები მღეროდნენ საბავშვო ბაღებში, ფილმები, რომელთა სანახავად მოზრდილები დადიოდნენ კინოთეატრებში, რომანები და ლექსები დაწერილი "ადამიანის სულის ინჟინრების" მიერ, რომ აღარაფერი ვთქვათ ტურისტულ მარშრუტებზე და კულინარიულ წიგნებზე. ეს ყველაფერი საბჭოთა მოქალაქეებს მოუწოდებდა. „დაეთესათ სიბრძნე და სიკეთე მარადიული კომუნიზმისა და პარტიისათვის".

თავად ისტორიის ბუნება, საზოგადოების ცოდნა მისი წარსულის შესახებ, ყველაზე შესაფერისი მასალა იყო, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო პროპაგანდისტული მიზნებისთვის იყენებდა. შეიქმნა ახალი ნარატივები, დაიდგა ახალი

ძეგლები და დაიწერა ისტორიის ახალი სახელმძღვანელოები. მიზანი იყო რათა ქვეყანაში ყველას ცოდნოდა 1917 წლის რევოლუციის საუკუნო მნიშვნელობა და „ერების მეგობრობა“ რუსებთან. ამ სახის პროპაგანდაში ისტორია გამოიყენება დღევანდელი სამყაროს განვითარების გზების ასახსნელადაც. ისტორიის მანიპულირებით ისინი ცდილობდნენ უსიამოვნო ჭეშმარიტების დაფარვას და იმ ისტორიის ყოველგვარი კვალის წაშლას, რომელიც მათ მიზნებს არ ასახავდა.

საბჭოთა ისტორიაზე დაფუძნებულმა პროპაგანდამ არა მხოლოდ მოამზადა ისტორიის სახელმძღვანელოები, არამედ აღმოაჩინა უფრო გონივრული და უხილავი გზები, რათა წარსულის საჭირო სურათები ჩაენერგა თავისი მოქალაქეების ცნობიერებაში კინოს, ანიმაციისა და ლიტერატურის საშუალებით. პროპაგანდის ერთ-ერთი წარმატებული მანქანა იყო სასკოლო და საუნივერსიტეტო ჰუმანიტარული განათლება. განათლებისა და კულტურის სამინისტროებს დაევალათ, დახმარებოდნენ კომუნისტურ პარტიას „სწორი“ ისტორიის ნარატივების გავრცელებაში. რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე ომმა აჩვენა, თუ რამდენად ძლიერ გავლენას ახდენს ეს ნარატივები. ისტორიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ტერიტორიებზე და პოლიტიკურ ძალაუფლებაზე პრეტენზიების გამართლებაში უკრაინასა და ყველა სხვა პოსტსაბჭოთა კონფლიქტში.

ჩვენი ერთობლივი პროექტი გერმანიის ფედერალური საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. მასში ჩართულია რამდენიმე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია სომხეთიდან, მოლდოვიდან, საქართველოდან და უკრაინიდან. პროექტი იწვევს მასწავლებლებსა და საშუალო სკოლის მოსწავლეებს, რათა იკვლიონ სხვადასხვა საკითხები იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენებოდა ისტორიაზე დაფუძნებული პროპაგანდა. ამ პროექტის მთავარი მიზანია ისტორიის სწავლებასა და საჯარო ისტორიაში პროპაგანდის მაგალითების შესწავლა და ანალიზი. ჩვენ გვინდა, რომ ახალგაზრდები გაეცნონ ისტორიის ინსტრუმენტალიზაციას და იარაღად გამოყენებას. ჩვენ ასევე ვცდილობთ, სკოლის მასწავლებლებს მივაწოდოთ მეთოდური ინსტრუქციები, რომლებიც აუცილებელია პროპაგანდისტული ისტორიის ნარატივების შესასწავლადაც და სწავლებისთვისაც.

როგორ იწრთობოდა პროპაგანდა

პაპი გრიგოლ XV ალბათ ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ მის მიერ 1622 წელს შექმნილი Congregatio de Propaganda Fide, რაც ქართულად „რწმენის გავრცელების წმინდა კონგრეგაციას“ ნიშნავს, საფუძველს ჩაუყრიდა 21-ე საუკუნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე მეტად გამოყენებად ტერმინს – „პროპაგანდა“. სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ, „პროპაგანდა“ ლათინური წარმომავლობის სიტყვაა და რაიმე ამბის, ინფორმაციისა თუ სწავლების გავრცელებას ნიშნავს. ასე რომ ქრისტეს სიტყვის გავრცელების მიზნით შექმნილი ჯგუფი, თავისდა უნებურად გახდა „ნათლია“ სიტყვისა, რომელიც დღეს უკვე ისეთ პროცესს აღწერს, რომელშიც

რთულია გაიგო, სად არის ღვთის და სად – ეშმაკის სიტყვა.

მიუხედავად იმისა, რომ თავად ტერმინი „პროპაგანდა“ XVI საუკუნემდე იშვიათად თუ შეგხვდებათ, ამბავი, თუ როგორ ავრცელებენ ინფორმაციას საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებზე ზეგავლენის მოსახდენად, ჯერ კიდევ ჰამურაბის კანონების დროინდელია. სწორედ ჰამურაბის კანონების პოპულარიზაციას ეწეოდნენ ადამიანები, რომლებიც უხსნიდნენ სხვებს, რომ კანონი იმისათვისაა, რათა გაათანაბროს ყველა ადამიანი. ამ კანონებით მათ ერთნაირად უნდა აგონ პასუხი დანაშაულისათვის.

ინფორმაცია რომ მძლავრი იარაღი იყო, ამას ჯერ კიდევ ჩინელი მხედართმთავარი და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სამხედრო თეორეტიკოსი, სუნ ძიც (ძვ. წ. VI-Vს.ს.) კარგად აცნობიერებდა მის მიერ შემუშავებულ ტრაქტატში „საბრძოლო ხელოვნება“. აქ მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საინფორმაციო ზეგავლენის უპირატესობების აღწერას.

პროპაგანდა, მისი პირველადი დანიშნულებით, არც საქართველოსთვის ყოფილა უცხო ხილი. ინფორმაციასა და მისი საშუალებით საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ხშირად მიმართავდნენ ქართველი მეფეები, საზოგადო მოღვაწეები და პირველი ქართველი ბიზნესმენებიც კი. ასე, მაგალითად, ცნობილია ისტორია, თუ როგორ ეწეოდა ქართული ღვინის „პროპაგანდას“ ცნობილი ქართველი მემამულე ივანე მუხრანბატონი. მან პირველმა შეძლო ქართული 8000-წლოვანი ღვინო ევროპისათვის პარიზის გამოფენაზე წარედგინა. როგორც ამბობენ, მუხრანბატონს ასეთი სტრატეგია შეურჩევია – მისი „დაკვეთით“, წარმოსადეგი ფრანგი ახალგაზრდები, რომელთაც მარტივად შეამჩნევდით არისტოკრატიულ წარმომავლობას, პარიზის ყველაზე ცნობილ რესტორნებში შედიოდნენ და შეკვეთის მიცემისას მუხრანულ ღვინოს ითხოვდნენ. მას შემდეგ, რაც ადგილობრივი სომელიე ეტყოდა, რომ ასეთი ღვინო მენიუში არ აქვთ და მის შესახებ არც კი სმენოდათ, ახალგაზრდები ჯერ ღვინის ქებას იწყებდნენ, შემდეგ კი ტოვებდნენ რესტორანს და ამბობდნენ, რომ იქ დასხდებოდნენ, სადაც ეს ღვინო იყო. როგორც ჩანს, ამ ხერხმა გაჭრა და მალე მუხრანულ ღვინოზე მოთხოვნა გაიზარდა.

პროპაგანდამ, როგორც ნეგატიურმა ტერმინმა, დამკვიდრება XX საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო. პროპაგანდისტული ბრძოლა ევროპის კონტინენტზე ჯერ პირველი, შემდეგ კი მეორე მსოფლიო ომის დროს გაჩაღდა და მას შემდეგ, ალბათ არც შეჩერებულა. წარმოიდგინეთ რამდენად დიდი ძალისა და შთაბეჭდილების მომხდენი იქნებოდა მოქალაქეებისთვის XX საუკუნის 20-იან წლებში დახატული პროპაგანდისტული პოსტერი (პლაკატი), რომელიც გამარჯვებისთვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

პროპაგანდის აღზევების პერიოდად მაინც მეორე მსოფლიო ომი შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამ დროს ნაციზმის ხელში ინფორმაცია ტოტალური კონტროლის იარაღად გადაიქცა. საბოლოოდ დამკვიდრდა აღქმა, რომ პროპაგანდა ბოროტების, სიცრუის, სიბნელისა და უკეთურების გავრცელებაა.

თუმცა, ამავე პერიოდში იწყება ახალი გზების ძიება პროპაგანდის დასამარცხებლად. თავიდან ეს იყო კონტრპროპაგანდა, რაც პროპაგანდის მეთოდების გამოყენებით საწინააღმდეგო აზრის დანერგვას ნიშნავდა. შემდეგ კი, უფრო ეფექტიანი ბრძოლის, ფსიქოლოგიური და საინფორმაციო ოპერაციების მექანიზმების ჩამოყალიბება და განვითარება დაიწყო.

XXI საუკუნე და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური განვითარება პროპაგანდის ხელახლა დაბადების ეპოქად იქცა. ფრედერიკ ბეგბედერი თავის რომანში – „99 ფრანკი“ – ამბობს: „ადამიანის ტვინი ასე დამოკიდებული ინფორმაციაზე არასოდეს ყოფილა“. სწორედ ეს დამოკიდებულება გახდა პროპაგანდის ხელახლა დაბადების საფუძველი და ბოროტების გამავრცელებლებს შესაძლებლობა მისცა, შემძვრალიყვნენ ყველგან და ყველაფერში, გამოეყენებინათ ადამიანის გონებაში შეღწევის ყველა შესაძლებლობა და ხერხი.

როგორ იწყებოდა საბჭოეთში ისტორიის პოლიტიზაცია და ისტორიაზე დაფუძნებული პროპაგანდა

საბჭოთა განათლების სისტემის ფორმირება. ისტორიული განათლება

თანამედროვე ეპოქას პოსტ-სიმართლის ეპოქასაც უწოდებენ. მისთვის დამახასიათებელია არა უბრალოდ ფაქტების ფალსიფიცირება, არამედ ფაქტებისა და პროფესიული მსჯელობისადმი ნაკლები ინტერესის გამოწვევა. ასეთ დროს ისტორიის ინტერპრეტაცია და ინსტრუმენტალიზაცია ხშირად მხოლოდ პოლიტიკური ელიტების ხელში რჩება. გაყალბებული ისტორია „ჰიბრიდული ომის“ წარმოებისა და პოლიტიკური ნაბიჯების ლეგიტიმაციისთვის ხელსაყრელ ინსტრუმენტს წარმოადგენს ეს კი, თავის მხრივ, კონფლიქტის პროვოცირების ფაქტორად შეიძლება გამოიყენონ. აქედან გამომდინარე, კონფლიქტების წარმოქმნისა თუ შემდგომ მისი აღმოფხვრის პროცესში გაყალბებული ისტორიის როლს გვერდს ვერ ავუვლით. ამ მოცემულობაში ძალიან მნიშვნელოვანია ისტორიკოსის პოზიცია, რომელსაც თავისი წილი პასუხისმგებლობა და როლი აქვს კონფლიქტების ისტორიული საფუძვლების გაანალიზებაში. განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდა ისტორიკოსების მნიშვნელობა, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომ თაობას წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, მათ ნაკლები ემოციური ბმა აქვთ საკვლევ საკითხთან. მკვლევრისათვის აუცილებელია საკვლევი საკითხისგან დისტანცირება, რაც ტრავმული მეხსიერების პირობებში ძალიან რთულია. ახალგაზრდა ისტორიკოსებს კი, თანამედროვე კვლევის მეთოდების, მიდგომების გამოყენებით შეუძლიათ სხვადასხვა პრიზმიდან საკითხის დანახვა.

1930-იან წლებში საბჭოთა კავშირში მოხდა არადემოკრატიული ცენტრალიზმის ავტორიტარულ-ადმინისტრაციულ, ბოლოს კი ავტორიტარულ-დესპოტურ სისტე-

მად ტრანსფორმაცია. პოლიტიკა გადამწყვეტ როლს თამაშობდა ისტორიოგრაფიული სიტუაციის ჩამოყალიბებაში, ხოლო კონკრეტული გამოკვლევები სტალინის ისტორიულ შეხედულებებთან ჯერდებოდა და თანხცმდებოდა.

სტალინს არ ჰქონდა ისტორიული მოვლენის ფუნდამენტური გაგების უნარი, მაგრამ ისტორიაში ჩაუხედავი და უცოდინარი არ იყო. რუსეთის ისტორიის მისეულ გაგებაში ქვაკუთხედი იყო შეხედულება რუსეთის ჩამორჩენილობის შესახებ. 1931 წელს, ერთ-ერთ კონფერენციაზე გამოსვლისას (ეს იყო მრეწველობის მუშაკთა საკავშირო კონფერენცია) ი. სტალინი ამბობდა: „ძველი რუსეთის ისტორია მდგომარეობდა სხვათა შორის იმაში, რომ მას „ჩამორჩენილობის გამო“ განუწყვეტლივ ამარცხებდნენ (ჯაბნიდნენ) მონღოლი ხანები, თურქი ბეგები, შვედი ფეოდალები, პოლონელ-ლიტველი პანები, ინგლისელი და ფრანგი კაპიტალისტები, იაპონელი ფეოდალები. ამარცხებდნენ მას სამხედრო და სახელმწიფოებრივი ჩამორჩენილობის, სამრეწველო და სოფლის მეურნეობაში ჩამორჩენილობის გამო.“

სტალინის განმარტებაში რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაჩენით გადაწყდა „თურქების, მონღოლების, და აღმოსავლეთის სხვა ხალხების შემოსევისგან თავდაცვის“ ამოცანა, მაგრამ „ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობა არსებობდა XVII-XVIII საუკუნეებშიც, მერე გამოჩნდა პეტრე I, რომელსაც დაუპირისპირდა დასავლეთის უფრო განვითარებულ ქვეყნებს. ამიტომ იგი გამალებით აგებდა ქარხნებსა და ფაბრიკებს არმიის მოსამარაგებლად და ქვეყნის თავდაცვის გასაძლიერებლად. ეს იყო ერთგვარი მცდელობა ჩამორჩენილობის ჩარჩოების გასარღვევად“.

ისტორიული პიროვნებების შეფასებისას სტალინისთვის დამახასიათებელი იყო მკვეთრად გამოხატული პრაგმატიზმი. უკვე ომის შემდეგ ფილმ ,,პეტრე პირველი“-ს შემქმნელებთან მან შეგნებულად უწოდა იგივე პეტრე I-ს ,,პეტრუხა“ და აღნიშნა, რომ ის არაეროვნული მმართველი იყო, რადგანაც კარი გაუღო უცხოელებს. სტალინის ლოგიკა აქ საკმაოდ მკაფიოდაა გამოხატული. აუცილებელი იყო, ქვეყანა სწრაფად შემოსაზღვრულიყო დასავლეთის „გამხრწნელი გავლენისგან“. პეტრეს ეპოქის ევროპაში „ღია ფანჯრის“ ანალოგის არსებობა ამიტომაც არ იყო საჭირო.

სტალინი ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ბოლშევიკური პარტიის ისტორიას. 1931 წელს ჟურნალში, „პროლეტარსკაია რევოლუცია“ მან დაწერა წერილი „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ“. აქ იგი ყურადღებას ამახვილებდა დასავლეთის ისტორიკოსების, ასევე ოთხტომეულის _ „სკპ(ბ) ისტორია“ (იაროსლავსკის რედაქტორობით) _ ავტორების „შეცდომებზე“.1937 დასაწყისში ამ ნაშრომის შემდგენლებს სტალინმა მიმართა წერილით, „სკპ(ბ) ისტორიის სახელმძღვანელოს შესახებ“: „მე ვფიქრობ, – წერდა იგი, – რომ ჩვენი სკპ(ბ) ისტორიის სახელმძღვანელოები არადამაკმაყოფილებელია სამი მთავარი მიზეზის გამო. არადამაკმაყოფილებელია ან იმიტომ რომ ისინი ჰყვებიან სკპ(ბ) ისტორიას ქვეყნის ისტორიასთან კავშირის გარეშე ან იმიტომ, რომ იფარგლებიან თხრობით, მოვლენების და ფაქტების უბრალო აღწერით, არ აძლევენ მათ აუცილებელ მარქსისტულ ახნას, ან იმის გამო, რომ „ზარალდებიან“ არასწორი კონსტრუქციებით, მოვლენათა

პერიოდიზაციის არასწორი გადმოცემით“. თვითონ სტალინი საკმაოდ თავისებურ განსაზღვრებას აძლევდა პარტიის ისტორიას: „ჩვენი პარტიის ისტორია არის შიდაპარტიული წინააღმდეგობების დაძლევის და ამის საფუძველზე ჩვენი პარტიის რიგების განუხრელი განმტკიცების ისტორია“. ამაზე დაყრდნობით მან შეიმუშავა სკპ(ბ) პერიოდიზაციის საკუთარი სქემა:

1. პერიოდიზაციიდან გამორიცხა რსდმპ მეორე ყრილობის თარიღი (1903) და მისი მნიშვნელობა დაიყვანა რსდმპ-ს შექმნამდე, საბოლოოდ კი ბოლშევიკური და მენშევიკური ფრაქციების გაჩენამდე. არსებითად უარყოფილ იქნა ახალი ტიპის პარტიის შექმნის ფაქტი, მიუხედავად ვ. ლენინის მტკიცებისა ამის შესახებ. იგი ამბობდა, რომ ბოლშევიზმი არსებობს როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია 1903 წლიდან.

2. პერიოდიზაციიდან ამოაგდო ლენინური „რევოლუციის მომზადების პერიოდი“. სამაგიეროდ 1904 წელი ჩართო ,,რევოლუციის წლებში“ და დაუმატა რუსეთ-იაპონიის ომის პერიოდიც.

3. რეაქციის პერიოდი გაახანგრძლივა 1912 წლამდე, ბოლშევიკების პარტიად გაფორმება კი რსდმპ-ს მე-6 პრაღის კონფერენციას დაუკავშირა.

4. ორი წლით წინ გადაწია (1910-იდან 1912 წლამდე) ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდის დაწყება.

5. თებერვლის რევოლუციასთან გააერთიანა იმპერიალისტური ომის პერიოდი და შეამცირა ამ უკანასკნელის ხანგრძლივობა 1917 წლის მარტამდე.

6. მოგვიანებით „სკპ(ბ) ისტორიის მოკლე კურსში“ სტალინი წერდა: „ლენინის წიგნი „რა ვაკეთოთ?“ იყო ასეთი (ყველგან იგულისხცმება სკპ(ბ) პარტიის იდეოლოგიური მომზადება. წიგნი „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ იყო ასეთი პარტიის ორგანიზაციული მომზადება, ლენინის წიგნი „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ იყო ასეთი პარტიის პოლიტიკური მომზადება. ბოლოს ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ იყო პარტიის თეორიული მომზადება. შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ისტორიაში აქამდე ბოლშევიკების გარდა, არცერთი პოლიტიკური ჯგუფი არ ყოფილა ასე საფუძვლიანად მომზადებული იმისთვის, რომ გაფორმებულიყო პარტიად“. ამის მტკიცებისას სტალინმა ახალი ტიპის პარტიის მომზადების პროცესი ფაქტობრივად დაიყვანა ლენინის მიერ ოთხი დასახელებული ნაშრომის შექმნამდე. მათი შინაარსი და მნიშვნელობა კი დაიყვანა ერთ ასპექტამდე.

7. პარტიის ოქტომბრის შემდგომი ისტორიის სტალინის მიერ შემოთავაზებული პერიოდიზაცია ემყარებოდა პარტიის დირექტივებისა და ბელადთა გამოსვლების გაფეტიშებას. ის გამორიცხავდა „ნეპს“, სამაგიეროდ გამოყოფდა:

8. „ინდუსტრიალიზაციისთვის ბრძოლის“ პერიოდს (1926-1929) (რა დროსაც ის ფაქტობრივად არ მიმდინარეობდა), „კოლექტივიზაციისთვის ბრძოლის პერიოდს“ (1930-34) და ბოლოს „სოციალისტური მშენებლობის დასრულების“ პერიოდს (1935-1937)“.

„რეპრესიები ისტორიკოსთა გარემოში“

ისტორიის, როგორც მეცნიერების პოლიტიზაციის პროცესს, თან ახლდა თვითნებობა და ზემოქმედების ძალადობრივი მეთოდები. სტალინი და მისი გარემოცვა არ შეიძლება არ გაეღიზიანებინა დამოუკიდებელ ისტორიულ სკოლებს, რომლებიც ავლენდნენ პატივისცემას რუსეთის სამეცნიერო ტრადიციების მიმართ. „ისტორიკოსთა საქმის“ ფარგლებში საინტერესოა აკადემიკოს ე. ტარლეს ცხოვრება. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მას არ მოიხსენიებდნენ აკადემიკოსად, ის შერისხული იყო. ტარლეს შესახებ ალაპარაკდნენ მისი მონოგრაფიის – „ნაპოლეონის“ გამოქვეყნების შემდეგ. უნდა ითქვას, რომ იგი „პრავდასა“ და „იზვესტიაში“ ნეგატიურად შეფასდა, მაგრამ წიგნი მოეწონა სტალინს. მომდევნო დღეს გაზეთებში გაჩნდა რედაქციის „შენიშვნა“, რომელიც უკვე იცავდა მეცნიერს. 1937 წლის მარტში ტარლეს მოეხსნა ნასამართლობა და კვლავ მოიხსენიებოდა აკადემიკოსად. 1937-39 წწ. გაჩნდა მისი ახალი ნაშრომები „ჟერმინალი და პრერიალი“, „ნაპოლეონის შემოსევა რუსეთში“, „ტალეირანი“. ომის დაწყებამდე ტარლეს ორჯერ გადაეცა სტალინური პრემია.

სხვაგვარად წარიმართა ი. გოტიეს ბედი. მისი ნაშრომი, „რკინის საუკუნე აღმოსავლეთ ევროპაში“ ჟურნალმა „ისტორიკ მარქსისტ“ შეაფასა, როგორც სსრკ-ს წინააღმდეგ ინტერვენციის იდეოლოგიური მზადება. 1934 წელს ის დაბრუნდა გადასახლებიდან. დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა, რომ მას არაფერი ორიგინალური არ შეუქმნია, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ ის წერდა დღიურებს, რომელიც შეიცავდა იმდროინდელი სინამდვილის მკვეთრ, მაგრამ სწორ შეფასებებს .

სტალინიზმს ისტორიულ მეცნიერებაშიფართო გეოგრაფიული ჩარჩოები ჰქონდა. 1930 წელს უკრაინაში გაიმართა სასამართლო პროცესი „Союза вызволения Украины“-ის საქმეზე. მასში თითქოსდა შედიოდნენ რიგი ისტორიკოსები მ. გრუშევსკის მეთაურობით. მის ლიდერებს ადანაშაულებდნენ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გაღვივებაში. 1931 წელს ცნობილი გახდა „უკრაინული ნაციონალური ცენტრის“ საქმიანობის შესახებ. მ. გრუშევსკი, რომლის სახელი ამ პროცესებთან დაკავშირებით სხვადასხვა ბრუნვაში მოიხსენიებოდა, გადაასახლეს, ხოლო მისი წიგნი „История Руси – Украины“ აიკრძალა.

ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციის“ რედაქციაში სტალინის წერილის გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო პარტისტორიის მკვლევარ მეცნიერთა დარბევა. „ვინ, გარდა უიმედო ბიუროკრატებისა – ამბობდა სტალინი პარტიის ისტორიის ავტორთა შესახებ – შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ ქაღალდის დოკუმენტებს (სინამდვილეში წყაროებს)? ვის გარდა არქივის ვირთხებისა არ ესმის, რომ პარტია და მისი ლიდერები უნდა შემოწმდეს მათი საქმით პირველყოვლისა და არა მხოლოდ მათი დეკლარაციებით?“ ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებიდან მასიურად გაყარეს ისტორიკოსები და ისინი გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. 1926 წ. დახვრიტეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი გ. ფრიდლიანდი. გამოცხადდა, რომ იგი სამეცნიერო საქმიანო-

ბას იყენებდა „ლენინიზმის მიმართ მტრული იდეების კონტრაბანდისთვის“. ბევრი პარტისტორიკოსი რეპრესირებულ იქნა ისტორიის ფალსიფიკაციისა და ტროცკიზმის კონტრაბანდის ბრალდებით და სტალინის წერილმა „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ“ ბოლო მოუღო ბრძოლას მ. პოკროვსკის და ე. იაროსლავსკის ჯგუფებს შორის პირველობისთვის „ისტორიის ფრონტზე“. 1931 წლის ოქტომბერში ე. იაროსლავსკიმ გაგზავნა მონანიების წერილი სტალინთან სადაც სთხოვდა, მიეთითებინა პრინციპული და ისტორიული ხასიათის შეცდომებზე და სტალინმაც მიუთითა. იაროსლავსკიმ დაიწყო მათი გამოსწორება, შეუდგა რა ისტორიის ფალსიფიკაციას.

პოკროვსკის სკოლასთან სხვაგვარად იყო საქმე. 1936 წლის იანვარში დაიწყო კრიტიკის კამპანია პოკროვსკის წინააღმდეგ. 1937 წელს მომზადებულ იქნა, მოგვიანებით კი გამოიცა კრებული სახელწოდებით „მ. ნ. პოკროვსკის ისტორიული კონცეფციის წინააღმდეგ“ (1939წ.) და „მ. ნ. პოკროვსკის ანტიმარქსისტული კონცეფციის შესახებ“ (1939წ.). თავიანთი დამოკიდებულება რუსული მეცნიერების ამასწინანდელი ხელმძღვანელისადმი გამოხატეს ძველი სკოლის წარმომადგენლებმა 30-იანი წლების ბოლოს მ. პოკროვსკის განადგურებული სკოლა ახლა უკვე იწოდებოდა როგორც „შპიონების და დივერსანტების“, მსოფლიო იმპერიალიზმის აგენტების და მსტოვრების, შეთქმულების და მკვლელების ბანდა. თვითონ პოკროვსკი 1932 წელს გარდაიცვალა. 1932-1937 წწ. მისი სახელობის იყო მოსკოვის, ამჟამად კი მ. ვ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1930-იანი წლების რეპრესიებმა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ისტორიულ მეცნიერებას. ამასთან მან დაასრულა ისტორიული ცოდნის უნიფიკაციის პროცესი. დიდწილად ამას განაპირობებდა პარტიის და მთავრობის დადგენილებები ისტორიული მეცნიერების განვითარების და უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში ისტორიის სწავლების შესახებ.

„საისტორიო დაწესებულებების, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ისტორიის სწავლების ორგანიზაციული გადაწყობა“

1934 წლის იანვარ-მარტში რსფსრ განათლების სახალხო კომისარიატმა ჩაატარა მეცნიერთა და ისტორიის მასწავლებელთა ორი თათბირი. მასზე მომხსენებლები გამოვიდნენ ისტორიის სწავლების რეორგანიზაციის და მასწავლებელთა კადრების მომზადების გაუმჯობესების სურვილითა და ინიციატივით. აქ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მომზადდა პარტიისა და მთავრობის დადგენილებები.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს და სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში – „სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ“ (1934წ. 16 მაისი) მითითებული იყო შემდეგი: საბჭოთა საისტორო მეცნიერების მთავარი ნაკლოვანება არის ისტორიის კონკრეტული მსვლელობის თხრობის შეცვლა აბსტრაქტული

სოციოლოგიური სქემებით. 1934 წლის 9 ივნისს სკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება დაწყებით და არასრულ საშუალო სკოლებში მსოფლიო ისტორიის და სსრკ ისტორიის ელემენტარული კურსის შემოღების შესახებ. ჩამოყალიბდა ავტორთა კოლექტივები ისტორიის სახელმძღვანელოების შესაქმნელად. 1934 წლის ზაფხულის ბოლოს მომზადდა სსრკ ისტორიის სახელმძღვანელო კონსპექტი, რაზედაც 1934 წლის აგვისტოში ა. ჟდანოვმა, ს. კიროვმა და ი. სტალინმა დაწერეს „შენიშვნები". კონსპექტის ავტორთა მთავარი ნაკლი „შენიშვნის" მიხედვით მდგომარეობდა იმაში, რომ ის წარმოადგენდა არა სსრკ-ს, არამედ რუსეთის ისტორიის კონსპექტს. კონკრეტულად რუსეთის ისტორიას იმ ხალხის ისტორიის გარეშე, რომელიც სსრკ შემადგენლობაში შევიდა. სახელმძღვანელოებზე მუშაობა გაიწელა, ამიტომ 1936 წლის 26 იანვარს მთავრობამ და პარტიამ მიიღო ახალი დადგენილება „ისტორიის სახელმძღვანელოს შესახებ". შეიქმნა კომისია ა. ჟდანოვის თავმჯდომარეობით, რომელმაც მიიღო უფლება შეექმნა ჯგუფი უკვე მომზადებული სახელმძღვანელოების გადასასინჯად. მთლიანობაში 1934-36 წლებში მიღებულმა პარტიული და სამთავრობო დოკუმენტების კომპლექსმა განსაზღვრა საბოლოოდ მოთხოვნები ისტორიის მეცნიერების მიმართ.

1930 იანი წლების შუახანებში მარქსისტული მეთოდოლოგია საკმაოდ მტკიცედ დაფუძნდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში. არადა იგი ოდესღაც არამარქსისტული ისტორიული მეცნიერების საყრდენი იყო. განსხვავებული აზრი ამ დროისთვის დიდწილად რეპრესირებულ იქნა, ამიტომ 1936 წლის თებერვალში მიიღეს გადაწყვეტილება დამოუკიდებელი „კომუნისტური აკადემიის" ლიკვიდაციისა და მისი სსრკ მეცნიერებათა აკადემიისთვის გადაცემის შესახებ. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოიშვა ისტორიის ინსტიტუტი რომელშიც შეიქმნა რვა სექტორი. ინსტიტუტის პერიოდული ორგანო გახდა ჟურნალი „ისტორიკ მარქსისტ". 1936 წლიდან ინსტიტუტი გამოსცემდა პერიოდულ კრებულს „ისტორიჩესკი არხივ", 1937 წლიდან „ისტორიჩესკიე ზაპისკი". 1934-1935 წლებში აღდგენილ იქნა ისტორიის ფაკულტეტები მოსკოვის და ლენინგრადის უნივერსიტეტებში და მათთან ასევე დაიწყო ფუნქციონირება ასპირანტურამ.

„საბჭოთა პერიოდის პრობლემა რუსულ ისტორიოგრაფიაში"

პროლეტარიატის დიქტატურის პირველი წლების ისტორიის სპეციალურ საკითხებს შორის დიდ ინტერესს იწვევდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები – საბჭოები. ა. პანკრატოვამ 1934 წელს დააყენა პრობლემა ადგილობრივი საბჭოების კომპეტენციების, რევოლუციის მსვლელობისას ცენტრსა და ადგილობრივ საბჭოებს შორის ურთიერთობის შესახებ და ა.შ. საბჭოების ისტორიაზე ყველაზე დეტალური ნაშრომი დაკავშირებულია ვ. ავერიევის სახელთან.

სამოქალაქო ომი და უცხო სახელმწიფოთა ინტერვენცია განიხილებოდა ქვეყ-

ნის ცალკეული რეგიონების მოვლენათა პრიზმაში. განსაკუთრებულ ყურადღებას ისტორიკოსები აქცევდნენ რეგიონებს, სადაც სამოქალაქო ომის დროს იბრძოდა სტალინი, მაგალითად დეტალურადაა განხილული ცარიცინის დაცვა. მნიშვნელოვანი ლიტერატურა აშუქებდა სტალინის საქმიანობას აღმოსავლეთის ფრონტის ჩრდილოეთის ფლანგზე.

უნდა აღინიშნოს, რომ 30-იანი წლების ისტორიულ მეცნიერებაში გაჩნდა ბევრი უპრინციპო, ე. წ. კარის სპეციალისტი. საკმარისია ე. იაროსლავსკის სტატიების ციტირება, რომელიც ქვეყნდებოდა ჟურნალში – „ისტორიკ მარქსისტ“. 1940 წელს სტატიაში „სტალინი ესაა ლენინი დღეს“ ის წერდა: „სამოქალაქო ომის დროს, ახალგაზრდა სახელმწიფოს ცხოვრების ყველაზე მძიმე მომენტებში, ამხანაგი სტალინი იყო მთელი მოსახლეობის სურსათით მომარაგების ორგანიზატორი, შედეგად კი წითელი არმიის ორგანიზატორი და მხედართმთავარი და ავლენდა ამ საქმეში გენიალურ თვისებებს, ის მკერდით იცავდა საბჭოთა ქვეყანას ყველა ფრონტზე“.

ამ პერიოდის ისტორიულ მეცნიერებაში არ არის სიუჟეტები ნეპის შესახებ. ინდუსტრიალიზაციის პროცესის შესწავლისას ყურადღება იყო გამახვილებული სტახანოვური მოძრაობის გამოკვლევაზე, ჯერ მარტო 1935-1940 წლებში მას მიეძღვნა 4643 ნაშრომი. უმრავლესობა ატარებდა ეკონომიკურ ხასიათს, მაგრამ ზოგიერთში იყო ისტორიული ექსკურსებიც. აქ დაწვრილებით იყო განხილული რუსეთის მუშათა კლასის სოციალური სახის ცვლილება. ემიგრაციაში მყოფ რუსულ ისტორიოგრაფიაში ამ დროს იწყება დენაციონალიზაციის პროცესი, რუსულ ენაზე ნაშრომები მცირდება, ასევე მცირდება რუსული და სლავური თემები. საბჭოთა პერიოდი სუსტადაა შესწავლილი. ყველაზე დიდი ინტერესს იწვევს ბერდიაევის ნაშრომი „რუსული კომუნიზმის საწყისი და საზრისი“ (1937). დიდი მნიშვნელობა ამ დროს აქვს ტროცკის ნაშრომებს.

ისტორიული მეცნიერება „დიდი სამამულო ომის“ პერიოდში

ისტორიული მეცნიერების სისტემა „სამამულო ომის“ დაწყებისთანავე გადაეწყო. მისი შემადგენელი ნაწილი იყო საისტორიო დაწესებულებების: სასწავლებლების, არქივების, მუზეუმების ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონებში ევაკუაცია. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი გადავიდა ქ. ტაშკენტსა და ქ. ალმა-ატაში, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქ. აშხაბადში, მოგვიანებით ქ. სვერდლოვსკში, კიევისა და ხარკოვის უნივერსიტეტები ქ. კიზილორდაში.

ომის პირველ წლებში რთულ ვითარებაში აღმოჩნდა სტრუქტურები, რომლებსაც უნდა შეეკრიბა გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ისტორიის მასალები. ეს იქცა ისტორიული მეცნიერების რეორგანიზაციის მიზეზად და გახდა მისი შემადგენელი ნაწილი. 1941 წელს პარტიის მოსკოვის კომიტეტთან შეიქმნა მოსკოვის დაცვის ისტორიის კომისია. 1942 წელს მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა კომისია დიდი სამამულო ომის ისტორიის კვლევის შესახებ. ომის ისტორიისთვის მასალების

შემკრები კომისიები შეიქმნა ასევე კომკავშირის ცკ-სთან. ასევე შეიქმნა ისინი სახალხო კომისარიატებში, არმიასა და ფლოტში, ოლქებსა და რესპუბლიკებში. 1943-44 წლებში ასეთი კომისიები შეიქმნა ასევე ნაცისტებისგან განთავისუფლებულ რეგიონებშიც.

ომის წლებში საისტორიო მეცნიერების სტრუქტურამ განიცადა არსებითი ცვლილება ისტორიის შემსწავლელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებიდან და სპეციალიზაციიდან გამომდინარე. 1942 წელს გონივრულად იქნა აღიარებული მეცნიერებათა აკადემიის სლავთმცოდნეობის ინსტიტუტის შექმნა, 1944 წელს _ მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტიც ჩამოყალიბდა. იმავე წელს შეიქმნა მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოგრაფიული კომისია. 1943-45 წლებში შეიქმნა უზბეკეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიები საისტორიო განყოფილებებით.

ომის პირველ წლებში რამდენადმე შემცირდა ისტორიული პერიოდიკის გამოცემა. შეწყდა ჟურნალების, „წითელი არქივის“-ა და „პროლეტარული რევოლუციის“ ბეჭდვა. „ისტორიკოსი მარქსისტი“ შეერწყა „ისტორიულ ჟურნალს“, მაგრამ პირველივე შესაძლებლობისთანავე ისტორიული ჟურნალების გამოცემა განახლდა.

ომიმმა ისტორიკოსების წინაშე სამხედრო პატრიოტულ სამუშაოებთან დაკავშირებული რიგი პრობლემები წარმოშვა. ერთ-ერთი ასეთი იყო სამეცნიერო პროპაგანდისტული საქმიანობა. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით 1943 წელს ნაცისტებისაგან განთავისუფლებულ ქალაქებში (სმოლენსკი, კურსკი, ხარკოვი) გაგზავნეს ლექტორთა ჯგუფები.

გარკვეული ცვლილებები მოხდა კვლევების თემატიკაში. მასში გამოიყო რუსეთის უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლასთან დაკავშირებული აქცენტები. ძველი რუსეთის ისტორია იზიდავდა ისტორიკოსების ყურადღებას. მოცემული მიმართულების ლიდერი იყო ბ. გრეკოვი. 1941-1942 წლებში მან მოამზადა მონოგრაფიის, „კიევის რუსეთი“-ს ახალი გამოცემა. ამ მონოგრაფიას მან დაამატა თავი – „კიევის რუსეთის სამხედრო წყობილება“. 1942 წელს მან ასევე გამოაქვეყნა ნაშრომი – „რუსეთის ბრძოლა საკუთარი სახელმწიფოს შესაქმნელად“. აქ იგი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესი აღმოსავლეთ სლავებში იწყება VI საუკუნეში. მისი მტკიცებით ეს მოხდა მაშინ, როდესაც სამხედრო არისტოკრატიის მეთაურობითა და მცდელობით აღმოსავლეთ სლავი ტომების დიდი სამხედრო კავშირი ჩამოყალიბდა.

1942 წელს შესრულდა „ყინულზე ბრძოლის“ 700 წელი. ამ მოვლენას მიეძღვნა სამეცნიერო სესიები, გამოფენები, მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები. ისინი ხატავდნენ გერმანიის აგრესიის სურათს რუსეთისა და ბალტიისპირეთის მიწების მიმართ XII-XIII საუკუნეებში და აღნიშნავდნენ გერმანელთა განადგურების მნიშვნელობას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ალექსანდრე ნეველის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მეცნიერები მმართველების, ივანე III-სა და ივანე IV-ს მოღვაწეობასთან კავშირში სწავლობდნენ და იკვლევდნენ რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს

ჩამოყალიბებას. საბჭოთა ავტორები განიხილავდნენ ივანე IV მრისხანეს, როგორც გენიალურ ორგანიზატორს და ბელადს. მეფის გარკვეული იდეალიზება აღინიშნება ს. ბახრუშინის გამოკვლევებში, რომელიც ივანე IV-ის საშინაო პოლიტიკის ძირითად მიზნად აღიარებდა ფეოდალური დაქუცმაცებულობის გადმონაშთების ლიკვიდაციას, ხოლო ოპრიჩნინას ახასიათებდა, როგორც აბსოლუტიზმისთვის ბრძოლის გარდაუვალ ეტაპს.

XVII საუკუნის რუსეთის ისტორიაში მკვლევართა ყურადღებას იქცევდა ორი სიუჟეტი. პირველი დაკავშირებული იყო ნიჟეგოროდის ლაშქრისა და 1612 წელს მოსკოვიდან პოლონელი და შვედი ინტერვენტების განდევნაში მისი როლის შესწავლასთან. მეორე იყო სოციალ-ეკონომიკური ისტორიის შემუშავება

ომის წლებში არსებითი ნაბიჯი გადაიდგა პეტრე დიდის ეპოქის შესწავლის საქმეში. განხილულ იქნა პეტრეს რეფორმების მნიშვნელობა რუსეთის განმტკიცების საქმეში, ხაზგასმული იყო მისი როლი რეგულარული არმიის ორგანიზებაში. რიგი ავტორების მიერ საკმაოდ დაწვრილებით იყო აღწერილი ჩრდილოეთის ომი 1700-1721 წწ. პეტრეს ეპოქის შესახებ ნაშრომებს შორის შეიძლება გამოიყოს ბ. სირომიატნიკოვის მონოგრაფია (1943 წ.), რომელმაც სერიოზული კრიტიკა გამოიწვია. ავტორი მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის აბსოლუტიზმს წარმოაჩენდა არა მხოლოდ თავადაზნაურობის, არამედ ვაჭრების ინტერესების გამომხატველად. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მე-18 საუკუნის სამხედრო ისტორიას.

ომის წლებში ისტორიკოსებმა შექმნეს რიგი გამოკვლევები 1812 წლის ომზე მათ შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს აკადემიკოს ტარლეს ნაშრომს „ნაპოლეონის შემოსევა რუსეთში“ (მეორე გამოცემა 1943).

1942 წ. ჩატარდა სამეცნიერო სესიები, რომლებიც მიეძღვნა 1812 წლის ომს და ბოროდინოს ბრძოლას. თავიანთ მოხსენებებში ისტორიკოსები წარმოაჩენდნენ მ. კუტუზოვის სტრატეგიული ჩანაფიქრის სიღრმეს. ომის წლებში გამოვიდა აკადემიკოს ტარლეს ფუნდამენტური ნაშრომი „ყირიმის ომი“. მე-19 საუკუნის ისტორია ომის წლებში პრაქტიკულად არ შეისწავლებოდა. გამონაკლისს წარმოადგენდა ს. სტრუმილინის გამოკვლევა, რომელიც ეხებოდა რუსეთში სამრეწველო გადატრიალების საკითხს. მან სცადა დაესაბუთებინა ამ მოვლენის ქრონოლოგიური ჩარჩოები. აკადემიკოს ს. სტრუმილინის იდეის განხილვისას გაჩნდა დისკუსია რუსული მანუფაქტურის ხასიათისა და მისი ფაბრიკა-ქარხნებით შეცვლის შესახებ.

ოქტომბრის შემდგომი ისტორიის პრობლემების შემუშავებისას მკვლევართა ძირითადი ყურადღება დაეთმო ოქტომბერს და სამოქალაქო ომს. 1942 წელს გამოვიდა მეორე ტომი „სსრკ სამოქალაქო ომის ისტორია“ რომლის ავტორები დაჯილდოვდნენ სტალინური პრემიით. ტომი მოიცავდა 1917 წლის სექტემბერ-ნოემბრის მოვლენებს. ნაშრომში საკმაოდ ფართოდ იყო წარმოდგენილი სამოქალაქო ომის ისტორიის დოკუმენტური მასალები.

ისტორიაზე დაფუძნებული პროპაგანდა ისტორიის სახელმძღვანელოებში

პროპაგანდა (ლათ. propaganda) – ფაქტების, არგუმენტებისა და სხვა ცნობათა სისტემატური გავრცელება – ემსახურება საზოგადო აზრის ჩამოყალიბებას. პროპაგანდაში ხშირად გამოიყენება როგორც რეალური, ასევე განგებ გაყალბებული ფაქტები.

პროპაგანდა არის ინფორმაციის მიწოდების ფორმა, რომელიც გულისხმობს საკომუნიკაციო საშუალების მიზანმიმართულ გამოყენებას ადამიანთა ცნობიერებაზე, ემოციებსა და ქცევაზე, სასურველი ზემოქმედების მიზნით.

პროპაგანდის საშუალებით ადამიანების შეხედულებებზე, აზრებზე, ზოგადად ცნობიერებაზე, სხვადასხვა სიმბოლოების საშუალებით (სიტყვით, ლოზუნგებით, მუსიკით, მედიასაშუალებებით და სხვ.) ხორციელდება იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ზეწოლა. მიზნის მისაღწევად პროპაგანდისტი (პირი, რომელიც ეწევა პროპაგანდას), გვერდს უვლის ან ამახინჯებს მნიშვნელოვან ფაქტებს და ცდილობს, აუდიტორიას მიაწოდოს მხოლოდ მისთვის მისაღები ინფორმაცია.

საკითხი, რომელიც ეხება პროპაგანდას ისტორიის სახელმძღვანელოებში, ჯერ არ გამოკვლეულა. პროპაგანდის მექანიზმები ყოველთვის გამოიყენებოდა საბჭოთა საქართველოში (ისევე როგორც სრულიად საბჭოთა კავშირში). ისტორიის სახელმძღვანელოების შედგენისას და სამწუხაროდ ეპიზოდურად დღესაც გვხვდება ისტორიის სწავლებაში.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ისტორიის სახელმძღვანელოთა შინაარსზე ჯერ კიდევ ძალიან ძლიერი იყო საბჭოთა იდეოლოგიის გავლენა, 90-იან წლებში კი სახელმძღვანელოს ავტორების გავლენა იზრდება. ისტორიული აზროვნების უნარების განვითარებას კი არათანმიმდევრული და არასრულყოფილი სახე აქვს. ამ დროს ჯერ კიდევ მყარად ფესვგადგმული იყო საბჭოთა განათლების სისტემა.

ისტორიის სწავლებას საბჭოთა პერიოდში საფუძვლად ედო ლენინური იდეები: „მივცეთ განსაზღვრული ფორმაციის სურათი მის ზუსტ მეცნიერულ ახსნასთან ერთად, უზრუნველვყოთ ისტორიული მოვლენების შესწავლა იმგვარად, რათა არ იყოს ზერელობა, რათა იცოდნენ ფაქტები“. მოწოდებას ვერაფერს დაუწუნებ, ლამაზად იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ რეალურად მძიმე პროპაგანდისტულ საბურველში იყო გახვეული. ისტორიის სასწავლო კურსები მოსწავლეებს თანმიმდევრულად აცნობდა ადამიანთა საზოგადოების განვითარებას უძველესი დროიდან დღემდე. ამგვარი სწავლება საშუალებას იძლეოდა, შეექმნათ მოსწავლეებისათვის ისტორიული პროცესის, როგორც ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციიდან მეორეში კანონზომიერი გადასვლის მეცნიერული გაგება თვით კომუნიზმის გამარჯვებამდე.

მეოცე საუკუნის 80-იან წლებში დაბეჭდილი და გამოცემული ისტორიის სახელმძღვანელოების ყოველი კომპონენტი მართულია მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით. ისტორია წარმოდგენილია, როგორც ორი დაპირისპირებული კლასის ბრძოლა პირველობისათვის. ამ პერიოდში საბჭოთა სისტემის იდეოლოგიური საქმიანობა

საკმაოდ მოქნილი და ეფექტური იყო. მის ეფექტურობას გამოყენებული მეთოდოლოგია განაპირობებდა. ეს ფაქტობრივად გამორიცხავდა ხისტ დეზინფორმაციას. თითოეული პრობლემა საკმაოდ ფართოდ და დეტალურად იყო გაშუქებული, მაგრამ მოქმედებდა შერჩევითობის პრინციპი, რაც გულისხმობდა ისტორიიდან პარტიისა და პოლიტიკური იდეოლოგიისათვის სასურველი მოვლენების, ფაქტებისა და ისტორიული პიროვნებების წინა პლანზე წამოწევას. განსაკუთრებით ცალმხრივად და მიკერძოებულად იყო მოცემული კაპიტალისტური ქვეყნების თანამედროვე ისტორია.

გასული საუკუნის 90-იანი წლები საქართველოს უახლესი ისტორიისთვის ერთ-ერთი ყველაზე ბნელი და სისხლიანი პერიოდია. დამოუკიდებლობა ქვეყანას ძალიან ძვირად დაუჯდა. ჩამოქცეული სახელმწიფო ინსტიტუტები თავის ფუნქციამოვალეობებს ვეღარ ასრულებდანენ, ამიტომაც ახალი, საბჭოთა იდეოლოგიისაგან დაცლილი სახელმძღვანელოების გამოცემა საკმაოდ დაგვიანდა. 1995 წლამდე სკოლებში ძველი საბჭოთა სახელმძღვანელოები გამოიყენებოდა.

90-იანი წლების მეორე ნახევარში ნელ-ნელა გამოჩნდა ახალი, ქართველი ავტორების მიერ შექმნილი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები. სწავლების სტრუქტურა გასული ათწლეულის მსგავსი დარჩა, მაგრამ შინაარსი შეიცვალა. ცვლილება მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისგან და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისგან განთავისუფლებაში გამოიხატა. სახელმძღვანელოში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტის თანაბრად გაშუქების ტენდენცია გაჩნდა. განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია საქართველოსა და მსოფლიოს (ამ პერიოდიდან მოყოლებული სსრკ-ს ისტორიაც მასში გაერთიანდა) უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოები, რომელთა მიზანი მთელი რიგი შესწორებების შეტანა იყო სამოცდაათწლიანი ისტორიის აღწერილობაში. წლების მანძილზე გასაბჭოების ლეგიტიმურობის გაბატონებული აზრი გაქარწყლდა ჯერ კიდევ პროფ. ფ. ლომაშვილის სახელმძღვანელოში. ავტორი მაქსიმალურად ცდილობდა ემოციური შეფასებისგან თავის შეკავებას და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ობიექტურად აღწერდა საბჭოთა სისტემას, თუმცა უნდა ითქვას რომ საკმაოდ ხისტ ლექსიკას იყენებდა. აი, როგორ შეფასებას აძლევს იგი კოლმეურნეობის სისტემას:

„კოლმეურნეები მალე მიხვდნენ, რომ ის რაც „ყველასია“ ფაქტობრივად არავისია, ხოლო ის, რაც არავისია, შეგიძლია მიითვისო.” „საკოლმეურნეო-კოოპერაციის საკუთრებისა და წარმოების ასეთი ტრანსფორმაციის საბოლოო შედეგი იყო, რომ კოლმეურნე გლეხი სახელმწიფოს მიერ ექსპლუატაციის მარწუხებში აღმოჩნდა. ფასების, ნორმატივებისა და სხვა კრიტერიუმების დადგენით სახელმწიფო განსაზღვრავდა კოლმეურნე გლეხის ექსპლუატაციის ხარისხს. საკოლმეურნეო წყობილება ფაქტობრივად სახელმწიფო მონობის ერთ-ერთ ფორმად იქცა. კოლმეურნე გლეხის ეკონომიკურმა დამონებამ მისი პოლიტიკური დამონებაც განაპირობა... იგი ქვეყნის არასრულფასოვან მოქალაქედ იქცა.“

ავტორი ხრუშჩოვის გეგმებს ბოდვით იდეებს უწოდებს. წერს, რომ უვიცად ერეოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საქმეში, კუბის კრიზისი კი მის მარცხად არის წარმოჩენილი.

კიდევ ერთი მაგალითი, რა გავლენა მოახდინა შეცვლილმა პოლიტიკურმა ვითარებამ სასკოლო სახელმძღვანელოებში გატარებულ იდეოლოგიაზე: „რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყოველნაირად შეეცადა „უკომპრომისო“ და „გადამწყვეტი“ ბრძოლა გაეჩაღებინა საზოგადოებრივი ცხოვრების ნეგატიურ მოვლენებთან... იმასაც კი არ ითვალისწინებდნენ, რომ ისტორიაში არცერთ საზოგადოებრივ წყობილებას არ წარმოუშვია იმდენი „ნეგატიური“ მოვლენა, რამდენიც საბჭოთა წყობილებამ წარმოშვა. დავიწყებულ იქნა ის ფაქტი, რომ კერძო საკუთრებაზე დამყარებული არცერთი საზოგადოება არ ყოფილა ისეთი უზნეო და ამორალური, როგორიც იყო სოციალისტურ საზოგადოებაზე დამყარებული საბჭოთა საზოგადოება“.

(ლომაშვილი ფ. საქართველოს ისტორია (1918-1985). XI კლასის სახელმძღვანელო. თბილისი. გამომცემლობა განათლება. 1995 წ.)

სსრკ-ს მმართველ პარტიას კომუნისტები წარმოადგენდნენ, რომლებიც ათეიზმსა და ანტი-კაპიტალიზმს (სოციასლიზმს) უჭერდნენ მხარს. სსრკ 1922 წლის ბოლოს (30 დეკემბერს) დაფუძნდა. არსებობის პირველი ნახევარი, რომელიც სტალინს უკავშირდება, სისხლიანი რეპრესიებით გამოირჩევა. 1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ, ძალაუფლება ხელში ნიკიტა ხრუშჩოვმა ჩაიგდო და დაიწყო ე. წ. „დათბობის“ პერიოდი. 1960-იანი წლების შუა ხანებში კი ძალაუფლებაში ლეონიდ ბრეჟნევი მოვიდა. მისი მმართველობის პერიოდი „უძრაობის ხანის“ სახელითაა ცნობილი. სწორედ ამ პერიოდში აღწევენ საბჭოთა მოქალაქეები ცხოვრების ყველაზე მაღალ დონეს. პარალელურად სახელმწიფოში ყვავის კორუფცია და მექრთამეობა. ეკონომიკის სფეროში, სოფლად და ქალაქად, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში ადგილი აქვს ე.წ. „მიწერებს“. ამ გზით შეუფერხებლად უნდა შესრულებულიყო ხუთწლედის გეგმები და გადაჭარბებაც დაფიქსირებულიყო წამყვან სფეროებში. „მიწერები“ ნიშნავდა ფორმალურ ციფრებს, სინამდვილეში ეს იყო თვალის ასახვევად გადადგმული ნაბიჯები საწარმოთა მხრიდან, შეთანხმებული პარტიასა და მთავრობასთან. სახელმწიფო გეგმებისა და წარმოების პარალელურად იქმნებოდა იატაკქვეშა საამქროები, ე. წ. „ცეხები“. აქ ე. წ. „საქმოსნები“ არალეგალურ პროდუქციას აწარმოებდნენ, რომელსაც შემდგომ „შავ ბაზარზე“ ასაღებდნენ. ეს ფაქტები და მოვლენები საბჭოთა და 90-იანი წლების ისტორიის სახელმძღვანელოებში არ აისახებოდა.

პარალელურად 1973-1985 წწ.-ში მსოფლიოში ნავთობის ფასი მაღალ ნიშნულზე იყო, რაც საბჭოთა ეკონომიკის წარმატებას უზრუნველყოფდა. 1986 წელს, სსრკ-ის ახალმა ლიდერმა მიხეილ გორბაჩოვმა „პერესტროიკა“ გამოაცხადა. მისი ახალი პოლიტიკა სოციალისტური ეკონომიკის ლიბერალიზაციას ისახავდა მიზნად. ამ გეგმამ ისედაც შერყეული სსრკ-ის ეკონომიკა სერიოზულ კრიზისში შეიყვანა. 1987-1988 წლებში სსრკ-ში ახალ ძალას იკრებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძ-

რაობები და სახელმწიფოში იწყება პერმანენტული პოლიტიკური კრიზისი. პარალელურად მიმდინარეობდა შიდა დაპირისპირებები კომუნისტურ პარტიაში, რომლის კულმინაცია 1991 წლის აგვისტოს პუტჩი იყო. ამ დროს კომუნისტების რეაქციულმა ფრთამ გორბაჩოვის დამხობა და სსრკ-ს შენარჩუნება მოინდომა, მაგრამ პუტჩი დამარცხდა და მალე, 1991 წლის დეკემბერში სსრკ-მ თვითდაშლა გამოაცხადა.

არცერთ სახელმძღვანელოში არაა ინფორმაცია იმის შესახებ, როგორი იყო მოსახლეობის ფენებში ოფიციალური თვიური შემოსავალი საბჭოთა პერიოდში, გარდამავალ ხანაში, 90-იან წლებში და თანამედროვე პერიოდში; რა იყო უმაღლესი ხელფასი და ყველაზე დაბალი ხელფასი; რას იყიდდი, მაგალითად, საბჭოთა კუპიურებით მაშინ და ახლანდელი ფულით თანამედროვე პერიოდში; რა შეეძლო მოსწავლეს ეყიდა სასკოლო სასადილოში და ა. შ.

საბჭოთა პერიოდის ამსახველ, ჩვენში დამკვიდრებულ ნარატივებში, არსად გვხვდება სიტყვა – ტოტალიტარიზმი. იგი იშვიათად, მხოლოდ ზოგიერთი თემის სათაურში ფიგურირებს.

ამ ფორმაციის არსის ჩვენებას ისტორიის სწავლების პროგრამა ცდილობს – „მოქალაქეთა ცხოვრების ყველა სფეროს კონტროლის“, „რეპრესიების“, „კერძო საკუთრების შეზღუდვის“, „რელიგიის დევნის“ და „ბელადის კულტის“ ელემენტებზე აქცენტირებით. მიუხედავად ამისა, ამ ბლოკში, ქვეყანაში ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების მხოლოდ ერთი კონკრეტული მოვლენა – მეორე მსოფლიო ომი ფიგურირებს. არასაკმარისად არის განხილული 1920-1930-იანი წლების წინააღმდეგობის მოძრაობა, ძალდატანებით კოლექტივიზაცია, დიდი საბჭოთა ტერორი, ეთნიკურ დეპორტაციები და ა. შ.

ფაქტობრივად იგნორირებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: ტოტალიტარიზმის ზემოქმედება საზოგადოებაზე; მისი სტრუქტურებისა და პრაქტიკის დამკვიდრების ლოგიკა; კოლაბორაცია; კომპარტიის, როგორც ტოტალიტარიზმის მთავარი აქტორის, ადგილი ისტორიაში; პოსტსტალინური და გვიანი პერიოდის საბჭოეთის რეალობა.

დასკვნა:

- სტანდარტისა და პროგრამის, შემდეგ კი გრიფირებული სახელმძღვანელოების სისტემური და შინაარსობრივი ანალიზი ცხადად გვაჩვენებს, თუ რაოდენ კრიტიკულ მდგომარეობაშია სკოლებში უახლესი ისტორიისა და საბჭოთა პერიოდის სწავლება:
- არსებული სასწავლო გეგმა და უახლესი ისტორიის სწავლებისათვის განკუთვნილი დროის რესურსი, სკოლას და პედაგოგს ფაქტობრივად შანსს არ უტოვებს, რომ მოსწავლეს, როგორც ახალბედა მოქალაქეს, სათანადოდ გადასცეს ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ცოდნა: თანამედროვე სამყაროს მოცემულობა, მისი მოწყობისა და განვითარების ლოგიკა; პიროვნულად და საერთო ეროვნულ და სახელმწიფოებრივ პერსპექტივაში, საკუთარი ადგილის განსაზღვრა რეალურ გარე-

მოში. ეს შეუძლებელს ხდის, სწავლება კიდევ უფრო მიუახლოვდეს თანამედროვე რეალობისათვის შესაფერის დონეს.

- პრობლემურია თავად სტანდარტით განსაზღვრული აქცენტები. იგი არ ეფუძნება უახლესი ისტორიის კრიტიკულ, გააზრებულ ცოდნას და იმთავითვე მცდარ ორიენტირებს უწესებს სახელმძღვანელოებსა და შესაბამისად – სასწავლო პროცესს.
- ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს თავად სახელმძღვანელოებიც; უახლესი ისტორიის პერიოდი მომზადებულია ადამიანების მიერ, რომელთაც უშუალო შეხება არა აქვთ სფეროსთან ან ძალზე ფრაგმენტული ცოდნით არიან წარმოდგენილნი, შესაბამისად – სახელმძღვანელოებში მოცემული ნარატივი წარმოადგენს ამ ზედაპირული ცოდნის, პირადი დამოკიდებულებების, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კლიშეების ტოქსიკურ ნაზავს, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებს მოსწავლეს სიღრმისეული ცოდნა მისცეს უახლესი ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს პერიოდზე და ვერც კრიტიკული ანალიზის უნარს განუვითარებს. მხოლოდ საბჭოთა პერიოდის ნარატივის მიმოხილვის მაგალითზე გამოვლენილი საკმაოდ მძიმე სურათი ასევე გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ არანაკლებ მძიმე მდგომარეობაა არათუ XIX საუკუნის ისტორიასთან, ან გლობალური ისტორიის საკითხებთან მიმართებით, არამედ ასევე გვიბიძგებს ვიფიქროთ, თუ რამდენად კრიტიკული და ფხიზელი დამოკიდებულებაა საჭირო საქართველოს ძველი ისტორიის სწავლების მიმართაც.

ისტორიის პოლიტიკა საბჭოთა კავშირში

ზოგადი კონტექსტი:

ლენინსა და სტალინს, ისევე როგორც მარქსს, მიაჩნდათ, რომ ნაციონალიზმი ბურჟუაზიული მოვლენა იყო. მათი აზრით, ერთი მხრივ, ნაციონალიზმი იყო სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის გამოვლენა ნაციონალისტური ფორმებით, მეორე მხრივ, კი ბურჟუაზია მას იყენებდა, როგორც „ცრუ“ იდეოლოგიას, ეროვნული ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური გეგმების შესანიღბად და მასების ყურადღების გადასატანად რეალური პრობლემებიდან. ამასთანავე, მათ მიაჩნდათ, რომ ნაციონალიზმი იყო გარდაუვალი ეტაპი კაპიტალიზმის შედეგი, რომელიც უნდა გადალახულიყო კლასთა შორის კონფლიქტის გზით. ამის გამო, ლენინი და სტალინი თვლიდნენ, რომ თუკი საბჭოთა კავშირში არსებულ ეთნიკურ უმცირესობებს მისცემდნენ იმის უფლებას, რომ საკუთარი ნაციონალისტური ფორმები განევითარებინათ, ბურჟუაზია ნაციონალიზმზე კონტროლს დაკარგავდა. ამასთანავე, ისინი მიიჩნევდნენ, რომ მცირე ერების ნაციონალიზმი იყო პასუხი დიდი ერების შოვინიზმზე და იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირში შემავალ ეროვნებებს შორის მსგავსი ურთიერთმიმართება აღმოეფხვრათ, ასეთ ხერხს მიმართეს. თავდაპირველად ნაციონალიზმის ერთადერთი ფორმა, რომელსაც ხელს არ უწყობდა სსრკ, იყო რუსული ნაციონალიზმი. მას ისინი რუსულ შოვინიზმად მოიხსენიებდნენ. ამგვარი

მოსაზრებებისა და მიდგომების შედეგი იყო ე.წ. „კორენიზაციის“ პოლიტიკა, რაც ნიშნავდა ლოკალური, არარუსული ეთნიკური იდენტობების მიზანმიმართულ განვითარებას.

საბჭოთა კავშირში “კორენიზაციის” პოლიტიკას ასევე გავლენა ქონდა ნაციონალური ისტორიის წერის პროცესზე. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ისტორიის წერა არ იკრძალებოდა არარუსულ რესპუბლიკებში, საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად ეწეოდა მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მატერიალიზმის პროპაგანდას. მარქსისტული ისტორიოგრაფია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სოციალურ კლასებსა და ეკონომიკაზე და მიიჩნევს, რომ სწორედ ეს ორი რამ არის ისტორიული მოვლენების მთავარი განმაპირობებელი. ამის გამო, მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში ყველა ისტორიული მოვლენა განხილულია სწორედ სოციალურ კლასებს შორის ურთიერთმიმართებისა და ეკონომიკის პრიზმიდან, უკლასო საზოგადოება კი მიჩნეულია ისტორიის დასასრულად. აქედან გამომდინარე, საბჭოთა ისტორიკოსებს მოეთხოვებოდათ, რომ ისტორია დაეწერათ კლასობრივი ურთიერთობების ანალიზის კუთხით. მეტიც, ისტორია სკოლებში ჩანაცვლდა ინტერდისციპლინარული სოციალური მეცნიერებების საგნით. იგი ფოკუსირებული იყო ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: კლასთა შორის კონფლიქტი, ეკონომიკა, შრომა და ა.შ. თუმცა, ამგვარი პოლიტიკა წარუმატებელი აღმოჩნდა საერთო იდეალების გარშემო მოსახლეობის მასობრივი მობილიზაციისთვის. არადა საბჭოთა ხელისუფლებისთვის ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ინდუსტრიალიზაციისა და განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის წინ სამზადისის პროცესში.

1930-იან წლებში სტალინმა საბჭოთა კავშირში ისტორიასთან დაკავშირებული ახალი პოლიტიკა გაატარა. უპირველეს ყოვლისა, ეს გულისხმობდა რუსული ნაციონალიზმის, გმირებისა და მითების რეაბილიტაციასა და წინა პლანზე წამოწევას. იგი უმთავრესად ემსახურებოდა ომის წინ მასობრივი მობილიზაციის დაჩქარებას და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ლეგიტიმაციას. პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდა და გააქტიურდა 1941-წლიდან, სამამულო ომის დაწყების შემდგომ.1934 წელს, სტალინის უშუალო ბრძანებით დაიწყო სსრკ-ის ისტორიის პირველი სტანდარტიზებული სახელმძღვანელოს წერა. სახელმძღვანელოს მთავარი ფუნქცია უნდა ყოფილიყო ის, რომ ერთ საერთო ნარატივში გაეერთიანებინა საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ისტორიები. ამ საქმისთვის შეიქმნა ისტორიკოსთა რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც რეგულარულად ამზადებდნენ სახელმძღვანელოს სხვადასხვა ვერსიებს. მათ განხილვაში სტალინი პირადად იყო ჩართული. ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ, საბოლოოდ, 1937 წელს გამოქვეყნდა ანდრეი შესტაკოვის მიერ დაწერილი სახელმძღვანელო „Краткий курс истории СССР“ („სსრკ-ის ისტორიის მოკლე კურსი“). უნდა ითქვას, რომ მიუხედავად წიგნის სათაურისა, აღნიშნული სახელმძღვანელო რუსეთის ისტორია უფრო იყო, ვიდრე დანარჩენი რესპუბლიკების. მთავარ პრობლემას კი წარმოადგენდა ის, რომ ავტორებს უნდა მიეგნოთ იმგვარი ნარატივისთვის, რომელიც გაამართლებდა რესპუბლიკების შე-

ერთებას ჯერ რუსეთის იმპერიასთან, შემდეგ კი – საბჭოთა კავშირთან. ამ ყველაფერს კი ოკუპაციის ან რუსული შოვინიზმის სახე არ უნდა მისცემოდა. ისტორიკოსთა ჯგუფები შეიქმნა რუსეთის გარეთაც, საბჭოთა რესპუბლიკებშიც და მათ დაევალათ შესაბამისი რესპუბლიკების ისტორიის დაწერა.

საბჭოთა რესპუბლიკებში ახალი ნაციონალური ისტორიის წერის პროცესი „ხალხთა შორის მეგობრობის“ კამპანიის თანხლებით მიმდინარეობდა. აღნიშნული კამპანია ორ კომპონენტს მოიცავდა: 1. საბჭოთა ხელისუფლება ხელს უწყობდა საბჭოთა რესპუბლიკებში ტიტულარული ეროვნებების ეთნო-ნაციონალისტური სენტიმენტების გაღვივებას ეთნიკური უმცირესობების შევიწროების ხარჯზე; 2. რუსული ნაციონალიზმი და კულტურა განხილული იყო, როგორც სხვა დანარჩენ ეროვნებებზე ზემდგომი და უპირატესი. ისტორიის წერის პროცესი ამ კამპანიის გავლენით ორად იყოფოდა – ერთი მხრივ, წახალისებული იყო ნაციონალიზმის „პრიმორდიალური“ ხედვა, რაც გულისხმობს ერის, როგორც ბუნებრივი, თავისთავადი და ანტიკური ფენომენის განხილვას, მეორე მხრივ კი, ხაზგასმული იყო რუსეთის ცენტრალური როლი სსრკ-ში იმის ნიშნად, რომ რუსეთი იყო „პირველი თანასწორთა შორის“, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკებს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე წინ უნდა გასძღოლოდა. შედეგად, საბჭოთა რესპუბლიკებში ნაციონალისტური და პატრიოტული სენტიმენტების აქტიური პროპაგანდა მიმდინარეობდა, თუმცა იჩაგრებოდნენ სხვადასხვა რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები. ითვლებოდა, რომ მათ უნდა განეცადათ ასიმილირება ტიტულარულ ეროვნებებთან.

საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად უჭერდა მხარს სხვადასხვა ერების ნაციონალური კულტურის ეგზოტიკური ელემენტების წარმოჩენას. ამისთვის, მოსკოვში იმართებოდა „ეროვნული კულტურის კვირეულები“. ამ ეგიდით საბჭოთა რესპუბლიკებიდან დელეგაციები ჩადიოდნენ მოსკოვში და აწყობდნენ გამოფენებს, ლიტერატურულ შეხვედრებსა და სხვადასხვა ღონისძიებებს. ასე ჩავიდა ქართული დელეგაცია რუსეთში 1937 წელს და დიდი ზარ-ზეიმით ჩაატარა ქართული მწერლობის, მუსიკის, ცეკვისა და ხელოვნების სხვა დარგების პრეზენტაცია. ამ ღონისძიებაზე ოფიციალურად პირველად გაისმა ისეთი ეპითეტი საქართველოს მიმართ, როგორიცაა „Солнечная Грузия“ („მზიანი საქართველო“). გარდა ამისა, ითვლებოდა, რომ ყველა რესპუბლიკას უნდა ჰყოლოდა ეროვნული პოეტი. ამიტომ პუშკინის, რუსთაველის, შევჩენკოს და სხვა რესპუბლიკების პოეტთა ნაწარმოებები აქტიურად ითარგმნებოდა რუსულად და ვრცელდებოდა სრულიად საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ამ პოლიტიკამ საბჭოთა რესპუბლიკებში გავლენა იქონია ისტორიის წერის პროცესზეც. ისტორიკოსთა ჯგუფებს დავალებული ქონდათ, რომ კონკრეტულ რესპუბლიკაში ტიტულარული ეროვნების ისტორია დაეწერათ პრიმორდიალური და პატრიოტული პერსპექტივიდან, მაგრამ სხვადასხვა რესპუბლიკის ისტორიის სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი ნარატივი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო შესტაკოვის წიგნთან. ისტორიკოსთა ამგვარი ჯგუფები მუშაობდნენ სრულიად საბჭოთა კავშირის მასშტაბით და ამ მხრივ არც საქართველო იყო გამონაკლისი.

ამ დროს ივანე ჯავახიშვილის მიმართ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. უფრო ადრე მას სასტიკად ებრძოდნენ ბოლშევიკები. ამის გამო მისი, როგორც მეცნიერის გასამართლებაც კი მოაწყეს უნივერსიტეტში და კათედრაც კი დაატოვებინეს. ამ ფაქტის შესახებ ძალიან ბევრი ნაშრომი და სტატია არის გამოქვეყნებული XX ს-ის 90-იანი წლებიდან მყოლებული. 1936 წლიდან ი. ჯავახიშვილი სათავეში ჩაუყენეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საქართველოს ისტორიის განყოფილებას. ასევე იგი დაინიშნა კავკასიისმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტად. 1937 წელს იგი გახდა ასევე რუსთაველის სახელობის მუზეუმის დირექტორი, 1939 წელს კი აირჩიეს სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. იმავე პერიოდში მან, ნიკო ბერძენიშვილთან და სიმონ ჯანაშიასთან ერთად, საქართველოს ისტორიის პირველ ოფიციალურ სახელმძღვანელოზე დაიწყო მუშაობა. სახელმძღვანელოს – „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე“ – პირველი ვერსია უკვე მზად იყო 1940 წელს, თუმცა იგი გამოიცა მხოლოდ 1943-ში, ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ. 1945 წელს კი ბერძენიშვილი და ჯანაშია სტალინს შეხვდნენ ქალაქ სოჭში / ამის შესახებ ნ. ბერძენიშვილის მემუარებიდან ვიგებთ, რომ პირადად მისგან მიიღეს ინსტრუქციები სახელმძღვანელოში შესატან ცვლილებებზე. ამ სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსია 1946 წელს დაიბეჭდა და მან სტალინის პრემიაც კი დაიმსახურა.

მოკლე დროში საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულების ამგვარ რადიკალურ ცვლილებას ზოგიერთი ისტორიკოსი იმით ხსნის, რომ თითქოს ივანე ჯავახიშვილის შესახებ ცნობებმა სტალინის ყურამდე მიაღწია. მათი ვერსიით ამ დროს „ტროცკისტებთან“ ბრძოლაში ჩართულ სტალინს სურდა დაემტკიცებინა, რომ ის არა ველური, არამედ მაღალი კულტურის მქონე ქვეყნიდან იყო. ამისთვის კი ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები გამოდგებოდა. ამიტომ, მათი მტკიცებით, სტალინმა გასცა ბრძანება, რომ შეწყვეტილიყო ი. ჯავახიშვილის დევნა. მის მიმართ შეცვლილი დამოკიდებულების ამგვარი ახსნა არ ემყარება რაიმე ხელშესახებ დოკუმენტებს ან ფაქტებს და უფრო მეტად მოვლენების ინტერპრეტაციაა. თუკი სტალინის დროინდელი საბჭოთა კავშირის ზოგად კონტექსტს გავითვალისწინებთ, გაცილებით უფრო მარტივი ასახსნელი ხდება ის, თუ რატომ შეცვალა საბჭოთა ხელისუფლებამ ჯავახიშვილის მიმართ პოლიტიკა.

სწორედ სტალინის ისტორიის პოლიტიკის ფარგლებში, ამავე პერიოდში, სრულიად საბჭოთა კავშირის მასშტაბით იწერებოდა ისტორიის ახალი სახელმძღვანელოები და იქმნებოდა ახალი, ერთიანი ნაციონალური ნარატივი. ეს ნარატივი ერთი მხრივ იყო „რუსოცენტრული“ და სხვადასხვა ერების რუსეთთან შეერთებას წარმოაჩენდა პოზიტიურ, პროგრესულ მოვლენად. მეორე მხრივ კი – პრიმორდიალური და ემსახურებოდა საბჭოთა კავშირის ტიტულარული ეროვნებების ანტიკურობის მტკიცებას. საქართველოს შემთხვევაში, ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა ქართველების წინა აზიურ ხალხებთან კავშირის და-

მტკიცება. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებს, რომელთა დიდ ნაწილსაც წარმოადგენდა ქართველების ეთნოგენეზი, უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ჰქონდა ამ პროცესში. შესაბამისად, არაა გასაკვირი, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ივანე ჯავახიშვილის ჩართვა გადაწყვიტა ახალი ისტორიის წერის პროცესში.

თუკი დავაკვირდებით ისტორიული ნარატივის ცვლილებას და ერთმანეთს შევადარებთ ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიასა“ და 1940, 1943 და 1946 წლებში გამოცემულ ისტორიის სახელმძღვანელოებს ჯავახიშვილის, ბერძენიშვილისა და ჯანაშიას თანაავტორობით, მარტივი შესამჩნევი ხდება, რომ ისტორიის სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსიაში გამოყენებულია ჯავახიშვილის კვლევები და ფაქტობრივი მასალები. აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოება. მოხდა მათი გარკვეული ინტერპრეტაცია იმგვარად, რომ ერთი მხრივ, იგი წინააღმდეგობაში არ მოსულიყო მარქსისტული ისტორიოგრაფიის პრინციპებთან და მეორე, იგი ასევე თავსებადი ყოფილიყო სტალინისტურ ისტორიოგრაფიასთან. ამ პერიოდიდან, ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩნდება ისეთი კონცეპტები, როგორიცაა „რუსეთი, როგორც უმცირესი ბოროტება საქართველოს სხვა პოტენციურ დამპყრობლებს შორის“, „რუსეთის გავლით ევროპისკენ“ და ა.შ. შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ი. ჯავახიშვილის მიმართ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულების ცვლილება განპირობებული იყო არა სტალინის სენტიმენტებით საკუთარი სამშობლოს მიმართ, არამედ სრულიად პრაგმატული შემდეგი მოტივით: ი. ჯავახიშვილის შრომებისა და მათი ახლებური ინტერპრეტაციის საფუძველზე უნდა შექმნილიყო ახალი ისტორიული ნარატივი, რომელიც თავსებადი იქნებოდა საერთო საბჭოთა ისტორიულ ნარატივთან.

როგორც ჩანს, ნიკო ბერძენიშვილის მიერ 1936 წლის „დისკუსიაზე“ გაჟღერებული მოსაზრება, რომ ივანე ჯავახიშვილის მიერ მოპოვებული და აღმოჩენილი ფასდაუდებელი ფაქტები საბჭოთა ისტორიკოსებს ახლებურად, „კრიტიკულად“ უნდა გაეაზრებინათ და „მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეთოდის მიხედვით“ ხელახლა შეეფასებინათ, ყველაზე უფრო მისაღები გამოდგა საბჭოთა ხელისუფლებისთვის და ასეც მოიქცნენ. ივანე ჯავახიშვილი გადაურჩა მკაცრ რეპრესიებს და დაუბრუნდა სამეცნიერიო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისი ნაშრომები მოექცა საერთო საბჭოთა ისტორიის პოლიტიკის ჩარჩოებში და წლების განმავლობაში ახლებური ინტერპრეტაციით მიეწოდებოდა ფართო საზოგადოებას. თავად ივანე ჯავახიშვილის ბედი კი, მიუხედავად იმისა, რომ სტალინურ ტერორს გადაურჩა, საკმაოდ ტრაგიკული აღმოჩნდა. მას სიცოცხლის ბოლომდე აღარ მისცემია დამოუკიდებლად მუშაობის საშუალება იმ იდეებისა და ღირებულებებისთვის, რისიც თავად სწამდა და სჯეროდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად 1930 და 1936 წლებში გამართული „დისკუსიების“ დროს გამოჩენილი „თავდადებისა“ საბჭოთა იდეალების მიმართ, ივანე ჯავახიშვილის კრიტიკოსი არაერთი მეცნიერი თავადვე ემსხვერპლა სტალინურ ტერორს. მათ შორის იყვნენ ივანე ვაშაყმაძე, რომელიც 1937 წელს დახვრიტეს „ტროცკისტობის“ ბრალდებით და კარლო ორაგველიძე, რო-

მელსაც ბრალად ედებოდა, რომ მალაქია ტოროშელიძის დავალებით, სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა „მემარჯვენე-ტროცკისტული“ ორგანიზაცია და ხელმძღვანელობდა მას. ეს ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი ისეთივე სასტიკი და გულგრილი იყო როგორც მტრების თუ მის მიერ მტრად შერაცხული, ასევე მისდამი გულანთებული მომხრეების მიმართაც. საკმარისი იყო მცირე ინტერესთა კონფლიქტი საბჭოთა მაღალჩინოსანთან, ერთი დასმენა ან უბრალოდ ეჭვი, რომ სისტემა განურჩევლად სწირავდა ყველას, ვინც მისთვის „გამოუსადეგარი“ ან „მიუღებელი“ იყო.

აქვე აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი საბჭოთა კონიუნქტურის პირობებში ნ. ბერძენიშვილის, ს. ჯანაშიას და ზოგიერთი სხვა ისტორიკოსის გამოსვლები 1936 წლისთვის არ იყო მარტივი და შეიძლება ითქვას მამაცობასაც მოითხოვდა. მაშინ, როდესაც სისტემა აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა და საბჭოთა ადამიანებს მოუწოდებდა „პავლიკ მოროზოვობისკენ“ ისტორიკოსებისთვის ურთულესი ამბავი იყო ჯავახიშვილისთვის კვლავ თავიანთი მასწავლებელი ეწოდებინათ და მსგავსად, მოზომილად შეეფასებინათ.

ტოტალიტარული პროპაგანდა და მეხსიერება

მეოცე საუკუნეში ტირანიის ახალი და ექსტრემალური ფორმა, ტოტალიტარიზმი გაჩნდა. ტერმინი ამ შემთხვევაში გულისხმობს საზოგადოებაზე ტირანი მმართველებისა და მათგან თავსმოხვეული შეხედულებების სრულ ბატონობას. მთავრობის ძალაუფლება იმდენად ფართოა, რომ რეჟიმი ქვეშევრდომების მხოლოდ კონტროლს კი არა ადამიანური ბუნების გარდაქმნასაც ცდილობს. ძალადობა ყველა ტოტალიტარული სახელმწიფოს საფუძველია – კონტროლირებადი, სისტემატური, სახელმწიფოს მიერ თავსმოხვეული ძალადობა. ეს ძალადობა ხშირად განურჩეველი, მასობრივი ტერორისა და გენოციდის სახეს იღებდა, რომელიც ხალხის მთელი ჯგუფების, კატეგორიების ან კლასების წინააღმდეგა იყო მიმართული.

მე-20 საუკუნეში აღზევებული ტოტალიტარული რეჟიმების იდეოლოგიებში გამოკვეთილი იყო ახალი ტიპის ადამიანისა და საზოგადოების ჩამოყალიბების ამოცანა, რომელიც ამ ლოზუნგებისა და პროპაგანდის მიღმა, რეალურად სისტემის მორჩილ და საკუთარი აზრის არმქონე მოქალაქეების თაობების გაზრდას და მათზე სისტემის მარადიულ ბატონობას გულისხმობდა.

ამ ამოცანას ემსახურებოდა ტოტალიტარული რეჟიმის პროპაგანდისა და აგიტაციის ბევრი მექანიზმი. რეჟიმის ხმა ისმოდა ყველგან – რადიოში, ტელევიზიაში, გაზეთის ყველა სვეტში, ქალაქის ყველა კედელზე, ტრანსპორტში, ტოტალიტარული სისტემის ბელადების სახეებს უცქერდნენ თაობები საბავშვო ბაღიდან მოყოლებული სიბერემდე. ტოტალიტარული რეჟიმის პროპაგანდის ათწლეულები ენაზეც კი ახდენდა გავლენას და მის ქსოვილს ცვლიდა.

სწორედაც, ტოტალიტარულ სახელმწიფოში და სახელდობრ, მის განათლების

სისტემაში აუცილებელია ბერკეტები, რომელიც მორჩილ თაობას აღუზრდის ხელისუფალთ. ამისთვის გამოყენებულია ჰუმანიტარული დისციპლინების სახელმძღვანელოები, სადაც პირდაპირ თუ შეფარულად ვხვდებით პროპაგანდის მაგალითებს.

„ახალი ადამიანისა" და საზოგადოების ჩამოყალიბების გზაზე, ტოტალიტარულ რეჟიმებს საერთო მეხსიერების წაშლა და მისი ჩანაცვლება სჭირდებოდათ. ისტორიის მეცნიერება, სკოლა და მეხსიერების ადგილები მკაცრი იდეოლოგიური ჩარჩოებისა და მუდმივი კონტროლის ქვეშ უნდა ყოფილიყო. ეპოქის თვითმხილველებსა და მონაწილეებს საჯაროდ და ღიად ვერ უნდა ესაუბრათ წარსულის რეალური სურათის შესახებ. ისტორიული წყაროები მოქალაქეებისათვის მიუწვდომლად – საიდუმლო საცავებში უნდა ყოფილიყო გამოკეტილი, ახალ თაობებს კი წარსულის რეჟიმის მიერ შექმნილი ერთადერთი და ჭეშმარიტი სურათი უნდა სცოდნოდათ. ტოტალიტარული სახელმწიფოს უცვლელი დამახასიათებელი ელემენტის _ მასობრივი რეპრესიებისა და შიდა პოლიტიკური წმენდების კვალდაკვალ კი, წარსულის მუდმივი გადაწერა "მტრის ხატის" ცვლილება, არასასურველი ფიგურებისა და მოვლენების გაქრობა ისტორიის სახელმძღვანელოების შედგენისას ჩვეულ და აუცილებელ მოვლენად იქცეოდა ხოლმე.

ისტორიული მეხსიერების ტოტალიტარულ თარგზე მოჭრის პროცესი საბჭოეთის დაშლამ ვერ დაასრულა და მისი ეფექტები დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც არაა დაძლეული.

თანამედროვე სასკოლო და უმაღლესი განათლების სისტემა სრულად არაა გათავისუფლებული საბჭოური მემკვიდრეობისაგან. ეს კი ისტორიის პროპაგანდისტული მიზნებისთვის გამოყენებაში ეხმარება ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილ ხელისუფლებებს.

საკონკურსო თემაზე, „ისტორიაზე დაფუძნებული პროპაგანდა XX-XXI საუკუნეებში", ყველაზე მისაღები საშუალება ამ კუთხით იქნება, სახელმძღვანელოების კვლევა ორი მიმართულებით: საბჭოთა-ტოტალიტარული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს პერიოდები. ისტორიაზე დაფუძნებული პროპაგანდის თაობაზე მოსწავლეებმა შეიძლება მოიძიონ საჭირო მასალები როგორც ძველ, ასევე თანამედროვე სახელმძღვანელოებში.

2023-2024 წლების ისტორიის სასკოლო კონკურსი თემაზე, „ტოტალიტარული პროპაგანდა და მეხსიერება", სთავაზობს და უბიძგებს მონაწილე მოსწავლეებს და პედაგოგებს, იკვლიონ და გაანალიზონ ტოტალიტარული რეჟიმის პროპაგანდის გავლენა ჩვენი საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაზე.

უშუალოდ ისტორიის სწავლებაში ტოტალიტარული სისტემის გავლენის დასაფიქსირებლად, შევეცადოთ და გავაანალიზოთ ისტორიის სახელ-მძღვანელოები – საბჭოთა ტოტალიტარული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს პერიოდებში. მოსწავლეებმა შეიძლება მოიძიონ ტოტალიტარული პროპაგანდის და იდეოლოგიის გავლენის ამსახველი მასალები ისტორიისა და მეხსიერების სფეროზე როგორც ძველ, ასევე თანამედროვე სახელმძღვანელოებში.

რუსეთის ისტორიის ახალი სახელმძღვანელო

ახალ რუსულ სახელმძღვანელოში „ანექსია“ უწოდეს გერმანიის გაერთიანებას. ეს ხდება ისტორიის ახალ, თანამედროვე ეპოქაში, ახლებურად გადამუშავებულ სახელმძღვანელოში, რომლითაც ასწავლიან ისტორიას რუსულ სკოლებში. მოკლედ, 1990 წელს გერმანიის გაერთიანება „ანექსიად“ არის მოხსენიებული. სახელმძღვანელოში საბჭოთა კავშირის სატელიტი სახელმწიფოებისგან შემდგარი ,,ვარშავის პაქტის“ დაშლაც „კოლექტიური დასავლეთის“ ძალისხმევითაა ახსნილი.

ზემოთხსენებული სახელმძღვანელო უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ გამოვიდა კულტურის ყოფილი მინისტრის და ამჟამად პუტინის დამხმარის (მრჩევლის ანალოგი რუსულ სისტემაში), ვლადიმერ მედინსკის ავტორობით.

მედინსკისა და სხვების სახელმძღვანელოში უახლესი ისტორია კრემლის ამჟამინდელი ნარატივის შესაბამისადაა წარმოდგენილი – მაგალითად, უკრაინაში მოქმედ „ნაცისტურ რეჟიმზე“, რომლის არსებობაც დასავლეთს რუსეთის გასანადგურებლად სჭირდება. აგრეთვე ახლებურადაა წარმოჩენილი უახლესი ისტორიის სხვა მოვლენებიც – ვარშავის პაქტისა და საბჭოთა იმპერიის დაშლაც. რა შეიცვალა?

„დოიჩე ველეს“ თანახმად, გერმანიის გაერთიანების საკითხი ძველ, 2021 წლის სახელმძღვანელოში შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი: პროსაბჭოთა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში „მომწიფდა ღრმა პოლიტიკური კრიზისი“ და „გამოსავალი მხოლოდ ხელისუფლების ცვლილებით შეიძლება ყოფილიყო მიღწეული“. 2023 წელს სახელმძღვანელო ხელახლა გამოიცა, თუმცა შეინარჩუნა ძველი ფორმულირებები. ეს სახელმძღვანელო ისტორიის „საბაზისო დონეზე“ შესასწავლად იყო განკუთვნილი.

2023 წლის 1 სექტემბრიდან რუსულ სკოლებში ისტორიის მეორე, „უფრო სიღრმისეული“ სახელმძღვანელოც გამოჩნდა – საგანში კარგად გარკვეული მოსწავლეებისთვის. „მედინსკის სახელმძღვანელო“, როგორც მას უწოდებენ, კულტურის ყოფილი მინისტრის, ვლადიმერ მედინსკის მიერაა დაწერილი. 2017 წელს იგი სადოქტორო ნამუშევრის პლაგიატში დაადანაშაულეს. განათლების სამინისტროს შესაბამისმა კომისიამ რეკომენდაცია გასცა, მაშინ ჯერ კიდევ მინისტრ მედინსკისთვის ხარისხი ჩამოერთმიათ და აღნიშნა, რომ მას: არ აქვს ისტორიკოსის საბაზისო პროფესიული უნარ-ჩვევები და უპირველეს ყოვლისა, მის მიერვე მოყვანილი წყაროების ანალიზის უნარი“.

„მედინსკის სახელმძღვანელო“ გერმანიის გაერთიანებასა და აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა იმპერიის ნგრევას სულ სხვაგვარად აღწერს. მაგ: საბჭოთა ჯარების გამოყვანა ვარშავის პაქტის ქვეყნებიდან „დაუფიქრებელ გადაწყვეტილებადაა“ შერაცხული, რომელსაც მოჰყვა „ნაციონალისტური და ანტისაბჭოთა განწყობების მკვეთრი ზრდა“. ეს კი გამოიყენა „კოლექტიურმა დასავლეთმა“ და მოაწყო რევოლუციები ვარშავის პაქტის ქვეყნებში.

ამავე ქვეთავში მოცემულია 1990 წლის გერმანული პლაკატი, წარწერით „დასავლეთი და აღმოსავლეთი ერთად ქმნიან მომავალს გერმანიისთვისა და ევროპისთვის“. ავტორები აქვე აფიქსირებენ თავიანთ აზრს ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანებაზე: „აღმოსავლეთ გერმანიის ანექსიამ საზოგადოებაში ეიფორია გამოიწვია“.

ისტორიის პოლიტიკურად მოტივირებული გადააზრება

რუსეთი და ვლადიმერ პუტინი ახალი სახელმძღვანელოებით ცდილობენ, პოლიტიკური მოტივაციითა და ყალბ ფაქტებზე დაყრდნობით, გადაიაზრონ ისტორია, ასე განმარტავს ამ ფაქტს „დოიჩე ველეს“-თან ინტერვიუში ნიკო ლამპრეხტი, გერმანიის ისტორიის მასწავლებელთა კავშირის ხელმძღვანელი.

„პრეზიდენტმა პუტინმა სრულიად გადაწერა ისტორია. რაღაც მსგავსი უკვე გვინახავს – მისი მტკიცებები მეორე მსოფლიო ომის დაწყებისა და მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტზე. ახლა იგი იმავეს აკეთებს ომის შემდგომი პერიოდისა და უახლესი ისტორიის მიმართებაში. მისი გადმოსახედიდან, რუსული იმპერია ყოველთვის მართალია და შეუძლია დაიბრუნოს, რაც კი მოესურვება. ამიტომ უნდა აჩვენოს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა „ანექსირებულია“. იგი ამ ისტორიულ ფაქტს წარმოაჩენს ისე, თითქოს ეს სადავო საკითხია და სადაც (იგულისხმება საბჭოთა ოკუპაციაში ათწლეულების განმავლობაში მყოფი ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.) შეიძლება დაბრუნდეს კიდეც“.

მისივე თქმით, ანექსიაზე საუბარი ისტორიული ფაქტებით არაა გამყარებული: „საქმე გვაქვს ყალბ ფაქტებზე დაფუძნებულ, პოლიტიკურად მოტივირებულ ისტორიის გადააზრებასთან. უმრავლესობა გერმანიის გაერთიანების წინააღმდეგი არასდროს ყოფილა! უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ამ იდეას! 1989-90 წლებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (დასავლეთის) ტანკებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (აღმოსავლეთის) საზღვარი არ გადაუკვეთთავთ ოკუპაციის მიზნით“, – აჯამებს ლამპრეხტი.

როგორ გაიყო და გაერთიანდა გერმანია

მეორე მსოფლიო ომში ნაცისტური გერმანიის უპირობო კაპიტულაციის შემდეგ, ის, რაც გერმანული სახელმწიფოს ტერიტორიად დარჩა, ოთხმა გამარჯვებულმა სახელმწიფომ, ბრიტანეთმა, სსრკ-მ, აშშ-მ და საფრანგეთმა ოთხ საოკუპაციო ზონად დაყო. საბოლოო ჯამში, დასავლეთის ქვეყნების სამი ზონა გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკად, იგივე დასავლეთ გერმანიად გაერთიანდა, საბჭოთა ზონა კი, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკად, იგივე აღმოსავლეთ გერმანიად იქცა.

ამგვარად, 1949 წლიდან 1990-მდე ორი გერმანული სახელმწიფო არსებობდა. აღმოსავლეთ გერმანიის კომუნისტური რეჟიმის რღვევა საბჭოთა კავშირში კომპარტიის მიერ ხელისუფლების სადავეების დაკარგვას მოჰყვა.

1989 წელს ბერლინის კედელი, რომელიც 1961 წელს აღმოსავლეთიდან დასავლეთ ბერლინში მოქალაქეების გაქცევის შესაჩერებლად ააგეს, დაინგრა. 1990 წლის არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატების გამარჯვების შემდეგ, იმავე წლის 23 აგვისტოს, აღმოსავლეთ გერმანიის პარლამენტმა დასავლეთ გერმანიასთან გაერთიანება მოითხოვა. 3 ოქტომბერს აშშ-ის, სსრკ-ის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის თანხმობით ეს გაერთიანება შედგა.

ვინ მოიპარა კიევის რუსეთის ისტორია

მე-10 საუკუნეში ჩამოყალიბებულ ახალ სახელმწიფოს რეალურად კიევის რუსეთი კი არა, არამედ კიევის რუსი (კიევსკაია რუს) ეწოდა. კიევის რუსს ურთიერთობა იმ პერიოდის საფრანგეთთან, შვედეთთან და სხვა სახელმწიფოებთან ჰქონდა. მათ ასევე შეიმუშავეს კანონები, რომლებიც თითოეულ მოქალაქეზე ვრცელდებოდა და საკმაოდ წარმატებული სახელმწიფოც შექმნეს.

მოსკოვია კიევის რუსის მოსაზღვრე მცირე სავაჭრო ადგილს წარმოადგენდა. აქ ძირითადად ფინო-უგრული წარმოშობის ხალხები ცხოვრობდნენ. ისინი განვითარების დონით კიევის რუსს საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ. როგორც ცნობილია, კიევის რუსი მოსკოვიაში ცივილიზაციის შეტანის მიზნით იქ სასულიერო პირებსა თუ მშენებლებს აგზავნიდა. იმ პერიოდის წყაროებში მოსკოვის ტერიტორია მოიხსენიებოდა, როგორც „მიწა ტყის გადაღმა“.

მე-17 საუკუნემდე გავრცელებულ რუკებსა და სახელმწიფო დოკუმენტებში, ეს ტერიტორია მუდმივად მოსკოვიად მოიხსენიებოდა, იქ მცხოვრები ხალხი კი თავს მოსკოვიტებს ანუ მოსკოველებს (თავდაპირველად მოსკელი) უწოდებდნენ.

მოსკოვიის ტერიტორია შემდგომ მე-13 საუკუნეში მონღოლეთიდან მოსულმა ლაშქარმა დაიპყრო და ის ოქროს ურდოს შემადგენლობაში მოექცა. ფინო-უგრული კულტურა და ენა მონღოლურს შეერწყა. ამიტომ ამ ტერიტორიაზე არსებულ გეოგრაფიული ობიექტების დიდ ნაწილს, დღესაც ამ კონკრეტული ენებიდან წამოსული სახელწოდებები აქვთ და არა სლავური.

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გრანტით ჩატარდა (A.V. Khrunin), გამოავლინა, რომ დღევანდელი რუსების დნმ უკრაინელებთან კი არა, არამედ ფინო-უგრულ და მონღოლ ტომებთანაა საკმაოდ ძლიერ დაკავშირებული.

„უფროსი ძმის“ მითი

მოსკოვის ტერიტორია კიევის რუსის საზღვრებში არასდროს ყოფილა. დღეს რუსეთის ლიდერები უკრაინასთან მიმართებით თავს “უფროს ძმად” მოიხსენიებენ. მათ შორის ეს ნარატივი საბჭოთა პერიოდშიც ძლიერი იყო. მისი მიზანი მეხსიერებაში რუსებისა და უკრაინელების “ძმობილ ერებად” დალექვა იყო. თუმცა, როგორც ისტორია ცხადყოფს, სწორედ კიევის რუსი უსწრებდა მოსკოვიას ცივილიზაციით,

განვითარებითა და სახელმწიფოებრიობით.

უფროს ძმაზე საუბარი ზედმეტია, რადგან თითქმის XV ს-ის ბოლომდე არც რუსეთი და არც რუსი ხალხი არ არსებობდა მაშინ, როცა კიევის რუსი ჯერ კიდევ მე-9 საუკუნეში შეიქმნა. ისტორიის განმავლობაში რუსეთი მუდმივად ცდილობდა ეს ფაქტი პროპაგანდისტულად წარმოეჩინა. შესაბამისად უკრაინელებს მალოროსებად ანუ პატარა, ან მცირე რუსებად მოიხსენიებდა. როგორც უკრაინელი ისტორიკოსი, იაროსლავ დაშკევიჩი აღნიშნავს, „სწორედ ასე აიძულა „უფროსმა ძმამ“ „უმცროსი ძმა“, „პატარა რუსები“, რომ ეცხოვრათ „სიყვარულით მოცულ“ სისასტიკეში.“

რუსეთმა სახელწოდება „რუს“ მოიპარა

მოსკოვიას შემდგომ XVIII (პეტრე I-მა დაამკვიდრა ოფიციალურად) საუკუნეში უკვე შემოდის ტერმინი რუსეთი. მოსკოვია ფინო-უგრულ ენაზე “ჭაობიან და მუქ წყლებს” ნიშნავს. ეს შესაძლოა, ახალი სახელის ძიების ერთ-ერთი მიზეზიც იყო. თუმცა მნიშვნელოვან მიზეზად მაინც ის სახელდება, რომ მოსკოვმა დიდი იმპერიის შექმნა გადაწყვიტა და მას ამისთვის სათანადო, მნიშვნელოვანი ისტორიაც სჭირდებოდა. მოსკოვმა განიზრახა, კიევის რუსის იდენტობის შეთავსება (უფრო მითვისება) და ისტორიის გაყალბება.

პროპაგანდის და ისტორიის ფაბრიკაციის უპირველესი ნიშნები ფსკოველი ბერის, ფილოფეის მიმართვა იყო, რომელმაც საკმაოდ დიდი ადგილი დაიკავა რუსეთის ისტორიაში:

„ყურად იღე მართლმორწმუნე მეფეო: ორი რომი დაეცა, მესამე რომი – მოსკოვი დგას, ხოლო მეოთხე რომი აღარ იქნება.”

მოსკოვის, როგორც მესამე რომის იდეა, შემდეგ ნეოევრაზიელებმაც შეითავსეს და თანამედროვე რუსეთის გეოპოლიტიკურ დოქტრინებშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

აღსანიშნავია, რომ ეს ისტორიული მცდელობა მე-20 საუკუნეში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მაც შეაფასა: „ყველა მეტ-ნაკლებად განათლებული აფუთფუთდა ამ დროს რუსეთში, ყოველგან აწრიპინდა კალამი. ყველა გაცხარებით ეძებდა საფუძველს, რათა ის დიადი როლი გაემართლებინა, რასაც რუსეთს მიაწერდნენ. ბერების ვიწრო სენაკებშიც კი დიად გეგმებს სახავდნენ.“

ივანე IV-ის პერიოდში მოსკოვმა, კიევის რუსის მემკვიდრეობის გარდა, ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეობაც განიზრახა. მათ მიერ აგებული ფაბრიკაციები კი კიევის რუსის მთავრის – ვლადიმირ მონომახის ქუდზე აგებულ ლეგენდას ემყარება. ეს ქუდი ძალაუფლების ბიზანტიიდან კიევის რუსისთვის ძალა-უფლების გადაცემის სიმბოლოდ ჩაითვალა. ლეგენდის თანახმად, შემდგომ იგი კიევის რუსის დიდმა მთავარმა, ვლადიმირ მონომახმა თავის მეექვსე შვილს იური დოლგორუკის გადასცა. იური დოლგორუკი სუზდალის პირველი მთავარი იყო, რომელმაც თავის დროზე “ტყის გადაღმა მიწები” დაიპყრო (მოსკოვია). მოსკოვში ამ თავსაბურავის გამოჩენა

ერთგვარი დასტური იყო იმისა, რომ მოსკოვს ეკუთვნოდა როგორც კიევის რუსის, ასევე ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეობაც. გარდა ამისა, მოსკოვმა გააყალბა ვლადიმირ მონომახის სურვილი, თითქოს ის მემკვიდრეობას მის შვილს – იურის გადასცემდა. სინამდვილეში მოსკოვში გამოჩენილი „მონომახის ქუდი“ ოქროს „ბუხარა ტუბეტეიკა“ იყო, რომელიც ოქროს ურდოს ყაენმა, უზბეკმა (1283-1341 წ.წ.) გადასცა ივანე კალიტას (1322-1340 წ.წ.) ძალა-უფლების ნიშნად და ამ უკანასკნელმა იგი დიდების განმტკიცების მიზნით შეინარჩუნა.

ყველაზე დიდი და გადამწყვეტი როლი ფაქტების განადგურებასა და ალტერნატიულ ისტორიის შემუშავებაში პეტრე I-ს მიუძღვის. 1701 წელს მან გასცა ბრძანება, რომ დაპყრობილ ხალხებში არსებული ყველანაირი ქრონიკები, ქრონოგრაფიები, არქივები და საეკლესიო დოკუმენტები გაენადგურებინათ. უპირველესად ეს კიევის რუსის ტერიტორიას ეხებოდა. პეტრე I-ს დიდი ევროპული იმპერიის ჩამოყალიბებისთვის უფრო მნიშვნელოვანი წარსული ესაჭიროებოდა, ვიდრე მოსკოვის ისტორია იყო.

პეტრე I-ის საქმიანობა შემდგომში ეკატერინე II-მ გადაიბარა. 1783 წლის 4 დეკემბერს, ეკატერინე II- მ გამოსცა ბრძანება, რის შედეგადაც „ძველი რუსული ისტორიის შეგროვებისა და ორგანიზების კომისია“ შეიქმნა. ამ კომისიის მთავარი ამოცანა ახალი ქრონიკების მოძიება, არსებულების ახლებურად გადაწერა, არქივთა ახალი კოლექციების შექმნა და სხვა მსგავსი სიყალბეების შეთხზვა იყო.

მე-10 და მე-11 კლასების პროგრამა მოიცავს სექციებს ყირიმის ანექსიისა და სპეციალური სამხედრო ოპერაციის შესახებ.

2023 wlis 1სექტემბრიდან რუსეთის საშუალო სკოლებში ისტორიის ახალი ერთიანი სახელმძღვანელოები – „მსოფლიო ისტორია“ და „რუსეთის ისტორია“ შევიდა. წიგნები შეიცავს თავებს XXI საუკუნის მოვლენებზე. წიგნების ზოგიერთი ნაწილი მნიშვნელოვნად შეცვლილია. ამრიგად, „რუსეთის ისტორიაში“ გადაიწერა აბზაცები დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომი წლების შესახებ, დაემატა 17 აბზაცი თანამედროვე ისტორიაზე, მათ შორის ყირიმის ანექსიასა და სპეცოპერაციის წინაპირობებზე.

„ზოგად ისტორიაში“ მნიშვნელოვნად გაფართოვდა სექციები აზიისა და აფრიკის ქვეყნების შესახებ. სახელმძღვანელოს ავტორებს მოჰყავთ ნაწყვეტები საარქივო დოკუმენტებიდან, მოუწოდებენ სკოლის მოსწავლეებს „დაფიქრდნენ“ და „გააანალიზონ მოვლენები“ და გააქარწყლონ მუდმივი მითები ინტერნეტიდან.

ნებისმიერი რთული თემის მსგავსად, თანამედროვე ისტორიამაც, როგორც პრეზიდენტის თანაშემწე ვლადიმერ მედინსკი და MGIMO-ს რექტორი ანატოლი ტორკუნოვი ამბობენ, ფართო აუდიტორიაში არაერთგვაროვანი შეფასებები გამოიწვია. სახელმძღვანელოს ტექსტი და მისი შედგენის პრინციპები შეისწავლა „იზვესტიამ“.

როგორ ჩატარდება ისტორიის გაკვეთილები რუსეთის საშუალო სკოლის მოსწავლეების

თვისისტორიის საგანს რუსეთის ფედერაციის საშუალო სკოლის მოსწავლეები ორი სახელმძღვანელოდან ისწავლიან. ერთი წარმოადგენს მსოფლიო ისტორიას, მეორე კი რუსეთის თანამედროვე ისტორიას, განუმარტა „იზვესტიას“ სახელმძღვანელოს თანაავტორმა, დოქტორმა ევგენი ოსიპოვმა. ამ შემთხვევაში წლის ბოლოს ნიშანი ორივე კურსისთვის იქნება საერთო.

მე-10 კლასში მოსწავლეები შეისწავლიან მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიას, ხოლო მე-11 კლასში – მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომ პერიოდს დღემდე.

„ახალ სახელმძღვანელოში, დასავლეთის ქვეყნების ისტორიის შემცირების გარეშე, მნიშვნელოვნად გაფართოვდა აზიის, აფრიკის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია. შესამჩნევია გადახვევა ევროცენტრიზმისგან. მცდელობა იყო დიფერენცირებული მიდგომა სახელმწიფოთა ისტორიის შესწავლისას. ბევრი ითქვა ჩინეთზე, ინდოეთზე, აფრიკაში კოლონიალიზმის პრობლემაზე“, – განმარტა ექსპერტმა.

თუმცა, „ზოგადმა ისტორიამ“ პრაქტიკულად არ მიიპყრო ყურადღება; რუსეთის ისტორიის განახლებულმა ტომებმა უდიდესი რეზონანსი მიიღო, ხაზგასმით აღნიშნა ევგენი ოსიპოვმა.

სახელმძღვანელოებს დაემატა არა მხოლოდ თავები XXI საუკუნის თანამედროვე ისტორიის შესახებ, არამედ განახლდა აბზაცები, რომლებიც მიეძღვნა ძველ ისტორიას, კერძოდ, ჩრდილოეთ შავი ზღვის რეგიონს და ციმბირს. წიგნები მოიცავდა სექციებს ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებაზე, ბალკანეთის კონფლიქტზე და ნატოს სამხედრო ოპერაციებზე ავღანეთში, ერაყში, ლიბიასა და სირიაში. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ახალი საერთაშორისო ასოციაციების როლს რუსეთის მონაწილეობით – BRICS, EAEU, CIS, SCO და ASEAN.

რუსეთის ისტორია: ახალი სახელმძღვანელო 10-11 კლასებისთვის, 2023 წ.

რუსეთის ისტორიის სახელმძღვანელოები მე-10 და მე-11 კლასებისთვის წარმოდგენილია ინტერაქციული ენციკლოპედიების ფორმატში; მოვლენებს თან ახლავს ციტატები ახლახან აღმოჩენილი საარქივო დოკუმენტებიდან, ასევე მრავალი ილუსტრაცია და QR კოდი ბმულებით მიმდინარე ფილმებთან და სხვა ნამუშევრებთან.

ავტორთა წინაშე დადგა ამოცანა, შეექმნათ თანამედროვე, საინტერესოდ დაწერილი სახელმძღვანელო, განუმარტა „იზვესტიას“ RAS აკადემიკოსმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, სერგეი კარპოვმა. ამიტომ, წიგნი შეიცავს ბევრ ილუსტრაციას და ბმულს დამხმარე მასალად.

„ჩვენი მთავარი ამოცანაა აღვზარდოთ თანამედროვე, კულტურული, განათლებული ადამიანი, რომელმაც იცის სამშობლოს ისტორია მსოფლიო ისტორიის კონტექსტში“, – აღნიშნა სერგეი კარპოვმა.

მნიშვნელოვანია, რომ შემოთავაზებულია, რუსეთის ისტორია შეისწავლებოდეს არა როგორც ცალკე საგანი, არამედ ზოგად კონტექსტში მსოფლიო ისტორიასთან ერთად. დამატებითი ყურადღება ექცევა იმას, თუ როგორ იმოქმედა რუსეთში მომხდარმა მოვლენებმა მსოფლიო ისტორიის ზოგად მიმდინარეობაზე.

როგორც სახელმძღვანელოს თანაავტორმა, რუსეთის სამხედრო ისტორიული საზოგადოების სამეცნიერო დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა განუმარტა „იზვესტიას“, მიხაილ მიაგკოვს, წიგნების შემქმნელებს, დავალება ჰქონდათ, აქცენტი გაეკეთებინათ რუსეთის ისტორიის სხვადასხვა პერიოდს შორის განუყოფელ კავშირზე.

„ლიბერალებისთვის ძალიან მომგებიანი იყო 1917 წლამდე არსებული რუსეთის წარმოდგენა, როგორც იმპერიული და კოლონიალური ქვეყნის; 1917 წლის შემდეგ კი – როგორც ტოტალიტარულისა და სტალინურის, ხოლო 1991 წლის შემდეგ – როგორც ლიბერალურის, პროდასავლურისა და კარგის, რომელიც საბოლოოდ ადგას განვითარების სწორ გზას. მაგრამ ჩვენ უნდა წარმოვადგინოთ ქვეყნის ისტორია განუყოფლად, ერთი ეპოქის მეორისგან გამიჯვნის გარეშე“, – განმარტა ისტორიკოსმა.

განათლების მინისტრ სერგეი უვაროვის განცხადება: „სახალხო განათლებაში ისტორიის სწავლება სახელმწიფო საქმეა. ისტორია აყალიბებს მოქალაქეებს, რომლებმაც იციან, როგორ სცენ პატივი მათ მოვალეობებსა და უფლებებს“.

პროპაგანდა ვიკიპედიაში

ვიკიპედია ყველაზე დიდი ონლაინ-ენციკლოპედიაა. აქედან გამომდინარე, მისი მიზნები ენციკლოპედიის ფორმატს არ აღემატება და მის არსს არ სცდება. თუკი ისეთი მასალა მოხვდა ვიკიპედიაში, რომელიც მის მიზნებს სცდება, მაშინ ის უნდა გადავიდეს სხვა მონათესავე პროექტებში ან საერთოდ წაიშალოს. ვიკიპედია მოხალისეობრივი პროექტია და ამას ზოგჯერ მისი ოპონენტები მის საწინააღმდეგოდ იყენებენ. არგუმენტი მარტივია, მოხალისეობრივად შესრულებული სამუშაო არაა სანდო, მით უმეტეს, თუ მისი შექმნა ნებისმიერს შეუძლია. ზოგადი არსიდან გამომდინარე ვიკიპედია არაა წყარო, იგი არის წყაროების ერთობლიობა, რომელიც ეხმარება თავის მომხმარებელს, ერთ სივრცეში მოიძიოს ინფორმაცია და ნახოს წყაროები.

ვიკიპედიის სივრცე და მისი სტატიები არ შეიძლება, გამოიყენონ როგორც ტრიბუნა, სადისკუსიო კლუბი, იარაღი პროპაგანდისა და რეკლამისათვის, ვინმეს კერძო ინტერესებისათვის. განხილვა, გარჩევა, დისკუსია შეიძლება ნებისმიერ საკითხზე, რომელიც უკავშირდება ვიკიპედიის საგანს, მაგრამ სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილ გვერდებზე და არა უშუალოდ სტატიებში. ვიკიპედიაში არ იწერება ორიგინალური კვლევა, ვიკიპედია არ არის ადგილი კრიტიკისათვის, ვიკიპედიაში არაა დაშვებული რეკლამა. ოფიციალური პოლიტიკის თანახმად, სტატიები უნდა დაიწეროს ნეიტრალური თვალსაზრისით. მან უნდა წარმოადგინოს ყველა შეხედულება მოცემულ თემაზე ფაქტობრივად და ობიექტურად, მიმდევრობით ისე, რომ იგი ზოგად კონსენსუსს პასუხობდეს.

იმისათვის, რომ კარგად შევადაროთ სხვადასხვა ბეჭდური ენციკლოპედია დღევანდელ ონლაინ-ენციკლოპედიას, საჭიროა მიმოვიხილოთ პროპაგანდის საკითხები ენციკლოპედიის სხვადასხვა გამოცემებში. ერთ-ერთ პირველი მიმოვიხილოთ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, აქ სათაურშივე ჩანს პროპაგანდის კვალი – „საბჭოთა“. განსაკუთრებულად პროპაგანდისტულია „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ VIII-IX ტომები (საბჭოთა კავშირი, სკკპ). მერვე ტომში 571 გვერდიდან 609 გვერდამდე სიტყვა საბჭო-ზე დაწყებული ტექსტებია. აქედან 583-607 (24 გვერდი) გვერდები მხოლოდ საბჭოთა კავშირს ეხება. საინტერესოა სტატიის ისტორიის სექცია: თხრობა იწყება 588 გვერდზე და სრულდება 595 გვერდზე (ჯამში 8 გვერდი). პრაქტიკულად ისტორიის სექცია იყოფა 2 ნაწილად, სოციალიზმის ეპოქამდე (გვ. 588-590) და სოციალიზმის პერიოდში (გვ. 590-595), აქ აშკარად ჩანს ტენდენციურობა და სუბიექტურობა სოციალიზმის სასარგებლოდ: ისტორიის დიდი პერიოდი გადმოცემულია მცირე რაოდენობის გვერდებზე და პირიქით, ისტორიის მცირე მონაკვეთი დიდი რაოდენობის გვერდებზე. სოციალისტური ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის სატელიტი ქვეყნების ისტორიები ხომ საერთოდ ცალკე კვლევის საგანია. განსაკუთრებით საინტერესოდ და ვრცლადაა წარმოდგენილი სწორედ მსგავსი ქვეყნების ისტორია.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი ბეჭდური ენციკლოპედიაა „საქართველო“, ამჟამად ამ ენციკლოპედიის მხოლოდ 4 ტომია გამოსული და შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ენციკლოპედია თითქმის დაცლილია პროპაგანდისაგან. ამ ფონზე ისმის კითხვა: მიუხედავად ვიკიპედიის პოლიტიკისა, არის ვიკიპედიაში პროპაგანდა? თუ არის რა დოზით? ან რა ფორმით? გამომდინარე იქიდან, რომ ვიკიპედია სპეციფიკურია და იქმნება მსოფლიოს 330 ენაზე და დიალექტზე, მოგვიწევს რამდენიმე სხვადასხვაენოვანი ვიკიპედიის მაგალითის განხილვა. დავიწყოთ ჩვენი ახლო სამეზობლოდან. ნიმუშისათვის განვიხილოთ ჯერ სომხური და შემდეგ რუსული ვიკიპედიები, ბოლოს კი ქართული ვიკიპედიის მაგალითებს შემოგთავაზებთ.

სომხური ვიკიპედიის პროპაგანდის კარგი ნიმუშია სტატია „მხარგრძელები“. ქართულ ვიკიპედიაში მიმოხილულია როგორც ქართული, ასევე სომხური წყაროები და სტატიაში შეტანილია ყველა არსებული აზრი მათი წარმომავლობის შესახებ. სომხური ვიკიპედია მათ საერთოდ სხვა სახელს, ზაქარიანებს უწოდებს და ავითარებს

მოსაზრებას, რომ ესენი არიან სომხური წარმომავლობის თანამდებობის პირები. სტატიაში კი არ არის მოხსენიებული არანაირი ქართული წყარო.

ძალზედ საინტერესოა პროპაგანდისტული რუკები სომხური ვიკიპედიიდან. ქვემოთ მოცემულია ერთიანი სომხეთის ირიდენტისტული რუკა და დიდი არმენიის ისტორიული რუკა. ერთიანი სომხეთის შემადგენლობაში შედის საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის ტერიტორიები. დავაკვირდეთ ერთიანი სომხეთისა და დიდი არმენიის რუკებზე იმ ტერიტორიებს, რომელიც დღეს საქართველოს შემადგენლობაშია და მას სომხები ჯავახეთის ნაცვლად „ჯავახკს“ უწოდებენ. თვალნათლივ შეიმჩნევა, რომ აღნიშნული ტერიტორიები ხელოვნურადაა დასმული სომხეთის ძველ და შემდეგ ახალ რუკაზე.

პროპაგანდა გამოყენებულია ზოგადად აღნიშნული ქვეყნის ეროვნულ სიმბოლოებში. სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გერბიდან დამო-უკიდებელი სომხეთის გერბს მემკვიდრეობით ერგო არარატის მთა და მასზე უკვე გამოჩნდა ნოეს კიდობანი. არარატის მთა სომხეთის ეროვნული სიმბოლოა, რომელიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. 2024 წლის იანვარში სომხეთის ოფიციალური წრეები სიმბოლიკის შეცვლაზე ალაპარაკდნენ. „ჩემი აზრით, უნდა

ვიმსჯელოთ გერბის შეცვლის საკითხზეც. ყოველ შემთხვევაში, სომხეთი არ შეიძლება იყოს წყლის ქვეშ (როგორც ეს გერბზეა გამოსახული), რაც კაცობრიობის სასჯელი იყო. ლომი არ შეიძლება იყოს Facebook-ის სიმბოლოსავით (ე. წ. „ემოჯივით“), ხოლო ხმალი, რომელიც სომხეთის დასაცავადაა, არ შეიძლება იყოს ჯაჭვით დაბმული“, — აცხადებს სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე.

აღსანიშნავია, რომ ვიკიპედია არსებობს, როგორც სომხურ, ასევე დასავლურ სომხურ ენაზე. დასავლეთ სომხეთად კი სომხური ირიდენტიზმი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიებს მოიხსენიებს.

გარკვეული პროპაგანდის ნიშნები შეიმჩნევა რუსულენოვან ვიკიპედიაში. რუსული ვიკიპედია სომხურთან შედარებით ნაკლებად პროპაგანდისტულია. თუმცა მცირე გადახვევები აქაც მოიძებნება. რუსულ ვიკიპედიას ვერ, ან მცირედ აკონტროლებს სახელმწიფო, ამის დასტურია სულ ცოტა ხნის წინ სამთავრობო მუქარა, რომ დახურავდა ვიკიპედიას რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის სათაურთან დაკავშირებული საკითხების გამო. რუსულ ვიკიპედიაში აღნიშნული სტატიის სათაურია „რუსეთის შეჭრა უკრაინაში“, რაც განსხვავდება მთავრობის მიერ გავრცელებული ოფიციალური სახელწოდებისაგან („სპეციალური სამხედრო ოპერაცია“).

3 დეკემბერს ვენესუელაში გაიმართა რეფერენდუმი, რომლის მიხედვითაც ვენესუელა თავის მოქალაქეებს ეკითხებოდა, ეღიარებინათ თუ არა საკუთარ ტერიტორიად მეზობელი გაიანის ფართობის 2/3. საუბარია ე. წ. გაიანა-ესეკიბოს ტერიტორიაზე, რომელიც ვენესუელის არმიამ დაიკავა. რუსულ ვიკიპედიაში ეგრევე გაჩნდა პროპაგანდისტული რუკა, სადაც ესეკიბოს ტერიტორია უკვე ვენესუელის ფარგლებშია. რუკა შემდეგ წაიღეს ბელარუსულმა, კატალონიურმა და თათრულმა ვიკიპედიებმა. 2023 წლის 3 დეკემბრის მდგომარეობით იგი არ გამოიყენება ბერძნულ, ინგლისურ, ესპანურ, ფინურ, ფრანგულ, ებრაულ, უკრაინულ და ჩინურ ვიკიპედიებში.

ქართულენოვან ვიკიპედიაში პროპაგანდის გამოხატულებაა სტატია „ირიდენტიზმი“, სადაც ცალკე ქვეთავადაა გამოყოფილი „ირიდენტიზმი და საქართველო“. ქვეთავში დიდი საქართველოს იდეაა გატარებული და გარკვეული პრეტენზიები ჩანს დღესდღეობით მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზე მდებარე ისტორიულ მიწებთან დაკავშირებით, თუმცა იქვეა მითითებული, რომ „საქართველოს მთავრობა ოფიციალური განცხადებების დონეზე მხარს არ უჭერს არც ერთ ირიდენტისტულად განწყობილ მოძრაობას თუ პოლიტიკურ გაერთიანებას“.

სასურველი იქნება XXI საუკუნეში, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ონლაინ-ენციკლოპედია თავისუფალი იყოს პროპაგანდისაგან და მაქსიმალურად ნეიტრალურ ინფორმაციას აწვდიდეს მომხმარებელს.

ისტორიის მანიპულაცია – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკაზე აფხაზეთში 1917-1921 წლებში

აფხაზეთთან მიმართებით მეხსიერება და საჯარო დისკურსი რამდენიმე „ფუნდამენტური“, საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული და მყარად ფესვგადგმული ნარატივის ირგვლივ ტრიალებს როგორც ოკუპირებულ აფხაზეთში, ასევე რუსეთის ფედერაციაში. სწორედ ამ ნარატივებს და მე-20 საუკუნის საბჭოთა პერიოდში კონსტრუირებულ მეხსიერებას ეყრდნობოდა და ეყრდნობა რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა აფხაზეთთან მიმართებით როგორც 1990-იან წლებში, ასევე დღესაც.

საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებული ნაციონალიზმის „ფოლკლორიზაციის“, დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მეხსიერების წაშლისა და 1980-იან და 1990-იან წლებში ეთნიკური ნაციონალიზმის დომინირების შედეგად, აფხაზეთის შესახებ ჩამოყალიბებულ ქართულ დისკურსში ასევე დომინირებდა შემხვედრი ეთნონაციონალისტური პარადიგმა. ისტორიკოსები თუ პოლიტიკოსები უმეტესად იმის მტკიცებით იყვნენ დაკავებულნი, თუ რომელ საუკუნეში რომელი ეთნიკური ელემენტი დომინირებდა აფხაზეთში. ხშირ შემთხვევაში ამგვარი დისკუსიები ათასობით წლის წინანდელ ეთნიკურ სურათზე დავაში გადაიზრდებოდა და არამოდერნულ განზომილებაში აბრუნებდა აუდიტორიას.

მოცემული ნაშრომი ფოკუსირდება სამ ყველაზე მნიშვნელოვან შეხედულებაზე/მითზე/ნარატივზე აფხაზეთის შესახებ, რომლებიც დომინირებს აფხაზეთის ირგვლივ წარმოებულ დისკურსში როგორც საკუთრივ ოკუპირებულ აფხაზეთში, ასევე რუსეთის ფედერაციასა და დიდწილად საქართველოშიც.

აღნიშნული მითები გამარტივებული სახით შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- 1921 წლამდე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აფხაზი ბოლშევიკების ბრძოლა ამავე დროს წარმოადგენდა აფხაზი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას საქართველოს მხრიდან ჩაგვრის წინააღმდეგ და დღევანდელი გადასახედიდან სწორედ ამგვარად უნდა იქნას განხილული. ამ ბრძოლის ლიდერი, ნესტორ ლაკობა კი თანამედროვე აფხაზური სახელმწიფოებრიობის დამფუძნებელი მამაა. ამავე კონტექსტში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე პოლიტიკური პროცესების განმსაზღვრელი სწორედ ეს ბრძოლაა და დაყოფის მთავარი ხაზიც – ეთნიკურ მდგენელზე გადის:აფხაზეთში „საბჭოთა ხელისუფლების დამყარება” აფხაზი ხალხის საქართველოს მხრიდან ჩაგვრისგან გათავისუფლების კონტექსტში უდავოდ დადებითი მოვლენაა, რომელიც „სახალხო აჯანყების“ გზით მოხდა. ამავე ნარატივით, წითელი არმია ამ პროცესში ერთგვარ დამხმარე, არაგადამწყვეტ როლს თამაშობს.
- აფხაზეთის ტერიტორიაზე, თუ აფხაზეთთან მიმართებით საბჭოთა კავშირის ლიდერების, იოსებ სტალინისა და ლავრენტი ბერიას გადადგმული ნაბიჯები (კერძოდ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის დაკნინება და ლავრენტი ბერიას მიერ ნესტორ ლაკობას სავარაუდო მკვლელობა)

წარმოადგენს ქართული შოვინიზმის გამოვლინებას და მათზე პასუხისმგებელი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოა. იმავე კონტექსტში განიხილება მტკიცება, რომ ბერიამ 1930-იან წლებში დასავლეთ საქართველოდან აფხაზეთში ჩა-ასახლა რამდენიმე ათასი ადამიანი, რამაც აფხაზეთის ასსრ ეთნიკურ ბალანსზე გა-დამწყვეტი გავლენა იქონია. შესაბამისად, 1993 წელს აფხაზეთიდან ქართველების წინააღმდეგ განხორციელებული ეთნიკური წმენდა ამ ისტორიული უსამართლობის გამოსწორებაა. რუსეთის საოკუპაციო ძალების აფხაზეთში ყოფნა კი იმისთვისაა საჭირო, რომ საქართველომ ისტორიული მზაკვრობა არ გაიმეოროს.

სტატია მიმოიხილავს აფხაზეთში არსებულ ვითარებას 1917 წელს, რუსეთის იმ-პერიის დაცემის მომენტისთვის და განიხილავს 1921 წლამდე მომხდარ ყველა პოლი-ტიკურ, სამხედრო თუ საერთაშორისო სამართლებრივ პროცესს. კვლევის მიზანია ზემოთჩამოთვლილი სამი ფუნდამენტური ნარატივის ირგვლივ როგორც საჯარო ასევე აკადემიური დისკუსიის ინიციირება საბჭოთა რეჟიმის პირობებში ფრაგმე-ნტირებული მეხსიერებისა და დამკვიდრებული დოგმების გადახედვის მიზნით.

https://www.scribd.com/document/691856940/%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98-1917-1921-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A5%E1-%83%AA%E1%83%98%E1%83%90#from_embed

ოკუპაცია და ტოტალიტარიზმი 70 წლის განმავლობაში

თაობების ცვლილების კვალდაკვალ, საბჭოთა რუსული პროპაგანდისტული დღის წესრიგიც ტრანსფორმირდა: 1920-1930-იან წლებში საბჭოთა პროპაგანდა სა-ქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სასტიკ და – „მენშევიკი ჯალათების სა-მეფოდ“ წარმოადგენდა, რომელიც სასტიკად უსწორდებოდა „მუშების და გლეხების მცდელობას საბჭოთა ხელისუფლება გამოეცხადებინათ“. უკვე გვიანდელ საბჭოთა ხანაში, რეჟიმის პროპაგანდისტული მანქანა ხელს უწყობდა ხალხური მითების გავრცელებას, რომლის მიხედვითაც, თითქოს – დამოუკიდებელი საქართველოს „მენშევიკური მთავრობა“ სუსტი აღმოჩნდა იმისთვის, რომ დამოუკიდებლობა შეე-ნარჩუნებინა, რომ ისინი თითქმის არაფრით განსხვავდებოდნენ ბოლშევიკებისგან, ბოლშევიკურ იატაკქვეშეთს თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევდნენ, არ შეეძლოთ თურქული ექსპანსიის შეჩერება და გასაბჭოება და დამოუკიდებლობის დაკარგვა ამ ყველაფრის ფონზე ბუნებრივი და ლოგიკური მოვლენა იყო.

ამ მითების კრიტიკული გააზრებისა და გადამოწმების მოტივაცია და საშუალება კი, თუნდაც საბჭოთა რეალობის მიმართ კრიტიკულად განწყობილ მოქალაქეებს ფაქტობრივად არ გააჩნდათ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელი, ქართულ საზოგადოებას

სრულფასოვნად მხოლოდ 1980-იანი წლების ბოლოს ეროვნული მოძრაობის აღმავლობის და საბჭოთა კავშირის აგონიის და ნგრევის პერიოდში დაუბრუნდა. უნდა ითქვას, რომ ამ შესაძლებლობების ფანჯრის გახსნამ და მანამდე აკრძალული მემუარისტული ლიტერატურის მეცნიერული კვლევის და შეფასების გარეშე მასობრივმა ბეჭდვამ 1989-1990 წლებში, საზოგადოების მიერ წარსული ისტორიული პროცესების აღქმას ცუდი სამსახური გაუწია და ათწლეულობით დაგროვილ მითებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ ახალი სიცოცხლე მისცა.

1990-იანი წლების ომების, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისების ფონზე წარსულის გააზრების ამოცანები მიიჩქმალა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც კვლავ დავიწყებას მიეცა. ის რესპუბლიკა, რომლის კანონიერ საფუძველზეც აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. სამაგიეროდ, კომუნისტური პროპაგანდის მიერ დანერგილი მითები, სასათბურე გარემოში განაგრძობდნენ არსებობას, ევოლუციას და დღემდე უარყოფითად მოქმედებენ საზოგადოების აღქმაზე, ობიექტურად და დროის კონტექსტის გათვალისწინებით შეაფასოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლები, საბჭოთა რუსული ოკუპაცია და მისი შედეგები.

სრული ტექსტი: https://archive.ge/ka/blog/105

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებული ტრენინგები პროპაგანდის როლზე ისტორიაში

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ექსპერტთა ჯგუფთან მუშაობისას გამოვიკვლიეთ ზემოთხსენებული საკითხის მდგომარეობა და გამოიკვეთა შემდეგი:

განათლების სამინისტრო არ ატარებს ტრენინგებს მასწავლებლებისათვის. ამ ფუნქციას ასრულებს მისივე სსიპ მასწავლებლის სახლი. თუმცა, გამონაკლისის სახით, ბოლო წლებში განათლების სამინისტრო ტრენინგების გზით მუშაობს უშუალოდ მასწავლებლებთან პროექტის „ახალი სკოლის“ ფარგლებში. თუმცა, ეს პროექტი ჯერჯერობით მხოლოდ დაწყებით საფეხურზე ხორციელდება, სადაც ჩვენი კვლევისთვის საინტერესო საკითხები არ ისწავლება. უფრო მეტიც, საგანი ისტორია, როგორც ასეთი, დაწყებით საფეხურზე არა გვაქვს, აქ ისწავლება „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“, რომლებსაც მეტ-ნაკლებად ისტორიის მასწავლებლები ასწავლიან.

მიუხედავა ამისა, ჩვენ მაინც მივაგენით სხვა ფორმატს, სადაც მეოცე საუკუნის ისტორია ისწავლება პროექტების სახით მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დაწერილი სახელმძღვანელოების საშუალებით. ამაში დაგვეხმარა ისტორიის ქოუჩების გუნდი, რომელსაც უშუალოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ხელმძღვანელობს. სულ 24 ქოუჩი აღმოჩნდა მთელი საქართველოს მასშტაბით (აქვე გვინდა დავამატოთ, რომ მიმდინარე 2023 წლის ბოლოს ქოუჩების პროგრამა იხურება).

ქოუჩებისგან მივიღეთ ინფორმაცია, რომ პროპაგანდის საკითხი მხოლოდ მე-9 კლასში ფიგურირებს, როდესაც პირველ მსოფლიო ომს ასწავლიან. ჩვენ მოვითხოვეთ მე-9 კლასისთვის გაწერილი და მასწავლებლებისთვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებების წლიური პროგრამა, ყურადღებით შევისწავლეთ იგი და ამოვკრიბეთ ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია. აღმოჩნდა, რომ სულ ორი კომპლექსური დავალება/თემა გვაქვს. ესენია:

1. მოსწავლემ უნდა შექმნას პროპაგანდისტული პლაკატი პირველი მსოფლიო ომის შესახებ;
2. მოსწავლემ უნდა დაწეროს თემა, მუსიკა, როგორც პროპაგანდა პირველ მსოფლიო ომში;
3. იყო კიდევ ერთი საინტერესო თემა საბჭოთა დღესასწაულების შესახებ, მაგრამ არ იყო განვითარებული და მიმართული მათი პროპაგანდისტული გამოყენების მიზნით. თუმცა, კარგი იქნებოდა მისი გგანხილვა ამ ჭრილში.

დანართების სახით წარმოგიდგენთ განათლების სამინისტროს მიერ შედგენილ მეთოდურ რეკომენდაციებს.

დანართი 1 – პროპაგანდისტული პლაკატის შექმნა მატერიალური ან ელექტრონული სახით

ძირითადი საკითხი	პროდუქტი	განსახილველი შემთხვევა/ მაგალითი	საკვანძო შეკითხვა	სახელმძღვანელო/ დამხმარე რესურსები
პირველი მსოფლიო ომის პროპაგანდა	პროპაგანდისტული პლაკატის შექმნა მატერიალური ან ელექტრონული სახით	პირველი მსოფლიო ომის პროპაგანდა	როგორ შევქმნა პირველი მსოფლიო ომის პროპაგანდისტული პლაკატი/პოსტერი ისე, რომ წარმოვაჩინო საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფების დამოკიდებულება ომის მიმართ?	გამომცემლობა „დიოგენე“ IX კლასი სახელმძღვანელო, პარაგრაფი – 54, როგორ ცხოვრობდა ხალხი პირველი მსოფლიო ომის დროს, გვერდი – 240-24; პირველი მსოფლიო ომის დროინდელი პლაკატები. დამხმარე რესურსები: • რა არის პროპაგანდა • როგორ იწრთობოდა პროპაგანდა • პროპაგანდა და პროპაგანდისტული პლაკატები • გაიგე უფრო მეტი პროპაგანდის შესახებ • მუსიკა, როგორც პროპაგანდა პირველ მსოფლიო ომში • პირველი მსოფლიო ომი ისტორიული კონტექსტი • პირველი მსოფლიო ომის ზემარტვი ახსნა • ქართველები პირველ მსოფლიო ომში • პირველი მსოფლიო ომი კარიკატურებში

სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები **მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:**	**შეფასების კრიტერიუმები** **მოსწავლეს შეუძლია:**	**კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით დაკონკრეტებული** **ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:**
1. ისტორიულად მრავალი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ თითოეულ მათგანს ახასიათებდა საერთო ნიშნები: მათ წევრებს ჰქონდათ საერთო იდენტობა, ინტერესი, საზრუნავი და თანხმდებოდნენ ქცევის წესებსა და ღირებულებებზე; 2. საზოგადოება იყოფა უფრო მცირე საზოგადოებრივ ჯგუფებად; პატარა საზოგადოებები უმეტესად უფრო დიდი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ; 3. საზოგადოების წევრებს ხშირად აქვთ სტერეოტიპული წარმოდგენები სხვა საზოგადოებების („კულტურული სხვის“) შესახებ.	• აღწეროს თავისი შექმნილი პროდუქტი. როგორ შეძლებდა პლაკატი/პოსტერი საზოგადოებრივ ინტერესებზე ზემოქმედებას? • გაანალიზოს შერჩეული ქვეყნის ადამიანების საერთო ინტერესები და საზრუნავი ომის მსვლელობისას, რა საერთო ღირებულებები აქვთ მათ? • გამოყოს შესაბამისი პერიოდის საზოგადოების სოციალური ჯგუფები და მათი დამოკიდებულება ომის მიმართ. • იმსჯელოს, თუ როგორ უწყობდა ხელს პროპაგანდისტული პლაკატები საზოგადოებაში სტერეოტიპული წარმოდგენების ჩამოყალიბებას.	• რა დახმარებას გაუწევდა თქვენ მიერ შექმნილი პლაკატი შერჩეულ ქვეყანას, როგორ შეძლებდა საზოგადოებრივ ინტერესებზე ზემოქმედებას? • როგორია თქვენს მიერ შერჩეული ქვეყნის ადამიანების საერთო ინტერესები და საზრუნავი ომის მსვლელობისას, რა საერთო ღირებულებები აქვთ მათ? • რა სოციალურ ჯგუფებად იყოფოდა შესაბამისი პერიოდის საზოგადოება. როგორი იყო მათი დამოკიდებულება ომის მიმართ? • როგორ უწყობდა ხელს პროპაგანდისტული პლაკატები სტერეოტიპული წარმოდგენების ჩამოყალიბებას?

კომპლექსური დავალების პირობა: შექმენით საკუთარი პროპაგანდისტული პლაკატი/პოსტერი თქვენ მიერ შერჩეული ომში მონაწილე ერთ-ერთი ქვეყნისათვის. ახსენით, თუ რატომ აირჩიეთ ის მიზანი და მეთოდები, რაც ჩანს წარმოდგენილ პლაკატზე, დაასაბუთეთ თქვენი პროპაგანდისტული პლაკატის დანიშნულება, აღწერეთ მიზნის მისაღწევად გამოყენებული მეთოდები (საშუალებები) და სავარაუდო შედეგი.

ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

• რა დახმარებას გაუწევდა თქვენ მიერ შექმნილი პლაკატი შერჩეულ ქვეყანას, როგორ შეძლებდა საზოგადოებრივ ინტერესებზე ზემოქმედებას?

• როგორია თქვენს მიერ შერჩეული ქვეყნის ადამიანების საერთო ინტერესები და საზრუნავი ომის მსვლელობისას, რა საერთო ღირებულებები აქვთ მათ?

• რა სოციალურ ჯგუფებად იყოფოდა შესაბამისი პერიოდის საზოგადოებაროგორი იყო მათი დამოკიდებულება ომის მიმართ?

• როგორ უწყობდა ხელს პროპაგანდისტული პლაკატები სტერეოტიპული წარმოდგენების ჩამოყალიბებას?

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები
(აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსები/განსახილველი ქეისები:

რესურსი: 1 ელექტრონული პოსტერის შექმნა
პოსტერი

აქტივობის მაორგანიზებელი შეკითხვები:

- რა ინფორმაციას გაწვდის რესურსი პოსტერის შექმნის შესახებ?
- რა ძირითადი მახასიათებლები უნდა გამოყო პოსტერის შექმნის დროს?
- როგორ უნდა შექმნა პოსტერი
- რა ნაბიჯები უნდა გადადგა პოსტერის შესაქმნელად?
- რატომ, რა მიზნით უნდა შექმნა პოსტერი?

რესურსი 2 .(ქეისი) – პროპაგანდა

რა არის პროპაგანდა?
როგორ იწრთობოდა პროპაგანდა
რესურსი

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რა არის პროპაგანდისტული პლაკატი?
- რა მიზანს ისახავს პროპაგანდისტული პლაკატი?
- როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას პროპაგანდისტული პლაკატი ომის დროს ?
- როგორ ცვლის პროპაგანდა საზოგადოებრივ აზრს?
- შენი აზრით, რატომ შეიძლება გამოყენებულ იქნას პროპაგანდა?
- რისკენ და როგორ მოგიწოდებთ/გიბიძგებთ წარმოდგენილი რესურსი პროპაგა-ნდის შესახებ?
- რა გავლენა მოახდინა ინფორმაციამ თქვენზე და რატომ?
- როგორ შევქმნა პროპაგანდისტული პლაკატი?
- რა ნაბიჯები უნდა გადავდგა პროპაგანდისტული პლაკატის შესაქმნელად?
- როგორ გამოვკვეთო პროპაგანდისტული პლაკატის მახასიათებლები?

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რამდენად ესმის მოსწავლეს **კომპლექსური დავალების შინაარსი**

- თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამოდენიმე გაკვეთილის განმავლობაშ უნდა იმუშავოთ?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

სამიზნე ცნება – საზოგადოება

ქვეცნება: იდეოლოგია, სოციალური ჯგუფები, პროპაგანდა

ქვესაკითხი: პირველი მსოფლიო ომი და საქართველო

ნაბიჯი 1 – რა დახმარებას გაუწევდა თქვენ მიერ შექმნილი პლაკატი შერჩეულ ქვეყანას, როგორ შეძლებდა საზოგადოებრივ ინტერესებზე ზემოქმედებას?

რესურსი 1: სახელმძვანელო: „დიოგენე"- პარაგრაფი-54: გვ – 240-241

რესურსი 2 – პროპაგანდა და პროპაგანდისტული პლაკატები

აქტივობის მაორგანიზებელი შეკითხვები:

- რა ხერხებს, საშუალებებს იყენებენ პროპაგანდისტული პლაკატების ავტორები საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით?
- რა დანიშნულება, რა მიზანი ჰქონდა პროპაგანდისტულ პლაკატებს?
- როგორ შეეძლოთ მათ საზოადოებრივი აზრის შეცვლა?
- სხვადასხვა ქვეყნების პლაკატების გაცნობის შემდეგ შეგვიძლია ამ ომს პროპა-განდათა ომიც ვუწოდოთ? დაასაბუთეთ
- თქვენი აზრით, რატომ უნდა გამხდარიყო საჭირო ასეთი პლაკატების გამოყე-ნება ამ ომში? დაასაბუთეთ

ნაბიჯი 2 – როგორია თქვენს მიერ შერჩეული ქვეყნის ადამიანების საერთო ინტერესები და საზრუნავი ომის მსვლელობისას, რა საერთო ღირებულებები აქვთ მათ?

რესურსი 3 – სახელმძვანელო : „დიოგენე"-პარაგრაფი -54: გვერდი – 240 – 241

რესურსი 4 – გაიგე უფრო მეტი პროპაგანდის შესახებ

აქტივობის მაორგანიზებელი შეკითხვები:

- რატომ გახდა მნიშვნელოვანი პირველ მსოფლიო ომში პროპაგანდა?
- რატომ ახდენდა პროპაგანდა ზემოქმედებას ადამიანებზე?
- შენი აზრით, საზოგადოების რომელ ფენებზე მოახდენდა უფრო მეტ გავლენას პროპაგანდისტული პლაკატები/პოსტერები და რატომ? ახსენით
- რა უნდა გავითვალისწინო პროპაგანდისტული პლაკატის შექმნისას?
- როგორ დააფიქრებს ჩემი პროპაგანდისტული პლაკატი საზოგადოებას?

ნაბიჯი 3 – როგორ დახმარებას გაუწევდა პლაკატი/მუსიკა შერჩეულ ქვეყანას, როგორ შეძლებდა საზოგადოებრივ ინტერესებზე ზემოქმედებას?

რესურსი 5 – სახელმძვანელო: „დიოგენე“ – პარაგრაფი – 54: გვერდი – 241

სურ. 1 წარწერა პლაკატზე: მეტი აეროპლანი გვჭირდება. ქალებო დაგვეხმარეთ!

სურ. 2 წარწერა პლაკატზე: ეროვნული მომსახურება. ქალების სახმელეთო არმია.

იდეები აქტივობისათვის: კოგნიტური დიაგრამების შევსება (საერთო და განმასხვავებელი ფაქტორების დასადგენად)

დისკუსია – როგორ შეიძლება პროპაგანდამ შეცვალოს საზოგადოების შეხედულებები?

ნაბიჯი – როგორ შეიძლება პროპაგანდამ შეცვალოს სტერეოტიპული დამოკიდებულებები?

რესურსი 11 – სახელმძღვანელო – „დიოგენე“-პარაგრაფი -54, გვერდი 241 – 242

რესურსი 12 – პირველი მსოფლიო ომი კარიკატურებში

იდეები აქტივობისათვის: დისკუსია – როგორი სტერეოტიპური წარმოდგენები ჩამოუყალიბდებოდათ საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენებს მიმდინარე პროპაგანდის ფონზე?

აქტივობის მაორგანიზებელი შეკითხვები:

- რა ხერხებით ცდილობენ ძალაუფლების შენარჩუნებას მმართველი ძალები?
- შენი აზრით, როგორ გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე ასეთი იდეოლოგია?
- შენი აზრით, შეეძლოთ იმდროინდელი საზოგადოების სოციალურ ფენებს არ მიეღოთ ასეთი პროპაგანდა? პასუხი დაასაბუთეთ;
- როგორ შეძლებდნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები საკუთარი აზრისა და დამოკიდებულების შექმნას მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მიმართ?

კომპლექსური დავალების შესრულების და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად:

აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;

- როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
- დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
- რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს პოსტერის/პლაკატის შექმნისას?
- წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
- გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
- რატომ არის საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
- რით განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოს-გან?
- რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადა-სინჯვა?
- რა პროდუქტი შექმენით კომპლექსური დავალების სახით?
- რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი პლაკატი/პოსტერია?

ახსენი, რატომ შექმენი პლაკატი/პოსტერი? რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?

- რატომ განახორციელეთ კომპლექსური დავალება?
- რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდით კომლექსურ დავალე-ბაზე მუშაობის პროცესში?
- ვისთვის და რატომ არის ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
- რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გა-გებას ისურვებდი?
- რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად? / კომპლექ-სური დავალების უკეთ შესასრულებლად?

რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რა დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვის წინაშე იყავით ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში?
- რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალე-ბაზე მუშაობის პროცესში?
- გქონდათ თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა საინტერესო და სასიამოვნო თქვენთვის კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
- რა გააკეთეთ დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პრო-ცესში?
- რა გამოგივიდათ კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?

- ვინ და როგორ დაგეხმარათ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლეთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- წააწყდით თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელით კონფლიქტის დარეგულირება?
- წააწყდით თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიეთ ბუნდოვანებით მოცულ საკითხებში?
- შეხვდით თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რამდენად შეძელით თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან?
- რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?
- გააანალიზეთ რა წესებს/კანონებს იცავდით და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- ხვდებით თუ არა თემში წინმსწრებად ჩამოყალიბებულ (დადებით, ან უარყოფით) დამოკიდებულებას შესწავლის ობიექტად შერჩეული საკითხისადმი? რა განაპირობებს ასეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას?
- რით დაგეხმარათ მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
- რით შეიძლება დახმარება გაუწიოს თქვენმა შეკითხვებმა თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
- რა ფაქტორები გაითვალისწინეთ/უნდა გაითვალისწინოთ საიმისოდ, რომ თქვენი კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყიფოლიყო (მაგ.: ფუნქციური სამეტყველო ქმედების (თხრობა, აღწერა, მსჯელობა) სწორად შერჩევა, სენსიტიური ნიუანსების წინ წამოწევა; ჟესტიკულაციის, მიმიკის, არავერბალური სიგნალების გამოყენება);
- გამოიყენეთ თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რაში დაგეხმარათ ტექნოლოგიების გამოყენება?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
- შეაფასეთ, რამდენად გამოგივიდათ ის, რაც მასწავლებლისგან გქონდათ დავალებული?

დანართი 2 – მუსიკა, როგორც პროპაგანდა პირველ მსოფლიო ომში

მსჯელობა – რატომ ფიქრობდნენ პროპაგანდისტები, რომ მუსიკა შეძლებდა საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებას?

აქტივობის მაორგანიზებელი შეკითხვები:

• როგორ შეიძლება პროპაგანდამ შეცვალოს საზოგადოების შეხედულებები?
• როგორია მუსიკის როლი, საზოგადოების განწყობის შექმნაში?
• როგორ ფიქრობთ, რა გავლენას მოახდენდა ეს ყველაფერი ომის მსვლეობაზე?
• შენ, როგორც 21-ე საუკუნის პროპაგანდისტი, კიდევ რა საშუალებას გამო იყენებდი საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისათვის?

იდეები აქტივობისათვის: მოკლე თხზულება ესსე, საპროტესტო განცხადება – შენი აზრით, შეეძლო იმდროინდელ საზოგადოებას პროტესტის გამოხატვა? აღწერე, დაასაბუთე.

აქტივობის მაორგანიზებელი შეკითხვები:

• როგორ ხვდებიან საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები ომის დაწყებას?
• როგორია საზოგადოების დამოკიდებულება ომის მიმართ?
• შენი აზრით, როგორ უნდა გამოეხატათ პროტესტი საზოგადოების წევრებს ომის მიმართ?
• როგორია განწყობა საქართველოში ომის მიმართ?
• როგორ გავლენას მოახდენდა პროპაგანდა ქართულ საზოგადოებაზე?

კარტოგრაფია საბჭოთა პროპაგანდის სამსახურში

კვლევის მიზანი:

ანალიზი გავუკეთოთ სასწავლო თემატურ ისტორიულ რუკებს, რომლებიც შეტანილია 80-90-იანი წლებიდან დღემდე გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელოებში

საბჭოთა კავშირის დროს კარტოგრაფიული დარგი მთლიანად სახელმწიფოს კონტროლქვეშ იყო. უფრო მეტიც, მას გასამხედროებული დაწესებულება მართავდა, რომელსაც გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სმმართველო ერქვა და უშუალოდ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს (მთავრობას) ექვემდებარებოდა. ამ სამმართველოს სათავეში გენერალ-მაიორი იდგა.

აღნიშნულ სამმართველოს მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჰქონდა განლაგებული თავისი კარტოგრაფიული ფაბრიკები, სულ 16, სადაც რუკები რუსულ ენაზე იქმნებოდა და იბეჭდებოდა. საქართველოში მდებარე ფაბრიკის ნომერი იყო 8. თბილისის ფაბრიკა მთელ კავკასიას ემსახურებოდა. მისი კადრები დაკომპლექტებული იყო ძირითადად რუსეთიდან ჩამოყვანილი სპეციალისტებით. მათთვის სპეციალურად აშენდა საცხოვრებელი კორპუსები.

რა პროდუქციას უშვებდა თბილისის #8 ფაბრიკა? თემატიკა მტკიცდებოდა მოსკოვში! ეს იყო ფართო მოხმარების კედლის რუკები – ფიზიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური და ა.შ. ყველა რუკა მხოლოდ რუსულ ენაზე იბეჭდებოდა და საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში იგზავნებოდა.

ახლა, რაც შეეხება სასწავლო რუკებს. კედლის რუკები გეოგრაფიისა და ისტორიის სწავლებისათვის მოსკოვში იქმნებოდა, იბეჭდებოდა და ვაგონებით იგზავნებოდა ყველა რესპუბლიკაში, მათ შორის საქართველოშიც. აქ უკვე სპეციალიზებული თვალსაჩინოების მაღაზიიდან მიჰქონდათ სკოლებს უნაღდო ანგარიშსწორებით, ანუ მათი ღირებულება სკოლების საერთო ხარჯებში გათვალისწინებული იყო და სავალდებულო წესით ნაწილდებოდა.

ისტორიის სწავლებისათვის რუკები ორი სასკოლო საგნისთვის იბეჭდებიდა: მსოფლიო ისტორიის რუკების სერია (ძველი, შუა, ახალი და უახლესი) და საბჭოთა კავშირის ისტორიის რუკების სერია. ამ უკანასკნელში 28 თემატური რუკა შედიოდა. მათ სიას თუ გადავხედავთ, თვალში გვეცემა მათი სათაურები: „პირველყოფილი თემური წყობილება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე“, „ჩვენი ქვეყნის ხალხთა ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ მე-13 საუკუნეში“. ეს „ჩვენი ქვეყანა“ ცხადია, საბჭოთა კავშირი იყო და პირველყოფილი საზოგადოებისა და მონღოლებთან ბრძოლის დროს საბჭოთა კავშირი რანაირად იქნებოდა?

ან მაგალითად, იყო რუკა „მარქსისა და ენგელსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადგილები“, ან „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, ან „საბჭოთა ხელისუფლების ტრიუმფალური სვლა“, ან „რომელიღაც ხუთწლედის „გმირული“ მშენებლობები.

კედლის რუკების პარალელურად იბეჭდებოდა სასკოლო ატლასები და კონტურული რუკები. მათი კლიშეები პირდაპირ მოსკოვიდან მიდიოდა ყველა კარტოგრაფიულ ფაბრიკაში, ჩვენს შემთხვევაში თბილისში, და ადგილზე იბეჭდებოდა. ისინი, განსხვავებით კედლის რუკებისაგან, ღია სავაჭრო ქსელში იყიდებოდა, რადგან სახელმძღვანელოსთან ერთად უნდა გამოეყენებინა მოსწავლეს. მაგრამ სახელმძღვანელო ქართულად იყო თარგმნილი, ატლასები და კონტურულები (დავალებებით) ისევ რუსულად რჩებოდა. ეს იწვევდა დიდ გაუგებრობას და სირთულეს მოსწავლეებში. ისინი იძულებულები იყვნენ, რუკის აღქმა რუსულად დაეწყოთ და მერე დაეკავშირებინათ ქართულ ენაზე თარგმნილ გაკვეთილებთან. განსაკუთრებით ძნელი იყო ეს პროცესი დაბალ კლასებში, სადაც რუსული ენა ჯერ კარგად არ იცოდნენ მოსწავლეებმა. კიდევ უფრო რთული იყო რუკების პროპაგანდისტული თემებისა და შინაარსის გაგება, რომლებიც საბჭოთა იდეოლოგიას ეფუძნებოდნენ და ხოტბას ასხამდნენ კომუნიზმის იდეებს. უფრო მეტიც, საბჭოთა პროპაგანდა „შეტევაზე გადადიოდა“ და ლანძღავდა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს. რუკები მთლიანად კლასთა ბრძოლის სულისკვეთებით იქმნებოდა. რუკის სათაურებსა და პირობით აღნიშვნებში იყენებდნენ ტერმინებს: იმპერიალისტური, მტაცებლური, მილიტარისტული, კოლონიზატორული, მჩაგვრელები-ჩაგრულები და ა.შ.

მე-20 ს. 90-იან წლებში, როდესაც საქართველო გამოვიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან, პირველი დიდი ცვლილება, რაც ჩვენს სკოლებში მოხდა, საბჭოთა კავშირის ისტორიის საგანი ამოვარდა სასწავლო პროგრამიდან. უფრო სწორად, სანამ ეს ოფიციალურად მოხდებოდა, თავად მასწავლებლებმა თქვეს უარი მის სწავლებაზე.

ამავე დროს, ყველა ხვდებოდა, რომ მსოფლიო ისტორიაც ახლებურად უნდა დაწერილიყო და გათავისუფებულიყო საბჭოური მემკვიდრეობისაგან. ამ მიზნით, სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიკრიბნენ მეცნიერი-ისტორიკოსები და დაიწყეს მსჯელობა, თუ როგორ შეეცვალათ საბჭოური სახელმძღვანელოები ახალი, ევროპული მოდელის სახელმძღვანელოებით. აქვე მწვავედ დადგა ქრონოლოგიის საკითხი. კომუნისტები ახალი დროის დასაწყისად ნიდერლანდების ბურჟუაზიულ რევოლუციას მიიჩნევდნენ, ევროპაში კი ის კოლუმბის მიერ ახალი სამყაროს აღმოჩენით იწყებოდა. საბოლოოდ, ევროპულმა მოდელმა გაიმარჯვა. ასე დაიწყო ახალი ეროვნული სახელმძღვანელოების წერა მშობლიურ ენაზე. დროთა განმავლობაში დაიწერა ძველი, შუა, ახალი და უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოები. პარალელურად იწერებოდა საქართველოს ისტორიის სახელ-მძღვანელოები, როგორც დაწყებითი, ასევე ზედა საფეხურისათვის.

ჩვენი კვლევის მიზანი სახელმძღვანელოებში თემატური რუკების შესწავლა და შეფასება იყო. დაწყებული 80-იანი წლებიდან დღევანდელ დღემდე.

80-იან წლებში, ჯერ ისევ საბჭოთა კავშირის პირობებში, მთლიანად პოლი-ტიზებული იყო ეს დარგი. 90-იანი წლებიდან მართალია, საბჭოთა კავშირის ისტორია, როგორც საგანი, გაქრა ჩვენი სკოლებიდან, მსოფლიო ისტორია მაინც

ვერ გათავისუფლდა საბჭოთა ტრადიციისაგან და თითქმის დღემდე ვერ მოხერხდა ბოლომდე ამისი გააზრება და დანერგვა. აღარაფერს ვამბობთ რუკების ხარისხზე, ეს ცალკე განხილვის თემაა! და კიდევ, 90-იან წლებში არსებული მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების ფონზე სახელმძღვანელოები იბეჭდებოდა უხარისხო, გაზეთის ყვითელ ფურცლებზე, სადაც ილუსტრაციებიც კი ძნელი ამოსაცნობი იყო, არათუ რუკები.

2000-იანი წლებიდან დაიწყო ახალი ეტაპი სახელმძღვანელოების შექმნაში. განათლების სამინისტრომ, უცხოური ფონდების ხელშეწყობითა და დაფინანსებით დაიწყო კონკურსების გზით სახელმძღვანელოების შერჩევა. ეს უჩვეულო პრაქტიკა იყო საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობის ფონზე, სადაც განათლების მთელი სისტემა კრემლიდან მიღებული დირექტივებით მუშაობდა. საქართველოში შეიქმნა ექსპერტთა საგნობრივი ჯგუფები, რომლებიც სატელეფონო გამოკითხვებით მოიძიეს და ამის საფუძველზე ყველაზე მაღალრეიტინგული პროფესიონალები შეარჩიეს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოების საქმე თანდათან წინ მიდიოდა, რუკების საკითხი კვლავ უცვლელი რჩებოდა.

სახელმძღვანელოების რუკებთან შედარებით, უკეთესად მიდიოდა კედლის რუკების საქმე. 2002 წლიდან განათლების სამინისტრომ დაიწყო თვალსაჩინოების გამოფენების ორგანიზება ყველა საგანში. მოდელი იყო ასეთი: სკოლას ეძლეოდა ვაუჩერი, ანუ ვირტუალური თანხა, ეგზავნებოდა გამოფენის კატალოგი, საიდანაც მას უნდა აერჩია მისთვის საჭირო თვალსაჩინოება ვაუჩერის თანხაში. სკოლა აკეთებდა არჩევანს, მიდიოდა გამოფენაზე და მიჰქონდა თავისი შეკვეთა.

ამ გამოფენების ფარგლებში შეიქმნა კედლის რუკების სერია ქართულ ენაზე და შევიდა თითქმის ყველა სკოლაში. ეს იყო საქართველოს ისტორიის თემატური რუკები ქვის ხანიდან დაწყებული, მე-20 საუკუნემდე. მსოფლიო ისტორიაში მხოლოდ რამდენიმე რუკა შეიქმნა, რაც არასაკმარისი იყო. კედლის რუკების პარალელურად იქმნებოდა ორიგინალური რუკები საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელებისათვის.

2019 წელს დაიწყო სახელმძღვანელოების ახალი კონკურსი, რომელსაც საფუძვლად მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა დაედო. შესაბამისად, დაიწყო მსოფლიო ისტორიის ორიგინალური თემატური რუკების შექმნა. დაიწყო მე-7 კლასიდან და დღეისათვის უკვე გამოცემულია მე-11 კლასის სახელმძღვანელო. სახელმძღვანელოსთან ერთად, განათლების სამინისტრომ საკონკურსო პირობებში ჩადო მოსწავლის რვეულის შექმნა დავალებებით და კონტურული რუკებით. ასევე, მოითხოვა მასწავლებლის წიგნი. შედეგად, საქართველოში დამკვიდრდა ევროპული მიდგომა, ანუ მივიღეთ ტრიადა – მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული და მასწავლებლის წიგნი (მეთოდიკა).

მიუხედავან ამდენი წინ გადადგმული ნაბიჯისა, მაინც პრობლემად დარჩა და

დღემდე რჩება მსოფლიო ისტორიის რუკების საქმე.

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების ფონზე ინტერნეტსივრცეში მომრავლდა სქემატური რუკები, რომლებსაც მოყვარულები ქმნიან. ამით სარგებლობენ გამომცემლობები და ეს რუკები პირდაპირ შეაქვთ სახელმძღვანელოებში. მათ მიაჩნიათ, რომ თავის ხარჯებს ზოგავენ და არ ფიქრობენ, რომ საქმეს აფუჭებენ. კერძოდ,

- რუკები არ პასუხობს სახელმძღვანელოს ამოცანებს;
- რუკები არაა სასწავლო მიზნით შექმნილი, არაა გათვალისწინებული მოსწავლის ასაკი;
- რუკებს არ ახლავს პირობითი აღნიშვნები და მოსწავლეს უჭირს მათი „წაკითხვა“;
- კარტოგრაფიული ხარისხი იმდენად დაბალია, რომ კრიტიკას ვერ უძლებს.

„ინტერნეტ-რუკებს“ ემატება ძველი ტრადიციით შექმნილი რუკები, რომლებიც საბჭოთა მემკვიდრეობიდან მოდის და ასე იყრის თავს ერთ წიგნში სხვადასხვა სტილით, პირობითი ნიშნებით, შრიფტით, ზომით, ფერადოვანი გამითა და დიზაინით შექმნილი რუკები. და რაც მთავარია, მათ არ გააჩნიათ ერთიანი კონცეფცია და მექანიკურად შეკრებილი რუკების ერთობლიობას წარმოადგენს.

და მაინც, აქ ჩამოთვლილი მრავალი პარამეტრიდან მთავარი მაინც კონცეფციაა! სახელმძღვანელოს რუკები ისე უნდა იყოს აწყობილი, რომ ტექსტის გარეშე შეძლოს მოსწავლემ თავიდან ბოლომდე თვალი გაადევნოს რუკებს და ისტორიული პროცესების დინამიკა დაინახოს.

საბჭოთა კავშირის დაშლიდან 30 წელზე მეტი გავიდა. მართალია, სსრკ ისტორია აღარ ისწავლება და საბჭოური პროპაგანდაც მასთან ერთად გაქრა, სასწავლო რუკებში ჯერ კიდევ ნათლად არ ჩანს ჩვენი სახელმწიფოებრივი პოზიცია, არ ჩანს მსოფლიო პროცესების საკუთარი ხედვა და ამ პროცესებში ჩვენი ქვეყნის ადგილი.

დასკვნა

1. 80-იან წლებში, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ვიყავით და საბჭოური სახელმძღვანელოებით ვასწავლიდით.

2. კედლის რუკები და ატლასები რუსულ ენაზე შემოდიოდა მოსკოვიდან.

3. 90-იან წლებში, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში დაიწყო ეროვნული სახელმძღვანელოების წერა, მაგრამ რუკები ისევ საბჭოური პროპაგანდით რჩებოდა.

4. 2000-იანი წლებიდან იწყება საქართველოს ისტორიის რუკების შეტანა სახელმძღვანელოებში.

5. მსოფლიო ისტორიის რუკები ისევ საბჭოური ტრადიციით გრძელდება იმ განსხვავებით, რომ საბჭოთა კავშირის პროპაგანდა მექანიკურად არის ამოღებული. ჩანაცვლება არ ხდება ეროვნული იდეოლოგიით.

6. 2012 წლიდან სუსტად, მაგრამ მაინც იწყება ეროვნული პოზიციის დაფიქსირება საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს რუკებში.

7. მსოფლიო ისტორიაში ახალ სიტყვას და სახელმწიფო ხედვას ჯერ ვერ ვაფიქსირებთ.

მოდულები:

Module kit theme: საბჭოთა ეკონომიკა (1970-80-იანი წლები)

აქტივობის თემა: “სოციალისტური სამოთხე” ანუ როგორ ცხოვრობდნენ საბჭოთა კავშირში

სასწავლო აქტივობის აღწერა: ამ აქტივობის მიზანია, გამოვიკვლიოთ საბჭოთა კავშირის ეკონომიკური “კეთილდღეობის” ანუ ეკონომიკური სტაგნაციის როლი, როგორც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი “სოციალისტური სამოთხის” ნგრევაში. როგორ შეუწყო ხელი ეკონომიკურმა გამოწვევებმა საბჭოთა სისტემის საბოლოოდ დაცემას და რა იყო ამ სტაგნაციის კონკრეტული გამოვლინება? რა იყო ფაქტი და რა იყო რეალობა?

ვიზუალური / წერილობითი წყაროს ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში)	1. https://www.rferl.org/a/christian-dior-models-in-soviet-union-in-1959/29991086.html 2. https://www.allnews.ge/saintereso/168406-xrushchovkis-istoria-ra-ar-icit-korpusebze-romlebshic-shesazloa-mteli-cxovreba-gaataret/ 3. https://www.alamy.com/stock-photo-coupons-for-various-kinds-of-products-in-post-soviet-russia-94067435.html?imageid=84C5E40A-B67A-45E6-A19C-A332A091036A&p=286218&pn=1&searchId=658fdf0a7d76b88dfafc7685703959be&searchtype=0
სათაური	სოციალისტური სამოთხე ანუ როგორ ცხოვრობდნენ საბჭოთა კავშირში. "ყველაფერი საუკეთესო საბჭოთა მოქალაქეებისათვის".
საკვანძო კითხვა	სოციალური სტაგნაციის ფაქტები და რეალობა: რა იყო სოციალური სტაგნაციის ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორები და როგორ გამოიხატა იგი საზოგადოების სხვადასხვა ასპექტში?
მოკლე აღწერა	აქტივობა ეხება საბჭოთა კავშირის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას სტაგნაციის ეპოქაში, კერძოდ, ხრუშჩოვის და ბრეჟნევის ლიდერობის პერიოდში; საზოგადოების ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა. და ამ მდგომარეობის გავლენა საბჭოთა საზოგადოებაზე -საზოგადოების უმრავლესობის პერსპექტივიდან.
ავტორი (ავტორები)	ნათია ფირცხალავა
საფეხური (საშუალო, საბაზო, მაღალი დონე)	აქტივობა შესაძლებელია ნებისმიერ საფეხურზე
აქტივობისთვის ჩასატარებელი სავარაუდო დრო	40-45 წუთი

მეტი ინფორმაცია	აქტივობისთვის მასწავლებელს შეუძლია მოცემული ელექტრონული რესურსებიდან ფოტოების სახით მასალის ამობეჭდვა და მიწოდება მოსწავლეებისათვის. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს მიაწოდოს ვალიდური სტატისტიკური ინფორმაცია საბჭოთა კავშირში გორბაჩოვის ლიდერობამდე არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ტერმინი საქმოსნები – ან "ცეხავიკები" კომპარტიის წევრები ასე ახასიათებდნენ იმ პერიოდის "ბიზნესმენებს". მიუხედავად იმისა, რომ ეს ნეგატიური ტერმინი იყო, რომელსაც თავად პარტიის წევრებიც ნეგატიურ კონოტაციაში იყენებდნენ, თავად ხშირად ისინი იყვნენ „საქმოსნები". დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის ხრუშჩოვკების შესახებ: „ხრუშჩოვკები" შენდებოდა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, ყველა ქალაქში. ხელისუფლების მიზანი იყო რაც შეიძლება მეტი მოქალაქის უზრუნველყოფა ბინით, ოღონდ ნაკლები დანახარჯებით, იაფად და სწრაფად. ხრუშჩოვკები წარმოადგენდა 4-5-სართულიან, ულიფტო, პატარა და დაბალჭერიან ერთ ან ოროთახიან ბინებს. მათში შიდა კედლების იზოლაცია უხარისხოდ იყო გაკეთებული. მისი აგება საბინაო პრობლემების დროებით მოგვარებისთვის იყო განკუთვნილი და ექსპლუატაცია გათვლილი იყო 25 წელზე. ჯერ კიდევ ხრუშჩოვის და შემდეგ უკვე ბრეჟნევის პერიოდში სოციალისტური „თანასწორობა" უფრო კარგად გამოჩნდა და გამოიკვეთა. ეკონომიკური სტაგნაცია ანუ უძრაობის ხანის მთავარი მახასიათებელი იყო შავი ბაზარი ანუ ჩრდილოვანი ეკონომიკა. 70-იან წლებში გაიხსნა სპეციალური მაღაზიები, სადაც დეფიციტური და „იმპორტული" საქონელი იყიდებოდა. ასეთი მაღაზიები იყო სხვადასხვა ტიპის: ავეჯის, ტექნიკის, პროდუქტის, შერეული. ერქვა „ბერიოზკა". თბილისშიც იყო ასეთი მაღაზია „ციცინათელა". მაღაზიის მომხმარებელი მხოლოდ პარტიული ელიტა – ნომენკლატურა იყო. თავდაპირველად ვაჭრობა ასეთ მაღაზიებში უცხოურ ვალუტაზე ხდებოდა, თუმცა მალევე შემოიღეს სპეციალური ფასიანი ქაღალდები – „ჩეკები", რომლითაც მხოლოდ ისევ პარტიული ელიტა სარგებლობდა. ჩვეულებრივ მოსახლეობას არ ჰქონდა ჩეკები და არც მაღაზიაში შესვლის უფლება. ეს 51-წუთიანი ვიდეო დამხმარე რესურსი იქნება მასწავლებლებისთვის დეფიციტური საქონლისა და კორუფციის გასააზრებლად. (https://www.radiotavisupleba.ge/a/red-zone/28390150.html

Figure 6.3 'You call this a museum? You haven't been to *my* house!', *Krokodil*, no. 19, 1981.

Activate Win
Go to Settings to

წარწერაზე ვკითხულობთ: "და თქვენ ამას მუზეუმს ეძახით? ჰმ, თქვენ ჩემს სახლში არ ყოფილხართ". ეს პირველადი წყარო (კარიკატურა) დამატებითი რესურსია მასწავლებლებისათვის – კორუფციის კიდევ ერთი მაგალითი. (ყურადღება გასამახვილებელია არა მხოლოდ წყაროს შინაარსზე, არამედ წყაროს-წარმომავლობაზე – ის დაიბეჭდა სატირულ ჟურნალში "კროკოდილი" 1978 წელს. მეტი ლუსტრაციისთვის შესაძლებელია იმის აღნიშვნაც, თუ რა პოლიტიკური ქმედებები ხდებოდა ბრეჟნევის დროს საბჭოთა კავშირში. მიუხედავად ასეთი ეკონომიკური და სოციალური ასეთი მდგომარეობისა, საბჭოთა კავშირი იწყებს ავღანეთში ომს, რაც მას კოლოსალური თანხა უჯდება.

საბჭოთა პერიოდის ანეკდოტი:

"სტალინი, ხრუშჩოვი და ბრეჟნევი მატარებლით მიდიოდნენ. უეცრად ის გაფუჭდა. სტალინის ამ პრობლემის გადაწყვეტა ინჟინერის დახვრეტა იყო. ხრუშჩოვს სურდა ეკიპაჟის შეწყალება და მათთვის მეორე შანსის მიცემა. ბრეჟნევის გამოსავალი იყო ფანჯრის ჟალუზების აწევა და ილუზიის შექმნა, ვითომ ისინი მოძრაობდნენ". (რა არის ამ ანეკდოტის აზრი? როგორ ასახავს იგი საბჭოთა რეალობას?).

1. სასწავლო მასალა

მასწავლებლისთვის განკუთვნილი რესურსები: ყველა ის მთავარი თუ დამატებითი რესურსი, რომელიც საჭიროა შედეგის მისაღწევად.

მოსწავლისთვის განკუთვნილი რესურსები:

ონლაინ რესურსები:

სათაური	
URL:	1. კრისტიან დიორის ვიზიტი მოსკოვში https://www.rferl.org/a/christian-dior-models-in-soviet-union-in-1959/29991086.html 2. შენობები https://www.allnews.ge/saintereso/168406-xrushchovkis-istoria-ra-ar-icit-korpusebze-romlebshic-shesazloa-mteli-cxovreba-gaataret/ 3. საბჭოთა ეკონომიკა 1980-90-იან წლებში https://www.alamy.com/stock-photo-coupons-for-various-kinds-of-products-in-post-soviet-russia-94067435.html?imageid=84C5E40A-B67A-45E6-A19C-A332A091036A&p=286218&pn=1&searchId=658fdf0a7d76b88dfafc7685703959be&searchtype=0 4. ცარიელი დახლები საბჭოთა კავშირში https://alphahistory.com/coldwar/wp-content/uploads/2016/06/sovietfoodqueues.jpg

2. ისტორიული აზროვნება

მოცემული აქტივობა რომელ ისტორიულ აზროვნების კლასიფიკაციაზე გადის? (აირჩიე მხოლოდ ერთი ან ორი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია)

ისტორიული აზროვნება	მტკიცება (როგორ განავითარებთ თქვენს აქტივობაში ამ ისტორიული აზროვნების მახასიათებელს?)
მნიშვნელობა	
ცვლილება და უწყვეტობა	
მიზეზობრივი კავშირი	

შედეგების ანალიზი	შედეგების ანალიზი მნიშვნელოვანია ობიექტური შეფასებისათვის. ეს უნარი ეხმარება მოსწავლეს, შეაფასოს ისტორიაში მოვლენების მნიშვნელობა როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი პერსპექტივით. საბჭოთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე მსჯელობისა და შედეგების განხილვა მოსწავლისათვის მნიშვნელოვანია, რომ მცდარი ნოსტალგიური სენტიმენტები და რეალური ფაქტები გამიჯნოს და შეაფასოს.
პერსპექტივები	
მსგავსებები და განსხვავებები	
ისტორია არის წარსული	
წყაროები	წყაროებზე მუშაობა მოსწავლისათვის არის უმნიშვნელოვანესი პროცესი გაიაზროს, გაანალიზოს და კრიტიკულად შეაფასოს მოცემული საკითხები და უპასუხოს მთავარ კითხვას – რამდენად იყო საბჭოთა კავშირი სოციალისტური სამოთხე?
მაგალითები და ინტერპრეტაციები	

უნარები:

რომელ უნარებს მოიცავს თქვენი სასწავლო აქტივობა? (აირჩიეთ მხოლოდ ის უნარები, რომლებიც საკვანძოა აქტივობაში).

უნარები	მტკიცებულებები (როგორ ავითარებს სასწავლო აქტივობა/ რესურსი უნარებს)
დამოუკიდებლად სწავლა	ინდივიდუალური მუშაობა ეხმარება მოსწავლეებს სწავლისადმი პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებაში. ეს მათ ეხმარება, მართონ თავიანთი დრო, დასახონ მიზნები და დაეუფლონ აკადემიურ პროგრესს. დავალებების ინდივიდუალურად შესრულება ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების უნარს. მოსწავლეებმა უნდა გააანალიზონ ინფორმაცია, გადაწყვიტონ პრობლემები და დამოუკიდებლად გამოიტანონ დასკვნები.

ანალიტიკური და კრიტიკული	წყაროების კრიტიკული ანალიზი უმნიშვნელოვანესია, რათა მოსწავლე იყოს დამოუკიდებელი და შეუძლებელი იყოს მისით მანიპულირება. მოცემული წყაროების კრიტიკული ანალიზით და დასკვნების გაკეთებით მოსწავლე თავად შეძლებს უპასუხოს კითხვას – რამდენად იყო მოცემული პერიოდი სოციალისტური სამოთხე.
აქტიური მსმენელი და დამკვირვებელი	
ემპათია	
მოქნილობა და ადაპტირება	
თანამშრომლობა	
კონფლიქტების მოგვარება	

ღირებულებები და დამოკიდებულებები:

რომელ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს მოიცავს ეს სასწავლო აქტივობა

	ფასეულობები		**დამოკიდებულებები**
X	ადამიანის უფლებები	X	კულტურული განსხვავებულობა
X	კულტურული უფლებები	X	პატივისცემა
X	მრავალფეროვნება	X	სამოქალაქო აზროვნება
X	სენსიტიური და საკამათო ისტორია	X	პასუხისმგებლობა
X	ტრანსნაციონალური პერსპექტივა	X	თვითდარწმუნება
X	მდგრადობა	X	შემწყნარებლობა გაურკვევლობის მიმართ
	სხვა (ახსენი)		სხვა (ახსენი)

Table 2 *Industrial output, 1965–80*

	8th Plan 1965–70		9th Plan 1971–75		10th Plan 1976–80	
	1970 Plan	1970 actual	1975 Plan	1975 actual	1980 Plan	1980 actual
Industrial production (1965 index = 100)	148.5	150	147	143	137	124
Producers' goods	150.5	151	146.3	146	140	126
Consumers' goods	144.5	149	148.6	137	131	121
Electricity (billion Kwhs)	840	740	1065	1039	1380	1290
Oil (million tons)	350	353	505	491	640	604
Coal (million tons)	670	624	694.9	701	800	719
Steel (million tons)	126	116	146.4	141	168	155

*Adapted from Soviet sources in Nove, A., **An Economic History of the USSR**, 1988*

Table 1 *Agricultural output, 1966–80*

	Annual averages		
	1966–70	1971–75	1976–80
Gross agricultural output *(billion roubles)*	80.5	91.0	99.9
Grain harvest (million tons)	167.5	181.6	205
Cotton (million tons)	6.1	7.7	8.9
Sugar beet (million tons)	81.1	76.0	88.4
Potatoes (million tons)	94.8	89.6	84
Meat (million tons)	11.6	14.0	14.8
Milk (million tons)	80.6	87.4	92.6

საბჭოთა ეკონომიკა

ჯგუფის თემა: რეფორმები თუ ანტირეფორმები?

1. სასწავლო აქტივობის აღწერა:

„ცუდი ხელისუფლებისთვის ყველაზე სახიფათო მომენტი არის ის, როდესაც ის იწყებს რეფორმას“. ფრანგი პოლიტიკოსი და ფილოსოფოსი ალექსის დე ტოკვილი (1805-1859)

წერილობითი წყაროს ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში)	https://www.radiotavisupleba.ge/a/1546483.html
სათაური	საბჭოთა ეკონომიკა-კომუნისტური ეკონომიკის დემოკრატიის საფარქვეშ
საკვანძო კითხვა	გამოიკვლიეთ საბჭოთა ეკონომიკის კოლაფსის მიზეზები გორბაჩოვის პერესტროიკის პოლიტიკის ამსახველ წყაროებზე დაყრდნობით (პირველადი და მეორადი წყაროების გამოყენებით).
მოკლე აღწერა	ამ აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა გამოიკვლიონ საბჭოთა კავშირის ეკონომიკა გორბაჩოვამდე და ის ცვლილებები, რაც მოხდა გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, რათა შეძლონ მთავარი კითხვისთვის პასუხის გაცემა.
ავტორი (ავტორები)	ნათია ფირცხალავა
საფეხური (საშუალო, საბაზო, მაღალი დონე)	აქტივობა შესაძლებელია მაღალ საფეხურზე
აქტივობისთვის ჩასატარებელი სავარაუდო დრო	90 წუთი

მეტი ინფორმაცია	„მე კომუნისტი ვარ, ნამდვილი კომუნისტი! ზოგისთვის ეს შეიძლება ფანტაზია იყოს. მაგრამ ჩემთვის ეს არის ჩემი მთავარი მიზანი.” გორბაჩოვი, 1988 წელი. როგორი იყო საბჭოთა კავშირის ეკონომიკა გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლამდე? 1980-იანი წლების შუა პერიოდისთვის სსრკ-ს მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 25% იხარჯებოდა სამხედრო საქმეზე. ეკონომიკა ჯერ კიდევ სტალინის დროინდელ „ბრძანებით ეკონომიკას“ ეყრდნობოდა და ის ნელდებოდა; 1967-1980 წლებში საბჭოთა ინდუსტრიული წარმოების წლიური ზრდის ტემპი 5,2 პროცენტიდან 2 პროცენტამდე შემცირდა. ნავთობისა და გაზის ფასების ვარდნამ საბჭოთა კავშირს მძიმე დარტყმა მიაყენა. ავღანეთში წარმოებულმა ომმა, საგარეო პოლიტიკამ (აფრიკაში კომუნიზმის გავრცელება, კუბის ეკონომიკური დახმარება, ამერიკის საგარეო პოლიტიკა) კიდევ უფრო გამოააშკარავა საბჭოთა ეკონომიკის პრობლემები. სსრკ-ში აქცენტი კვლავ მძიმე მრეწველობაზე კეთდებოდა. 1981 წლისთვის სამომხმარებლო საქონლის ზრდის ტემპი ნულამდე იყო დაცემული; ასევე დაეცა ჯანდაცვის ხარისხი. ცუდი მოსავალი და მუდმივი გვალვა ნიშნავდა, რომ სოფლის მეურნეობის წარმოება შემცირდა. კოლექტიური მეურნეობები ჯერ კიდევ არსებობდა, თუმცა სახნავი მიწების 3% კერძო ნაკვეთების სახით იყო გაცემული – ისინი აწარმოებდნენ ხორცს, რძის პროდუქტებს და ბოსტნეულს. 1975 წელს საბჭოთა კავშირმა დადო ხუთწლიანი შეთანხმება აშშ-დან 8 მილიონ ტონამდე მარცვლეულის შესაძენად; მარცვლეულის ემბარგომ, რომელიც აშშ-მ დაუწესა სსრკ-ს ავღანეთში შეჭრის შემდეგ, პროდუქციის დეფიციტი შექმნა. საბჭოთა ეკონომიკის დაცემამ დიდი გავლენა იქონია აღმოსავლეთ ევროპის სატელიტურ სახელმწიფოებზე. როდესაც სსრკ-ში ეკონომიკური ზრდა შემცირდა, ასევე შემცირდა სატელიტური სახელმწიფოებიდან წარმოებული საქონლის შემოდინება; ვაჭრობის ნაკადის ამ კოლაფსმა შეარყია ხალხის ნდობა კომუნისტური ეკონომიკური სისტემის მიმართ. ნოლოგიურად ვერ ეწეოდა დასავლეთს; ბრეჟნევის 20-წლიანმა მმართველობამ, გარდა იმისა, რომ უძრაობა დანერგა, ასევე შექმნა ახალი პრობლემა – გერონტოკრატია – მოხუცების მმართველობა, როდესაც ქვეყანაში არავინ იყო ახალი იდეების მაინიცირებელი ძალა და, პირიქით, როდესაც მთავარ მიღწევად განიხილებოდა სტაბილიზაცია ანუ უძრაობა. ხელისუფლებაში მოსვლისას გორბაჩოვი ყველაზე ახალგაზრდა იყო პარტიულ მუშაკებს შორის (54 წლის), იგი იყო ერთადერთი, რომელიც დაიბადა არა ცარისტულ რუსეთში, არამედ საბჭოთა კავშირში და ერთადერთი, რომელსაც ჰქონდა უმაღლესი განათლება მიღებული საბჭოთა კავშირში.

	რეფორმები თუ ანტირეფორმები? წყარო 1. ამონარიდი გორბაჩოვის ინტერვიუდან ჩერნობილის აფეთ-ქების 20 წლისთავზე; 2006 წლის 18 აპრილი, გამოქვეყნებულია ბრი-ტანულ გაზეთ „ფაინენშელ თაიმსში“ (Financial Times): **წყარო 1.** თანდართული კითხვებით იხილეთ ქვემოთ **წყარო 2.** რა მოხდა ჩერნობილში და როგორია იგი დღეს? – 32 წელი კატასტროფიდან. 2-წუთიანი ვიდეო ქართული სუბტიტრებით. https://www.youtube.com/watch?v=BQrsZ5FoiSg **წყარო 3.** ანტი-ალკოჰოლური კამპანიის 20 წლისთავი; მაისი 16, 2005; გიორგი გვახარია; რადიო თავისუფლება https://www.radiotavisupleba.ge/a/1541258.html წყარო თანდართული კითხვებით და დავალებით იხილეთ ქვემოთ **პერესტროიკა და მისი შედეგები** ეკონომიკურმა “რეფორმამ“ კრახი განიცადა. ბრეჟნევის უძრაობის ხანა მოსახლეობისთვის სანატრელი გახდა. მაღაზიები დაცარიე-ლდა. ყოველდღიური მოხმარების საგნებზე დეფიციტი გაჩნდა. არ იშოვებოდა მარილი, საპონი, სარეცხი საშუალებები, ყოველდღიური მოხმარების ნივთები თუ პროდუქტები. შავი ბაზარი აყვავდა და 1990 წლისთვის მოსახლეობის 25% სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხო-ვრობდა. გარდა ამისა, ამას ემატებოდა ავღანეთის ომი – მორალური და ეკონომიკური წნეხი. ომმა გამოფიტა საბჭოთა ეკონომიკა; ომმა გააჩინა ბევრი ოპოზიციურად განწყობილი ფენა, რომელიც უკვე ღიად ანუ საჯაროდ აფიქსირებდა პროტესტს.

წყარო 4. საბჭოთა ტალონები პროდუქტებზე 1988, 1989, 1990 წელი.

წყარო 5.



ხმები და სინამდვილე

კარაქი გვექნება

სასურსათო მაღაზიების დახლებიდან ისეთი მნიშვნელოვანი კვების პროდუქტის გაჭრობამ, როგორიც კარაქია, მარტო დიახ-ბლისები რიდი შეაშფოთა.

კვლავ დაიწყეს ლაპარაკი ბოიკოტზე, იმაზე, რომ თებერვალში რაგს, მარტიდან კი — ნორმა მნიშვნელოვნად შემცირდება, ზოგი კი იმასაც ამბობდა, საერთოდ უკარაქოდ დავრჩებითო.

რამდენად საფუძვლიანია ასეთი ხმები? განმარტებისათვის ხაჭინფორმის კორესპონდენტმა მიმართა თბილისის ხაჭალაქო ხაბჭოს აღმასკომის ხაცალო ვაჭრობის სამმართველოს უფროსს ირაკლი ბრეგვაძეს:

— სამწუხაროდ, — თქვა მან,— [illegible] კარაქი

მაღაზიებში მართლაც არ ყოფილა. რაც შეეხება ხმებს, მათ არავითარი საფუძველი არა აქვთ. საქმე ის არის, რომ ტრანსპორტის მუშაობაში შეფერხებების გამო მოიშალა კარაქის მოწოდების გრაფიკი. მაგრამ ახლა ფოთში გაანტვირთეს ელოდებიან გემები, რომლებმაც კარაქი ჩამოიტანეს და სულ რამდენიმე დღეში ეს პროდუქტი გამოჩნდება მაღაზიებში. თუმცა, ეს ამერიკული — მარილიანი კარაქია. რაც შეეხება ტკბილი კარაქს — უკრაინული იქნება იგი, ფრანგული თუ გერმანული — მას ქალაქელები მიიღებენ მაშინვე, როგორც კი მოგვივა მაღაზიებში, და იმედი გვაქვს, რომ ეს მალე მოხდება. ჯერჯერობით კი გავყიდით იმას, რაც მივიღეთ. ყველა ტალონი დასაქონლებული იქნება, ამიტომ ვფიქრობთ ბალხმრავლობა: კარაქი არ გაგვიტანია.

— რას იტყვით მომავალში ნორმების შემცირების შესახებ?

— ეს ხმებიც ანსოლუტურად უსაფუძვლოა. ნორმა მარტისა და მომდევნო თვეებისათვის დარჩება ისეთი, როგორიც იყო — 600 გრამი სულზე.

(საკინფორმი).

კარაქი გვექნება? ამონარიდი გაზეთიდან 1990 წლის იანვარი

არასაკმარისი წარმოების პრობლემასთან საბრძოლველად, გორბაჩოვმა ეკონომიკაში შემოიტანა „პერესტროიკა“ (კაპიტალისტური იდეების დანერგვა, როგორიცაა კერძო საკუთრება, კონკურენცია და მოგება). პირველად 70 წლის განმავლობაში, ლეგალური გახდა ყიდვა-გაყიდვა მოგებით. ამ რეფორმების საშუალებით გორბაჩოვი ფიქრობდა, რომ „სსრკ-ს ეკონომიკური შესაძლებლობები 2000 წლისთვის 100%-ით უნდა გაზრდილიყო“.

	სამეწარმეო კანონით გადაწყვეტილების მიღება ცენტრალური სამინისტროებიდან საწარმოებზე გადავიდა. სახელმწიფო კომპანიებში მენეჯერებს ახლა ბევრად მეტი უფლებამოსილება მიეცათ. პრობლემა ის იყო, რომ არ არსებობდა კარგად ჩამოყალიბებული საბაზრო მექანიზმი და ამან გამოიწვია ქაოსი როგორც ძველ ცენტრალურ დამგეგმავ სფეროში, ასევე ახალ კომუნისტურ-კაპიტალისტურ სისტემაში. ისტორიკოსი ვ. გოლდმანი ამტკიცებს, რომ „შოკური თერაპია შეიძლება მუშაობდეს ქვეყანაში, სადაც არსებობდნენ მწარმოებლები, რომლებიც მზად არიან და ელოდებიან ბაზრის ოპტიმალურ პირობებს“. მაგრამ ეს ასე არ იყო სსრკ-ში. კომპანიებს ყოველთვის ცენტრალიზებულად აკონტროლებდნენ. გეგმური ეკონომიკა ნიშნავს, რომ ეკონომიკის დიდი ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებაშია და კონტროლს ექვემდებარება. ათასობით სახელმწიფო დამგეგმავმა თუ ბიუროკრატმა გადაწყვიტეს, რა ეწარმოებინათ, როდის და რა ფასად. სახელმწიფოს კონტროლირებადი ეკონომიკის პირობებში არ არსებობდა კერძო სტიმული. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში მეურნეობის უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ კოლექტივიზებული იყო (სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა), თუმცა გლეხებს უფლება მიეცათ, ჰქონოდათ მიწის მცირე კერძო ნაკვეთები. ეს ნაკვეთები შეადგენდა სახნავი მიწების 3%-ს, მაგრამ აწარმოებდა ხორცის, რძის პროდუქტებისა და ბოსტნეულის 40%-ს. იგივე პრობლემები იყო სამრეწველო-ინდუსტრიულ სექტორშიც. დაბალმა პროდუქტიულობამ ზიანი მიაყენა საბჭოთა ეკონომიკას. სახელმწიფო ბიუროკრატებმა და პოლიტიკოსებმა გადაწყვიტეს, სად და რამდენი რესურსი უნდა ჩადებულიყო. ამტკიცებდნენ, რომ ეს ბიუროკრატები, ნომენკლატურა ხელს უშლიდნენ სისტემურ რეფორმებს და ახალ ინიციატივებს. სსრკ-ს არ ესმოდა კომპიუტერული ტექნოლოგიების მნიშვნელობა და შესაძლებლობები. ის აგრძელებდა “მძიმე ინდუსტრიის” გზას, როგორც ამას აკეთებდა ათწლეულების განმავლობაში. ნომენკლატურა არასოდეს იქნებოდა ახალი ტექნოლოგიების განვითარების ხელშემწყობი და მამოძრავებელი ძალა. ისტორიკოსი ჯონ ლუის გადისი წერს: „კომპიუტერული რევოლუცია იფურჩქნებოდა ინდივიდუალური ინიციატივებითა და ინფორმაციის შეუზღუდავი ნაკადით, რომელთა წახალისებისთვის საბჭოთა სისტემა აბსოლუტურად არ იყო აღჭურვილი“. 1980-იანი წლების შუა პერიოდში შეერთებულ შტატებში იყო 30 მილიონი პერსონალური კომპიუტერი და მხოლოდ რამდენიმე არსებობდა სსრკ-ში. როცა გორბაჩოვმა „პერესტროიკა“ დაიწყო “ზემოდან”, არ არსებობდა კაპიტალის ინვესტიციების, საკრედიტო, ფისკალური და მონეტარული კონტროლის ეფექტური სისტემა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „პერესტროიკა“ იყო კომუნიზმისა და კაპიტალიზმის შეუძლებელი ნაერთი. კომუნიზმისა, რადგან ეს იყო მხოლოდ გარეგანი გარდაქმნა ყოველგვარი კვლევების, გაანალიზების გარეშე – კომუნისტური ზედაპირულობით, მთავარი სლოგანით – მთავარია რაოდენობა (დრო, ტემპი) და არა ხარისხი; კაპიტალიზმისა – რადგან დაშვებული იყო კერძო საკუთრება.

	არასწორია იმის თქმა, რომ ვერავინ მოიგო, მაგრამ და ვინ მოიგო უფრო მეტად? ვინ იგრძნო „პერესტროიკის“ ძალა? უმეტესწილად პარტიულმა ელიტამ – ნომენკლატურამ, რომელმაც ხელში ჩაიგდო “ბიზნესი”. ასევე კოოპერატივებით ისარგებლეს საქმოსნებმა ანუ “ცეხავიკებმა”, მათ, ვისაც ჰქონდათ დაგროვილი ფული და გააჩნდათ შესყიდვის საშუალება. მოგვიანებით კი ამან წარმოშვა ახალი ფენა – ოლიგარქია, რომელიც არა მხოლოდ ეკონომიკას მართავდა, არამედ პოლიტიკაშიც აქტიურად ერეოდა. **წყარო 5.** დიმიტრი ვოლკოგონოვი, საბჭოთა იმპერიის აღზევება და დაცემა, 1999 წელი. პერესტროიკის პროცესი იყო მცდელობა, გარდაექმნა დუნე, დოგმატური, ბიუროკრატიული გეგმური ეკონომიკა ლიბერალიზმის გზით. თუმცა ეს არ იყო კომუნისტურ იდეალებზე უარის თქმა. ამდენად, თავიდანვე გარდაქმნა იყო ბუნდოვანი, შეზღუდული, გაუაზრებელი, ამიტომაც მან დემოკრატიული და საერთოდ, მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია პოლიტიკაში, მაგრამ ეკონომიკაში კრახი განიცადა. გორბაჩოვი მეტს ვერც ვერაფერს იზამდა. ალბათ, ვერც ვერავინ საბჭოთა კავშირში. თუმცა მაინც მისი ყველაზე დიდი დამსახურება არა „პერესტროიკა“, არამედ „გლასნოსტია“ (საჯაროობა) – ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ეს იყო გლასნოსტი (სიმართლის თქმა). გორბაჩოვმა დაიწყო ეს პროცესი, თუმცა მან არ იცოდა არც მოსალოდნელი საფრთხეები, არც შედეგები. სისტემა, რომელსაც დიდი კლასობრივი ტყუილი ერქვა, დაინგრა და დაინგრა ამ ორივე “რეფორმის” შედეგად. ერთი ფაქტია, ეკონომიკის დემოკრატიზაცია შეუძლებელი იყო ბოლშევიკური იდეოლოგიით. კომუნიზმი დემოკრატიის საფარქვეშ – თავისუფალი სავაჭრო ეკონომიკა და პოლიტიკური პლურალიზმი – არ არის კომუნიზმი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გორბაჩოვის პარადოქსი იმაში მდგომარეობდა, რომ მას სჯეროდა იმის ცვლილების, რაც ვერ შეიცვლებოდა. რაც საჭირო იყო, ეს იყო არა „პერესტროიკა ანუ გარდაქმნა, არამედ ნოვოსტროიკა – ანუ ახლიდან შექმნა, ახლის შენება. „ცუდი ხელისუფლებისთვის ყველაზე სახიფათო მომენტი არის ის, როდესაც ის იწყებს რეფორმას“. ფრანგი პოლიტიკოსი და ფილოსოფოსი

	ისტორიკოსთა უმეტესობა თანხმდება, რომ რეფორმებმა გახსნა სივრცე, რამაც გამოიწვია კრახი. რა გააკეთა რეალურად გორბაჩოვმა? თავდაპირველად მან ხაზი გაუსვა დისციპლინის მნიშვნელობას და ქვეყნის სტაგნაციაში ყოფნა მოსახლეობის დიდი ნაწილის მხრიდან ალკოჰოლური სასმელების მოხმარებას დააბრალა. 1986 წელს მან შემოიღო „პერესტროიკა“, ანუ რეკონსტრუქციის პოლიტიკა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შორს მიმავალი რეფორმები იყო საჭირო. • პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები დასაშვები გახდა. • ცენზურა 1988 წელს გაუქმდა. გორბაჩოვის „გლასნოსტი“ ანუ საჯაროობა აუცილებელი იყო პერესტროიკისთვის. მაგრამ ამან მალე გამოიწვია პრობლემები. ისტორიკოსები წერდნენ: „მას შემდეგ, რაც მას დაექვემდებარა საზოგადოებრივი აზრის ახლად გამოთავისუფლებული ძალა, მართვა არაკონტროლირებადი გახდა”. 1987 წელს გამოვიდა კანონი კოოპერატივების შესახებ, რომლის მიხედვით ნებადართული გახდა ბიზნესი, კერძო საკუთრება მომსახურების, წარმოებისა და საგარეო ვაჭრობის სექტორებში. მუშებს და გლეხებს უფლება მიეცათ, დაეტოვებინათ კოლმეურნეობები. 1985-1988 წლებში ჩამოყალიბდა 13 000 მწარმოებელი კოოპერატივი და 300 000 საოჯახო ბიზნესი. მომსახურების სექტორის 50% და სოფლის მეურნეობის 40% მოულოდნელად კერძო ხელში აღმოჩნდა.

2. სასწავლო მასალა

მასწავლებლისთვის განკუთვნილი რესურსები: ყველა ის რესურსი, რომელიც საჭიროა აქტივობის დასანერგად.

მოსწავლისთვის განკუთვნილი ონლაინ რესურსები:

სათაური	
URL:	ჩერნობილის აფეთქება https://1tv.ge/news/chernobili-faqtebi-msoflioshi-yvelaze-sazareli-birtvuli-katastrofis-shesakheb-1tvmecniereba/ რა მოხდა ჩერნობილში და როგორია იგი დღეს? – 32 წელი კატასტროფიდან https://www.youtube.com/watch?v=BQrsZ5FoiSg ანტიალკოჰოლური კამპანიის 20 წლისთავი; რადიო თავისუფლება https://www.radiotavisupleba.ge/a/1541258.html

3. ისტორიული აზროვნება

მოცემული აქტივობა რომელ ისტორიულ აზროვნების კლასიფიკაციაზე გადის? (აირჩიე მხოლოდ ერთი ან ორი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია)

ისტორიული აზროვნება	მტკიცება (როგორ განავითარებთ თქვენს აქტივობაში ამ ისტორიული აზროვნების მახასიათებელს?)
მნიშვნელობა	
ცვლილება და უწყვეტობა	ცვლილების კონცეფციის განხილვა ხელს შეუწყობს მოსწავლეებში დისკუსიების განვითარებას. ეს მათ საშუალებას მისცემს, იფიქრონ, გამოიკვლიონ, მოიძიონ, დააკვირდნენ და შეცვალონ უკვე არსებული მტკიცებულებები თუ ტრადიციული თეორიები. მოსწავლეების შეკითხვები და დასკვნები ისტორიული ცვლილების შესახებ უნდა ეფუძნებოდეს შინაარსის ღრმა გაგებას და სიტუაციების შედარებას ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ.
მიზეზობრივი კავშირი	ეფექტური ისტორიული აზროვნება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც წარსულის შესახებ უფრო მეტი სიღრმისეული კვლევა კეთდება. მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, საფუძვლიანად ახსნან, და პირველ რიგში მიაგნონ იმ მიზეზებს, რატომ მოხდა ეს ცვლილებები, რა გარემოებებმა განაპირობა ეს ცვლილებები. ღრმა ისტორიული გაგებაა, როდესაც მოსწავლეები აღიარებენ, რომ ნებისმიერი ცვლილება დიდი თუ მცირე, ლოკალური თუ გლობალური, გამოწვეულია იმ მრავალფეროვანი და მრავალი მიზეზის ურთიერთქმედებით, რაც ხშირად ყურადღების მიღმა რჩება. მოსწავლეებმა უნდა იფიქრონ, იმსჯელონ და მტკიცებულებებით გაამყარონ, რომელი მიზეზია ირიბი, რომელი პირდაპირი და რატომ.
შედეგების ანალიზი	
პერსპექტივები	
მსგავსებები და განსხვავებები	
ისტორია არის წარსული	
წყაროები	
მაგალითები და ინტერპრეტაციები	

უნარები

რომელ უნარებს მოიცავს თქვენი სასწავლო აქტივობა? (აირჩიეთ მხოლოდ ის უნარები, რომლებიც საკვანძოა აქტივობაში).

უნარები	მტკიცებულებები (როგორ ავითარებს სასწავლო აქტივობა/რესურსი უნარებს)?
დამოუკიდებლად სწავლა	
ანალიტიკური და კრიტიკული	ნარატივისა და წყაროების კრიტიკულად გაანალიზებით მოსწავლე შეაფასებს მოვლენის გამომწვევ მიზეზებს, კერძოდ, იმსჯელებს იმ სხვადასხვა ფაქტორზე, რამაც გამოიწვია საბჭოთა კავშირის ეკონომიკური რღვევა. გარდა ამისა, აქტივობები საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, იმსჯელონ სხვადასხვა პერსპექტივაზე და იმ სტერეოტიპებზე, რომლებიც საზოგადოებაში არსებობს – იყო თუ არა გორბაჩოვი რეალურად რეფორმატორი, თუ იგი იძულებული გახდა, ცვლილებები განეხორციელებინა.
აქტიური მსმენელი და დამკვირვებელი	
ემპათია	
მოქნილობა და ადაპტირება	მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ წარსულის საკუთარი გაგების, მათი შეხედულებების, ცრურწმენების შესახებ. ასევე დამკვიდრებული სტერეოტიპებისა და მიკერძოებების შესახებ და ხელი შეუწყონ თავისებური მიდგომების ჩამოყალიბებას, სადაც ყველა მოსწავლეს შეუძლია, გამოხატოს თავისი აზრი, რაც არ უნდა მიუღებელი იყოს ის, სადაც შეიძლება წარმოიშვას რთული დიალოგები. მოქნილობა და ადაპტირება – მასწავლებელი გადამწყვეტ როლს ასრულებს, რათა მოსწავლეებისთვის უზრუნველყოს მეტი დრო და ავტონომია. ეს მათ საშუალებას მისცემს, გადაინაცვლონ ცოდნაზე დაფუძნებული სწავლებიდან მოსწავლეზე ორიენტირებულ და კომპეტენტურ სწავლებაზე.
თანამშრომლობა	
კონფლიქტების მოგვარება	

ღირებულებები და დამოკიდებულებები

რომელ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს მოიცავს ეს სასწავლო აქტივობა

	ფასეულობები		**დამოკიდებულებები**
	ადამიანის უფლებები		კულტურული განსხვავებულობა
	კულტურული უფლებები		პატივისცემა
X	მრავალფეროვნება	X	სამოქალაქო აზროვნება
	სენსიტიური და საკამათო ისტორია		პასუხისმგებლობა
	ტრანსნაციონალური პერსპექტივა	X	თვითდარწმუნება
X	მდგრადობა		შემწყნარებლობა გაურკვევლობის მიმართ
	სხვა (ახსენი)		სხვა (ახსენი)

1. ამონარიდი გორბაჩოვის ინტერვიუდან ჩერნობილის აფეთქების 20 წლისთავზე; 2006 წლის 18 აპრილი, გამოქვეყნებულია ბრიტანულ გაზეთ „ფაინენშელ თაიმსში“ (Financial Times):

“ჩერნობილის კატასტროფამ, ყველაფერზე მეტად, გახსნა გამოხატვის გაცილებით მეტი თავისუფლების შესაძლებლობა. კონკრეტულად იმისა, რომ სისტემა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით, ველარ გაგრძელდებოდა. აბსოლუტურად ნათელი გახდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო „გლასნოსტის და პერესტროიკის“ (საჯაროობისა და გარდაქმნის) პოლიტიკის გაგრძელება. უნდა ითქვას, რომ დავიწყე დროული ფიქრი ჩერნობილამდელი და ჩერნობილის შემდგომი თვალსაზრისით. ჩერნობილის ტრაგედიის ფასი კატასტროფული იყო არა მხოლოდ ადამიანური, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ჩერნობილის მემკვიდრეობა დღესაც გავლენას ახდენს რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსის ეკონომიკაზე. ზოგი ვარაუდობს, რომ სსრკ-ს ეკონომიკური ფასი იმდენად მაღალი იყო, რომ მან შეაჩერა გამალებული შეიარაღება, რადგან მე ვერ შევძელი ტექნოლოგიის შექმნა ჩერნობილის აფეთქების ასარიდებლად. ეს არასწორია. ჩემი 1986 წლის 15 იანვრის დეკლარაცია ცნობილია მთელ მსოფლიოში. მე მივმართე შეიარაღების შემცირებას, მათ შორის ბირთვული იარაღის, და შევთავაზე, რომ 2000 წლისთვის არცერთ ქვეყანას არ უნდა ჰქონდეს ატომური იარაღი. მე პირადად, ვგრძნობდი მორალურ პასუხისმგებლობას, დამემთავრებინა გამალებული შეიარაღება. მაგრამ ჩერნობილმა უკეთ ამიხილა თვალები. მან აჩვენა ბირთვული ენერგიის საშინელი შედეგები მაშინაც კი, როდესაც ის გამოიყენება არასამხედრო მიზნებისთვის”.

1. ამ ინტერვიუს მიხედვით, როგორ ხასიათდება ჩერნობილის აფეთქების მნიშვნელობა?

2. რა მნიშვნელობა და ხარვეზები აქვს ამ წყაროს გორბაჩოვის რეფორმების შემსწავლელი ისტორიკოსისთვის? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენად სანდოა წყარო?

3. რა მოხდა ჩერნობილში და როგორია იგი დღეს 32 წელი კატასტროფიდან?

22-წუთიანი ვიდეო ქართული სუბტიტრებით: https://www.youtube.com/watch?v=BQrsZ5FoiSg

4. ანტიალკოჰოლური კამპანიის 20 წლისთავი; 16 მაისი, 2005 წ.; გიორგი გვახარია; რადიო თავისუფლება https://www.radiotavisupleba.ge/a/1541258.html

ანტიალკოჰოლური კამპანია მიხეილ გორბაჩოვის პირველი ინიციატივა იყო მას შემდეგ, რაც, 1985 წლის მარტში, იგი კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად აირჩიეს. გორბაჩოვის ყოფილმა თანამებრძოლებმა მაშინვე გაიხსენეს, რომ სტავროპოლში მუშაობისას, სუფრაზე, გორბაჩოვი მხოლოდ მინერალურ წყალს მიირთმევდა, მაგრამ ადგილობრივ ჩინოვნიკებს "დემოკრატიულად" მიმართავდა ხოლმე: ჩემი ნუ მოგერიდებათ, დაისხით არაყიო. მოგვიანებით, როცა "ანტიალკოჰოლურმა კამპანიამ" უარყოფითად იმოქმედა ახალგაზრდა ცეკას მდივნის რეიტინგზე, "პერესტროიკით" შთაგონებულმა ინტელიგენციამ ყველაფერი ანდროპოვსა და ჩერნენკოს გადააბრალა. დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ გამოიცა ახალი ბრძანებულება, რომლითაც სპირტიანი სასმლის გაყიდვის შეზღუდვა დაიწყო. თითო მყიდველზე ერთი ბოთლი არაყი უნდა გაცემულიყო. ქორწილისთვის, შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში, ათ ბოთლს ყიდდნენ. სულ მალე ბარათები შემოიღეს არაყზე და "ალკოჰოლით ქორწილი" აიკრძალა. "უალკოჰოლო ქორწილებში" კუსტარული წესებით გამოხდილ არაყს ჩაიდნებში ან ლიმონათის ბოთლებში ასხამდნენ. ხალხი მაღაზიის გახსნამდე 5-6 საათით ადრე იკავებდა რიგს. დღის 2 საათის შემდეგ მაღაზიებს ალკოჰოლის გაყიდვა ეკრძალებოდათ.

- დღეს ბევრი მსჯელობაა იმის შესახებ, თუ როდის დაიწყო გორბაჩოვმა რეფორმები: მაშინ, როდესაც მოვიდა ხელისუფლებაში, თუ მას მერე, როდესაც ჩერნობილის აფეთქება მოხდა?

მოსწავლეებმა თავად იფიქრონ, რამდენად უკავშირდება რეფორმების სურვილი (გორბაჩოვის ინტერვიუდან ამონარიდი, ვიდეო-წყარო) ალკოჰოლის აკრძალვას საბჭოთა კავშირში. თავად იმსჯელონ (ამისთვის არ არის აუცილებელი მასწავლებელს გამზადებული პასუხი ჰქონდეს).

- ეს უნიკალური შანსია მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებს სთხოვონ, ჩაატარონ გამოკითხვა (მშობლების, ნათესავების, ახლობლების). გამოკითხვის თემა უნდა იყოს მკაფიო – გორბაჩოვმა რეფორმები გამოაცხადა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე თუ გარკვეული დროის შემდეგ?

წყარო: 4 - საბჭოთა ტალონები პროდუქტებზე – კარაქი, ყველი, შაქარი, თამბაქო, ლობიო, ხორცი 1989, 1990, 1991



წყარო 5. 1990 წლის გაზეთიდან ამონარიდი:



ხმები და სინამდვილე

კარაქი გვექნება

სასურსათო მაღაზიების დახლებიდან ისეთი მნიშვნელოვანი კვების პროდუქტის გაქრობამ, როგორიც კარაქია, მარტო დიასახლისები როდი შეაშფოთა.

კვლავ დაიწყეს ლაპარაკი ბოიკოტზე, იმაზე, რომ თებერვალში კიდევ გაყიდიან დარჩენილ მარაგს, მარტიდან კი — ნორმა მნიშვნელოვნად შემცირდება, ზოგი კი იმასაც ამბობდა, საერთოდ უკარაქოდ დავრჩებითო.

რამდენად საფუძვლიანია ახალი ხმები? განმარტებისათვის ჩვენ-ფორმის კორესპონდენტმა მიმართა თბილისის საქალაქო ხაბჭოს ალმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველოს უფროსს ირაკლი ბრეგვაძეს:

— სამწუხაროდ, — თქვა მან,— [illegible] კარაქი მაღაზიებში მართლაც არ ყოფილა. რაც შეეხება ხმებს, მათ არავითარი საფუძველი არა აქვთ. საქმე ის არის, რომ ტრანსპორტის მუშაობაში შეფერხებების გამო მოიშალა კარაქის მოწოდების გრაფიკი. მაგრამ ახლა ფოთში განტვირთეს ელოდებიან გემებს, რომლებმაც კარაქი ჩამოიტანეს და სულ რამდენიმე დღეში ეს პროდუქტი გამოჩნდება მაღაზიებში. თუმცა, ეს ამერიკული —მარილიანი კარაქია. რაც შეეხება უმარილო კარაქს — უკრაინული იქნება იგი, ფრანგული თუ გერმანული — მას ქალაქელები მიიღებენ მაშინვე, როგორც კი მოგვივა მაღაზიებში, და იმედი გვაქვს, რომ ეს მალე მოხდება. ჯერჯერობით კი გავყიდით იმას, რაც მიგიღეთ. ყველა ტალონი დასაქონლებული იქნება, ამიტომ არ არის საჭირო მაღაზიებში შეკვნეთ ხალხმრავლობა: კარაქი არ გამოილევა.

— რას იტყვით მომავალში ნორმების შემცირების შესახებ?

— ეს ხმებიც აბსოლუტურად უსაფუძვლოა. ნორმა მარტისა და მომდევნო თვეებისათვის დარჩება ისეთი, როგორიც იყო — 600 გრამი სულზე.

(საქინფორმი).

“სასურსათო მაღაზიების დახლებიდან ისეთი მნიშვნელოვანი კვების პროდუქტის გაქრობამ, როგორიც კარაქია, მარტო დიასახლისები როდი შეაშფოთა. კვლავ დაიწყეს ლაპარაკი ბოიკოტზე, იმაზე, რომ თებერვალში კიდევ გაყიდიან დარჩენილ

მარაგს, მარტიდან კი – ნორმა მნიშვნელოვნად შემცირდება, ზოგი კი იმასაც ამბობდა საერთოდ უკარაქოდ დავრჩებითო. რამდენად საფუძვლიანია ასეთი ხმები? განმარტებისთვის საქინფორმის კორესპონდენტმა მიმართა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველოს უფროსს ირაკლი ბრეგვაძეს:

– სამწუხაროდ, – თქვა მან, – ამ უკანასკნელ დღეებში მაღაზიებში კარაქი მართლაც არ ყოფილა. რაც შეეხება ხმებს, მათ არავითარი საფუძველი არ აქვს. საქმე ისაა, რომ ტრანსპორტის მუშაობაში შეფერხების გამო მოიშალა კარაქის მოწოდების გრაფიკი. მაგრამ ახლა ფოთში ჩამოტვირთვას ელოდებიან გემები, რომლებმაც კარაქი შემოიტანეს და სულ რამდენიმე დღეში ეს პროდუქტი გამოჩნდება მაღაზიებში. თუმცა, ეს ამერიკული მარილიანი კარაქია. რაც შეეხება უმარილო კარაქს – უკრაინული იქნება, ფრანგული თუ გერმანული, მას ქალაქელები მიიღებენ მაშინვე, როგორც კი შემოგვივა მაღაზიებში, და იმედი გვაქვს, რომ ეს მალე მოხდება. ჯერჯერობით კი გავყიდით იმას, რაც მივიღეთ. ყველა ტალონი დასაქონლებული იქნება, ამიტომ არ არის საჭირო მაღაზიებში შევქმნათ ხალხმრავლობა, კარაქი არ გამოილევა.

– რას იტყვით მომავალში ნორმის შემცირების შესახებ?

– ეს ხმებიც აბსოლუტურად უსაფუძვლოა. ნორმა მარტისა და მომდევნო თვეებში დარჩება ისეთი, როგორიც იყო – 600 გრამი სულზე.”

წყარო 6. დიმიტრი ვოლკოგონოვი, საბჭოთა იმპერიის აღზევება და დაცემა, 1999 წელი.

პერესტროიკის პროცესი იყო მცდელობა, გარდაექმნა დუნე, დოგმატური, ბიუროკრატიული გეგმური ეკონომიკა ლიბერალიზმის გზით, მაგრამ ეს არ იყო კომუნისტური იდეალებისთვის უარის თქმა. ამდენად, გარდაქმნა თავიდანვე იყო ბუნდოვანი, შეზღუდული, გაუაზრებელი, ამიტომაც გამოიწვია დემოკრატიული ძვრები და პროტესტი პოლიტიკაში. ამავე დროს, კრახი განიცადა ეკონომიკაში. გორბაჩოვი მეტს ვერც ვერაფერს იზამდა. ალბათ, ვერც ვერავინ საბჭოთა კავშირში. თუმცა მისი ყველაზე დიდი დამსახურება არა პერესტროიკა, არამედ გლასნოსტია (საჯაროობა), ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ან მარტივად – სიმართლის თქმა იყო. გორბაჩოვმა დაიწყო ეს პროცესი, თუმცა მან ვერ გათვალა ვერც მოსალოდნელი საფრთხეები და ვერც შედეგები. სისტემა, რომელსაც კლასობრივი დიდი ტყუილი ერქვა, დაინგრა სწორედ ამ ორივე “რეფორმის” შედეგად. ფაქტი ერთია, ეკონომიკის დემოკრატიზაცია შეუძლებელი იყო ბოლშევიკური იდეოლოგიით. კომუნიზმი დემოკრატიის საფარქვეშ – თავისუფალი სავაჭრო ეკონომიკა და პოლიტიკური პლურალიზმი არ არის კომუნიზმი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გორბაჩოვის პარადოქსი იმაში მდგომარეობდა, რომ მას სჯეროდა იმის ცვლილების, რაც ვერ შეიცვლებოდა. რაც საჭირო იყო, ეს იყო არა „პერესტროიკა“ ანუ გარდაქმნა, არამედ ნოვოსტროიკა ანუ ახლიდან შექმნა, ახლის შენება.

შენიშვნა: გორბაჩოვის ეკონომიკური პოლიტიკა განხილულია მხოლოდ საბჭოთა კავშირის საშინაო პერსპექტივით. მასწავლებლისათვის სივრცეა დარჩენილი,

რომ ცალკე დრო დაუთმოს საგარეო მდგომარეობას და საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკას, რამაც პრაქტიკულად განაპირობა საბჭოთა კავშირის ნგრევა ბევრ სხვა მნიშვნელოვან თუ ქვემდებარე მიზეზებთან ერთად.

მოდულის თემა: პოლიტიკური რეპრესიების ხანა საქართველოში

სასწავლო აქტივობის აღწერა:

ვიზუალური /წერილობითი წყაროს ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში)	ნინო კიღურაძე, „ისტორია“ მოსწავლის წიგნი, 12.2012
სათაური: „მუშა და კოლმეურნე“. ე. მუხინას ქანდაკება, „სოცრეალიზმის“ ნიმუში	
საკვანძო კითხვა: რა პოლიტიკურ იდეას აანონსებდა მუშისა და კოლმეურნის ქანდაკებაში გაერთიანებული, ერთსულოვანი ნაბიჯი მომავლისკენ?	
მოკლე აღწერა: მაღალ პოსტამენტზე წარმოდგენილი მამაკაცისა და ქალის ორი უზარმაზარი ქანდაკება. მათ ხელში უჭირავთ ურო და ნამგალი და ანთებული სახეებითა და წინ გადადგმული ერთდროული ნაბიჯით არიან გამოძერწილნი. ახალი პოლიტიკური რეპრესიების ხანა საქართველოში 1930-იანი წლებიდან იწყება. საბჭოთა რეჟიმი კომუნსტური დოგმებიდან გადახრას სასტიკად უსწორდებოდა. სწორედ მუხინას ეს ქანდაკება იყო ეტალონი და ასევე ნორმა საზოგადოებაში გავრცელებული იდეოლოგიისა. ვინც ამას გადაუხვევდა ან დააიგნორებდა, რეპრესიებში მოყვებოდა.	
ავტორი (ავტორები): ცნობილი საბჭოთა მოქანდაკე: ე. მუხინა	
საფეხური (საშუალო, საბაზო, მაღალი დონე) მაღალი დონე	
აქტივობისთვის ჩასატარებელი სავარაუდო დრო	45 წთ

მეტი ინფორმაცია: ე. მუხინას სხვა ცნობილი ქანდაკებები

ვის სახეს „მალავდა“ და რატომ უნდოდათ ყველაზე ცნობილი საბჭოთა ქანდაკების დაბლოკვა – უცნობი ისტორია

“მუშა და კოლმეურნე ქალი” საბჭოთა დროის ყველაზე ნიშანდობლივი ქანდაკება იყო, რომელსაც საბჭოთა ეპოქის სიმბოლოს და სოციალიზმის ეტალონს უწოდებდნენ. ბევრმა არ იცის, რომ თავის დროზე აღნიშნული ქანდაკება ძლივს გადაურჩა დაბლოკვას მხოლოდ იმის გამო, რომ კოლმეურნე ქალის კაბის ნაკეცებში მავანს და მავანს თურმე ხალხის მტრის, ლ. ტროცკის დაფარული სილუეტი მოეჩვენა. 1936 წელს სსრკ ემზადებოდა პარიზის ხელოვნებისა და ტექნიკის საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად. არქიტექტორმა ბორის იოფანმა წინადადება შეიტანა საბჭოთა პავილიონი შეექმნათ ტრამპლინის სახით, რომელიც დინამიურად იქნებოდა მაღლა მიმართული და სახურავს ქანდაკება დაასრულებდა. იოფანმა თავისი იდეა შემდეგნაირად ახსნა: “ჩემს ჩანაფიქრში საბჭოთა პავილიონი იხატებოდა, როგორც ტრიუმფალური შენობა, რომელიც თავადვე განასახიერებდა საკუთარ სწრაფვას, გამხდარიყო მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო. იგი განასახიერებდა სოციალიზმის მშენებლობის ჩვენი დიადი ეპოქის ენთუზიაზმსა და სიცოცხლის ხალისს... ყველა ადამიანს ჩვენი პავილიონის პირველივე დანახვისას უნდა ეგრძნო, რომ ეს არის საბჭოთა კავშირის პავილიონი... ქანდაკება წარმომედგინა მსუბუქი, ნათელი მეტალისგან, თითქოსდა სულ წინ მფრინავი, როგორც დაუვიწყარი ლუვრის ნიკე – გამარჯვების ფრთოსანი ქანდაკება.”

თავად ექსპოზიცია საკმაოდ მოსაწყენი გამოდგა. მთავარი ექსპონატი სინამდვილეში სწორედ პავილიონი იყო. მუშა და კოლმეურნე ქალი განასახიერებდნენ პროლეტარიატს და გლეხობას – ანუ მათ, ვისაც ეკუთვნოდა (ყოველ შემთხვევაში იდეის დონეზე მაინც) საბჭოთა ქვეყანა. აღნიშნული კომპოზიციის იდეა იოფანს ანტიკური ქანდაკების, “ტიტანებთან მებრძოლების” საფუძველზე გაუჩნდა. ნამგლისა და ურoს შეერთება კი იოფანისა და მუხინას ერთობლივი იდეაა, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მხატვრის ნამუშევარში ეს იდეა უკვე იყო განხორციელებული. არქიტექტორმა შეადგინა ზოგადი პროექტი, ხოლო მისი კონკრეტული განხორციელება მოქანდაკის საქმე იყო.

სასწავლო მასალა

მასწავლებლისთვის განკუთვნილი რესურსები: ყველა ის რესურსი, რომელიც საჭიროა აქტივობის დასანერგად.

მოსწავლისთვის განკუთვნილი რესურსები:

ონლაინ რესურსები:

სათაური	ვის სახეს "მალავდა" და რატომ უნდოდათ ყველაზე ცნობილი საბ-ჭოთა ქანდაკების დაბლოკვა – უცნობი ისტორია
URL:	https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/77513-%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%95%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%90%E1%83%97-%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-/84/

3. ისტორიული აზროვნება

მოცემული აქტივობა რომელ ისტორიულ აზროვნების კლასიფიკაციაზე გადის ყველაზე მეტად? (აირჩიე მხოლოდ ერთი ან ორი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია)

ისტორიული აზროვნება	მტკიცება (როგორ განავითარებთ თქვენს აქტივო-ბაში ამ ისტორიული აზროვნების მახასიათებელს?)
მნიშვნელობა	რატომ ხდებოდა რეპრესიები ახალი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების დროს? რა მნიშვნელობა ჰქო-ნდა ამას? იყო თუ არა ეს პროცესი პროპაგანდისტული დატვირთვის?
ცვლილება და უწყვეტობა	რომელი პროცესის გაგრძელებას წარმოადგენდა რეპ-რესიები? რა ცვლილებებს მოასწავებდა იგი?

მიზეზობრივი კავშირი	რა ძირითადი მიზეზები არსებობდა რეპრესიების ჩასატარებლად საბჭოეთში 1930-იან წლებში? ეკონომიკა, იდეოლოგია, პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები? რა კავშირი ჰქონდა ყველაფერს ამას პროპაგანდასთან?
შედეგების ანალიზი	რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა რეპრესიებსა და ახალი ნორმებისა და ფასეულობების დანერგვას?
პერსპექტივები	რა მომავალი შეიძლებოდა ჰქონოდა ასეთი ტიპის საზოგადოებას? როგორ შეიცვლებოდა მისი არსი?
მსგავსებები და განსხვავებები	რა იყო მსგავსი და განსხვავებული 1920-იან და 1930-იან წლებს შორის? ეკონომიკა, იდეოლოგია, პოლიტიკა? რა კავშირი ჰქონდათ პროპაგანდასთან, რატომ?
ისტორია არის წარსული	ისტორია არის წარსული, რომლის დავიწყება არ შეიძლება.
წყაროები	წყაროები შესაძლებელია წერილობითიც და ვიზუალურიც.
მაგალითები და ინტერპრეტაციები	რომელი იდენტური მაგალითების მოყვანა შეიძლება ამ გაკვეთილზე მსოფლიო ისტორიიდან? როგორი ინტერპრეტციების გაკეთება შეიძლება: რეპრესიების გამართლება? რეპრესიების დაგმობა?

უნარები:

რომელ უნარებს მოიცავს თქვენი სასწავლო აქტივობა? (აირჩიეთ მხოლოდ ის უნარები, რომლებიც საკვანძოა აქტივობაში).

უნარები	მტკიცებულებები (როგორ ავითარებს სასწავლო აქტივობა/რესურსი უნარებს)
დამოუკიდებლად სწავლა	
ანალიტიკური და კრიტიკული	ისტორიული აზროვნების განვითარება და პროცესებზე დაკვირვება გამოიწვევს ანალიტიკური უნარისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.
აქტიური მსმენელი და დამკვირვებელი	
ემპათია	რეპრესირებულთა მიმართ ემპათიის გამოვლენა
მოქნილობა და ადაპტირება	

თანამშრომლობა	წყაროების შესწავლის პროცესში ვითრდება თანამშრომლობის უნარი მოსწავლეებს შორის გაკვეთილზე ვიზუალურ წყაროებზე მუშაობისას.
კონფლიქტების მოგვარება	

ღირებულებები და დამოკიდებულებები

რომელ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს მოიცავს ეს სასწავლო აქტივობა

ფასეულობები	**დამოკიდებულებები**
• ადამიანის უფლებები	• კულტურული განსხვავებულობა
• კულტურული უფლებები	• პატივისცემა
• მრავალფეროვნება	• სამოქალაქო აზროვნება
• სენსიტიური და საკამათო ისტორია	• პასუხისმგებლობა
• ტრანსნაციონალური პერსპექტივა	• თვითდარწმუნება
• მდგრადობა	• 0შემწყნარებლობა გაურკვევლობის მიმართ
სხვა (ახსენი)	სხვა (ახსენი)

საბჭოთა პავილიონი პარიზში გამოფენაზე, 1937 წ.

მოდულის თემა: სოციალისტური ბანაკის დაშლა
სასწავლო აქტივობის აღწერა:

ვიზუალური /წერილობითი წყაროს ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში)	ნინო კიღურაძე, „ისტორია“ მოსწავლის წიგნი, 12.2012
სათაური: ბერლინის კედელი დანგრევის წინ და დანგრევის შემდომ	
საკვანძო კითხვა: რატომ აშენდა და რატომ დაინგრა ბერლინის კედელი?	
მოკლე აღწერა: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბერლინი ორად გაყოფილი ქალაქი იყო. დასავლეთ ნაწილს მოკავშირეები – დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და შეერთებული შტატები აკონტროლებდნენ, ხოლო აღმოსავლეთს – საბჭოთა კავშირი. კედელი “რკინის ფარდის” ფიზიკურ სიმბოლოს წარმოადგენდა. ქალაქის ორად გაყოფის შემდეგ მოქალაქეები აღმოსავლეთ ბერლინიდან დასავლეთში გადასვლას ცდილობდნენ, რაც საბჭოთა ხელისუფლებას არ მოსწონდა. დაახლოებით, 3,5 მილიონი აღმოსავლეთ გერმანელი (იმ დროისთვის მოსახლეობის თითქმის 20 პროცენტი) საიმიგრაციო შეზღუდვების გვერდის ავლით დასავლეთში გადავიდა. სწორედ ამიტომ, მოსკოვმა 1961 წელს საზღვრის გასწვრივ 155 კილომეტრის სიგრძის და სამი მეტრი სიმაღლის კედლის აშენება დაიწყო. 1961-89 წლებში დაახლოებით 100,000 გერმანელი ეცადა კედლის გარღვევას. მათგან 200-ზე მეტი დაიღუპა, ძირითადად, საბჭოთა ტყვიებით. კედელი კორპუსებს შორის, საცხოვრებელ სახლებზე გადიოდა. ზოგ შემთხვევაში, თუ კორპუსი აღმოსავლეთში ექცეოდა, მისი ფანჯრები დასავლეთ ბერლინს გადაყურებდა. იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც დასავლეთში გადადიოდა, საზღვრის გავლების და კედლის აშენების შემდეგ დრამატულად შემცირდა. გერმანელთა ნაწილი დასავლეთში გაქცევას მიწიშქვეშა გვირაბებით, საცხოვრებელი სახლების ფანჯრებიდან გადახტომით და ერთ შემთხვევაში, საჰაერო ბურთის გამოყენებითაც კი ცდილობდა. თუმცა აღმოსავლეთ გერმანელთა უმეტესობა, ქვეყნის დატოვებას მესამე ქვეყნის რუმინეთის, უნგრეთის ან ჩეხოსლოვაკიის გავლით შეეცადა. უმეტეს შემთხვევაში, მათ საზღვარზე აკავებდნენ, უკან აგზავნიდნენ, ან ადგილზე ხვრეტდნენ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (გდრ) წარმომადგენლები იმ ადამიანებს, რომლებიც ქვეყნიდან გარბოდნენ, მოღალატეებად და დამნაშავეებად აცხადებდნენ. მათ კი, ვისაც საზღვრის გარღვევის მცდელობისას აკავებდნენ, სასტიკად სჯიდნენ. 1980-იანი წლების ბოლოს ათობით ათასი ადამიანი აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში დემონსტრაციებს მართავდა და მოსკოვისგან დამოუკიდებლობას და თავისუფლებას ითხოვდა. დემონსტრაციები აღმოსავლეთ გერმანიასაც მოედო. თავდაპირველად პროტესტის მიზეზი ქვეყნის დატოვების უფლებას ეხებოდა. რამდენიმე კვირიანი სამოქალაქო პროტესტის შემდეგ, საზოგადოებრივი ზეწოლის შედეგად, აღმოსავლეთ გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ 1989 წლის 9 ნოემბერს გადაწყვიტა, რომ მისი მოქალაქეებისთვის დასავლეთში გადასვლის საშუალება მიეცა. ამ განცხადების შემდეგ, კედლის ორივე მხარეს უამრავი ადამიანი შეიკრიბა. კედელი დაიგნრა, რასაც ერთი წლის შემდეგ გერმანიის გაერთიანება მოჰყვა.	

ავტორი (ავტორები): ანი ჩხიკვაძე achkhikvadze@voanews.com	
საფეხური (საშუალო, საბაზო, მაღალი დონე) - მაღალი დონე	
აქტივობისთვის ჩასატარებელი სავარაუდო დრო	45 წთ
მეტი ინფორმაცია: ბერლინის კედელი (გერმ. Berliner Mauer) - გერმანის დემოკრატიული რესპუბლიკის საინჟინრო, გამაგრებული სახელმწიფო საზღვარი, დასავლეთ და აღმოსავლეთ ბერლინის გამყოფი კედელი, რომლის მშენებლობაც დაიწყეს 1961 წლის 13 აგვისტოს და არსებობდა 1989 წლის 9 ნოემბრამდე. ცივი ომის ერთ-ერთი სიმბოლო. იგი არა მარტო ყოფდა ქალაქს ორ ნაწილად, არამედ გამოყოფდა დასავლეთ ბერლინს გდრ-საგან. კედლის საერთო სიგრძე იყო 155 კმ. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში კედელს პროპაგანდისტულად უწოდებდნენ „ანტიფაშისტურ თავდაცვით კედელს“, ხოლო გფრ-ში 1960-იანი წლების ბოლომდე გამოიყენებოდა ვილი ბრანდტის ტერმინი „სამარცხვინო კედელი“. **ისტორია** ბერლინის კედლის მშენებლობა დაიწყო 1961 წლის 13 აგვისტოს ვარშავის პაქტის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების მდივანთა კრების (3-5 აგვისტო) რეკომენდაციით და გდრ-ის სახალხო პალატის 1961 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე. თავისი არსებობის მანძილზე არაერთხელ გადააკეთეს. უკანასკნელი მსხვილი რეკონსტრუქცია მოხდა 1975 წელს. 1989 წლის 9 ნოემბერს მასობრივი სახალხო გამოსვლების შედეგად გდრ-ის მთავრობამ მოხსნა შეზღუდვები დასავლეთ ბერლინთან, ხოლო 1 ივნისიდან სრულიად მოხსნა სასაზღვრო კონტროლი. იანვარ-ნოემბრის განმავლობაში ყველა სასაზღვრო ნაგებობა დაანგრიეს, გარდა 1,3 კილომეტრიანი მონაკვეთისა, რომელიც დატოვეს როგორც ძეგლი და ცივი ომის ყველაზე ცნობილი სიმბოლო. კედლის მშენებლობამდე დასავლეთ და აღმოსავლეთ ბერლინს შორის საზღვარი შედარებით გახსნილი იყო. გამყოფი ხაზი 44,75 კმ-ის სიგრძისა იყო და გადიოდა პირდაპირ ქუჩებზე, არხებზე და წყლის გზებზე. ოფიციალურად მოქმედებდა 81 ქუჩის გამშვები პუნქტი, 13 გადასასვლელი მეტროში და რკინიგზაზე. გარდა ამისა მოქმედებდა ასობით არალეგალური გადასასვლელი. დღის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით საზღვარს კვეთდა 300-500 ადამიანი. საზღვრების პირობითობამ გამოიწვია დასავლეთ ბერლინში კადრების გადინება. ბევრი აღმოსავლეთ ბერლინელი მუშაობდა დასავლეთში, რადგან ხელფასი იქ უფრო მაღალი იყო.	

ბერლინის კედლის მშენებლობას წინ უძღოდა პოლიტიკური ვითარების გამწვავება ბერლინის გარშემო. ორივე სამხედრო-პოლიტიკურმა ბლოკმა – ნატომ და ვარშავის პაქტმა გამოავლინეს თავიანთი პოზიციები გერმანიის საკითხის ირგვლივ. დასავლეთ გერმანიის მთავრობამ, კონრად ადენაუერის ხელმძღვანელობით 1957 წელს მოქმედებაში მოიყვანა ჰალშტეინის დოქტრინა, რომლის თანახმადაც გფრ ავტომატურად წყვეტდა დიპლომატიურ ურთიერთობას ყველა ქვეყანასთან, რომელიც აღიარებდა გდრ-ს. თავის მხრივ გდრ-მ გამოაცხადა თავისი უფლებები დასავლეთ ბერლინის სუვერენიტეტზე, იმ საბაბით, რომ იგი მის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

1958 წელს საბჭოთა კავშირის ლიდერმა ნიკიტა ხრუშჩოვმა დასავლეთის ქვეყნები დაადანაშაულა პოტსდამის შეთანხმების დარღვევაში და ულტიმატუმის ენით მოსთხოვა აშშ-ს დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს, გამართულიყო მოლაპარაკებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

1959 წლის სექტემბერში ნიკიტა ხრუშჩოვის აშშ-ში ვიზიტის შემდეგ საბჭოთა ულტიმატუმი შეიცვალა, მაგრამ მხარეები ჯიუტად იცავდნენ პირველ პოზიციებს. 1960 წლის აგვისტოში აღმოსავლეთმა გერმანიამ შემოიღო შეზღუდვები დასავლეთ გერმანიის მოქალაქეებზე, რომლებიც სტუმრობდნენ გდრ-ს. სამაგიეროდ დასავლეთ გერმანიამ უარი თქვა სავაჭრო შეთანხმებაზე ბერლინის ორ ნაწილს შორის, ეს გდრ-მ ეკონომიკურ ომად შეაფასა.

ორივე ბლოკი და ორივე გერმანული მხარე ეწეოდა მოწინააღმდეგის აქტიურ ანტი-პროპაგანდას. სიტუაცია განსაკუთრებით გამწვავდა 1961 წლის ზაფხულში, როდესაც გდრ-ს სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელმა, ვალტერ ულბრიხტმა, ეკონომიკური პოლიტიკის ლოზუნგად აირჩია „დავეწიოთ და გავუსწროთ გფრ-ს“. გდრ მიატოვა 207 ათასმა ადამიანმა. მარტო 1961 წლის ივლისში 30 ათასი აღმოსავლეთ გერმანელი გაიქცა ქვეყნიდან.

კედლის აგება

1961 წლის 12-13 აგვისტოს ღამით დაიწყო კედლის მშენებლობა. 13 აგვისტოს დილით გასამხედროებულმა პატრულმა და პოლიციამ დასავლეთ ბერლინში სამსახურში მიმავალი აღმოსავლეთ გერმანელები არ გაატარა. 15 აგვისტოსათვის მთელ დასავლეთ ბერლინს ეკლიანი მავთულის ღობე შემოავლეს. ამავე დღეს გადაკეტეს ბერლინის მეტროს მეოთხე ხაზი და ქალაქის რკინიგზის რამდენიმე ხაზი. დახურეს U6 მეტროს ხაზის შვიდი და U8-ს რვა სადგური.

კედლის მშენებლობა და აღჭურვა მიმდინარეობდა 1962 წლიდან 1975 წლამდე.

1980-იანი წლები

1987 წლის 12 ივნისს აშშ-ის პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა ბრანდენ-ბურგის კარიბჭესთან წარმოთქვა სიტყვა ბერლინის 750 წლისთავთან დაკავშირებით და მოუწოდა საბჭოთა კავშირის გენერალურ მდივანს, მი-ხეილ გორბაჩოვს, დაენგრია კედელი.

1989 წლის მაისში, საბჭოთა კავშირში მიმდინარე პერესტროიკის შედე-გად გდრ-ის პარტნიორმა, ვარშავის პაქტის წევრმა, უნგრეთმა მეზობელ ავსტრიასთან მოშალა საზღვრის გარკვეული მონაკვეთი. გერმანიის დე-მოკრატიულმა რესპუბლიკამ დაკარგა კონტროლი მიმდინარე მოვლე-ნებზე. ასობით აღმოსავლეთ გერმანელი გაიქცა დასავლეთ ბერლინში უნგრეთის გავლით. 1989 წლის 11 სექტემბერს უნგრეთის ხელისუფლე-ბამ გამოაცხადა საზღვრების სრული გახსნა, რითაც ბერლინის კედლის არსებობამ აზრი დაკარგა. სამი დღის განმავლობაში უნგრეთის გავლით აღმოსავლეთ ბერლინი დატოვა 15 ათასმა მოქალაქემ. ქვეყანაში დაიწყო მასობრივი დემონსტრაციები მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლე-ბის მოთხოვნით. დემონსტრაციების შედეგად გერმანიის ერთიანი სოცი-ალისტური პარტიის ლიდერები (ერიხ ჰონეკერი, ვილი შტოფი, ჰორსტ ზინდერმანი, ეგონ კრენცი) ერთმანეთის მიყოლებით გადადგნენ.

1989 წლის 22 დეკემბერს მიმოსვლისათვის გაიხსნა ბრანდენბურგის კარიბჭე, რომელზეც გადიოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ ბერლინის საზღვარი. ბერლინის კედელი კვლავ იდგა, მაგრამ როგორც სიმბოლო ახლო წარსულისა. იგი დაშალეს, მოხატეს. საბოლოოდ რამდენიმე თვეში კედელი დაანგრიეს. გადაწყდა, მისი მცირე ნაწილი დაეტოვებინათ, რო-გორც უახლოესი წარსულის სიმბოლო.

ბერლინის კედლის მშენებლობას წინ უძღოდა პოლიტიკური ვითარე-ბის გამწვავება ბერლინის გარშემო. ორივე სამხედრო-პოლიტიკურმა ბლოკმა – ნატომ და ვარშავის პაქტმა გამოავლინეს თავიანთი პოზიცი-ები გერმანიის საკითხის ირგვლივ. დასავლეთ გერმანიის მთავრობამ, კონრად ადენაუერის ხელმძღვანელობით 1957 წელს მოქმედებაში მოი-ყვანა ჰალშტეინის დოქტრინა, რომლის თანახმადაც გფრ ავტომატურად წყვეტდა დიპლომატიურ ურთიერთობას ყველა ქვეყანასთან, რომელიც აღიარებდა გდრ-ს. თავის მხრივ გდრ-მ გამოაცხადა თავისი უფლებები დასავლეთ ბერლინის სუვერენიტეტზე, იმ საბაბით, რომ იგი მის ტერი-ტორიაზე მდებარეობდა.

1958 წელს საბჭოთა კავშირის ლიდერმა ნიკიტა ხრუშჩოვმა დასავლე-თის ქვეყნები დაადანაშაულა პოტსდამის შეთანხმების დარღვევაში და ულტიმატუმის ენით მოსთხოვა აშშ-ს დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს, გამართულიყო მოლაპარაკებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

1959 წლის სექტემბერში ნიკიტა ხრუშჩოვის აშშ-ში ვიზიტის შემდეგ საბჭოთა ულტიმატუმი შეიცვალა, მაგრამ მხარეები ჯიუტად იცავდნენ პირველ პოზიციებს. 1960 წლის აგვისტოში აღმოსავლეთმა გერმანიამ შემოიღო შეზღუდვები დასავლეთ გერმანიის მოქალაქეებზე, რომლებიც სტუმრობდნენ გდრ-ს. სამაგიეროდ დასავლეთ გერმანიამ უარი თქვა სა-ვაჭრო შეთანხმებაზე ბერლინის ორ ნაწილს შორის, ეს გდრ-მ ეკონომი-კურ ომად შეაფასა.

ორივე ბლოკი და ორივე გერმანული მხარე ეწეოდა მოწინააღმდეგის აქტიურ ანტი-პროპაგანდას. სიტუაცია განსაკუთრებით გამწვავდა 1961 წლის ზაფხულში, როდესაც გდრ-ს სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელმა, ვალტერ ულბრიხტმა, ეკონომიკური პოლიტიკის ლოზუნგად აირჩია „დავეწიოთ და გავუსწროთ გფრ-ს“. გდრ მიატოვა 207 ათასმა ადამიანმა. მარტო 1961 წლის ივლისში 30 ათასი აღმოსავლეთ გერმანელი გაიქცა ქვეყნიდან.

კედლის აგება

1961 წლის 12-13 აგვისტოს ღამით დაიწყო კედლის მშენებლობა. 13 აგვისტოს დილით გასამხედროებულმა პატრულმა და პოლიციამ დასავლეთ ბერლინში სამსახურში მიმავალი აღმოსავლეთ გერმანელები არ გაატარა. 15 აგვისტოსათვის მთელ დასავლეთ ბერლინს ეკლიანი მავთულის ღობე შემოავლეს. ამავე დღეს გადაკეტეს ბერლინის მეტროს მეოთხე ხაზი და ქალაქის რკინიგზის რამდენიმე ხაზი. დახურეს U6 მეტროს ხაზის შვიდი და U8-ს რვა სადგური.

კედლის მშენებლობა და აღჭურვა მიმდინარეობდა 1962 წლიდან 1975 წლამდე.

1980-იანი წლები

1987 წლის 12 ივნისს აშშ-ის პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა ბრანდენბურგის კარიბჭესთან წარმოთქვა სიტყვა ბერლინის 750 წლისთავთან დაკავშირებით და მოუწოდა საბჭოთა კავშირის გენერალურ მდივანს, მიხეილ გორბაჩოვს, დაენგრია კედელი.

1989 წლის მაისში, საბჭოთა კავშირში მიმდინარე პერესტროიკის შედეგად გდრ-ის პარტნიორმა, ვარშავის პაქტის წევრმა, უნგრეთმა მეზობელ ავსტრიასთან მოშალა საზღვრის გარკვეული მონაკვეთი. გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დაკარგა კონტროლი მიმდინარე მოვლენებზე. ასობით აღმოსავლეთ გერმანელი გაიქცა დასავლეთ ბერლინში უნგრეთის გავლით. 1989 წლის 11 სექტემბერს უნგრეთის ხელისუფლებამ გამოაცხადა საზღვრების სრული გახსნა, რითაც ბერლინის კედლის არსებობამ აზრი დაკარგა. სამი დღის განმავლობაში უნგრეთის გავლით აღმოსავლეთ ბერლინი დატოვა 15 ათასმა მოქალაქემ. ქვეყანაში დაიწყო მასობრივი დემონსტრაციები მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების მოთხოვნით. დემონსტრაციების შედეგად გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ლიდერები (ერიხ ჰონეკერი, ვილი შტოფი, ჰორსტ ზინდერმანი, ეგონ კრენცი) ერთმანეთის მიყოლებით გადადგნენ.

1989 წლის 22 დეკემბერს მიმოსვლისათვის გაიხსნა ბრანდენბურგის კარიბჭე, რომელზეც გადიოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ ბერლინის საზღვარი. ბერლინის კედელი კვლავ იდგა, მაგრამ როგორც სიმბოლო ახლო წარსულისა. იგი დაშალეს, მოხატეს. საბოლოოდ რამდენიმე თვეში კედელი დაანგრიეს. გადაწყდა, მისი მცირე ნაწილი დაეტოვებინათ, როგორც უახლოესი წარსულის სიმბოლო.

სასწავლო მასალა

მასწავლებლისთვის განკუთვნილი რესურსები: ყველა ის რესურსი, რომელიც საჭიროა აქტივობის დასანერგად.

მოსწავლისთვის განკუთვნილი რესურსები:

ონლაინ რესურსები:

სათაური	ბერლინის კედელი
URL:	https://www.amerikiskhma.com/a/thirty-years-after-the-fall-of-the-berlin-wall/5130004.html https://www.wikiwand.com/ka/%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%99%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98

4. ისტორიული აზროვნება

მოცემული აქტივობა: რომელ ისტორიულ აზროვნების კლასიფიკაციაზე გადის ყველაზე მეტად? (აირჩიე მხოლოდ ერთი ან ორი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია)

ისტორიული აზროვნება	მტკიცება (როგორ განავითარებთ თქვენს აქტივობაში ამ ისტორიული აზროვნების მახასიათებელს?)
მნიშვნელობა	რატომ დადგა ბერლინის კედლის ჯერ აშენების, შემდგომ კი მისი დემონტაჟის საკითხი? რა პოლიტიკური, იდეოლოგიური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა მას?როგორ უკავშირდებოდა ეს პროპაგანდას?
ცვლილება და უწყვეტობა	რა ისტორიული პროცესის დაწყებას და გაგრძელებას განაპირობებდა ბერლინის კედლის მშენებლობა? როგორ ცვლილებებს მოასწავებდა იგი, პოზიტიურს თუ ნეგატიურს? რამ განაპირობა ბერლინის კედლის დემონტაჟი? რა ცვლილებებს მოასწავებდა იგი, პოზიტიურს თუ ნეგატიურს?
მიზეზ-შედეგობრივი კავშირი	რა ძირითადი მიზეზები არსებობდა ბერლინის კედლის მშენებლობისა და გარკვეული პერიოდის შემდეგ მისი დემონტაჟისა? ეკონომიკა, იდეოლოგია, პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები?

შედეგების ანალიზი	რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ბერლინის კედლის მშენებლობას და შემდგომ პერიოდში მის დემონტაჟს? შედეგებიდან გამომდინარე, რა ახალი ნორმებისა და ფასეულობების დანერგვას ექნებოდა ადგილი ორივე შემთხვევაში?
პერსპექტივები	რა მომავალი შეიძლებოდა ჰქონოდა ბერლინის კედელს და გაყოფილ საზოგადოებას? როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები კედლის დემონტაჟის შემდგომ? რა პერსპექტივები ჰქონდა ბერლინის კედელს და რა ტენდენციები გამოიკვეთა გერმანულ საზოგადოებაში?
მსგავსებები და განსხვავებები	რა იყო მსგავსი და განსხვავებული გერმანიის 1960-იან და 1990-იან წლებს შორის? ეკონომიკა, იდეოლოგია, პოლიტიკა?
ისტორია არის წარსული	ისტორია არის წარსული, რომლის დავიწყება არ შეიძლება
წყაროები	წყაროები შესაძლებელია წერილობითიც და ვიზუალურიც
მაგალითები და ინტერპრეტაციები	რომელი იდენტური მაგალითების მოყვანა შეიძლება ამ გაკვეთილზე მსოფლიო ისტორიიდან? როგორი ინტერპრეტაციების გაკეთება შეიძლება: ბერლინის კედლის გამართლება? დადანაშაულება? კედლის დემონტაჟის დაგმობა? გამართლება?

უნარები:

რომელ უნარებს მოიცავს თქვენი სასწავლო აქტივობა? (აირჩიეთ მხოლოდ ის უნარები, რომლებიც საკვანძოა აქტივობაში).

უნარები	მტკიცებულებები (როგორ ავითარებს სასწავლო აქტივობა/ რესურსი უნარებს)
დამოუკიდებლად სწავლა	
ანალიტიკური და კრიტიკული	ისტორიული აზროვნების განვითარება და პროცესებზე დაკვირვება გამოიწვევს ანალიტიკური უნარისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას
აქტიური მსმენელი და დამკვირვებელი	
ემპათია	გაყოფილი საზოგადოების მიმართ ემპათია

მოქნილობა და ადაპტირება	
თანამშრომლობა	წყაროების შესწავლის პროცესში ვითარდება თანამ-შრომლობის უნარი მოსწავლეებს შორის გაკვეთილზე ვიზუალურ და წერილობით წყაროებზე მუშაობისას.
კონფლიქტების მოგვარება	

ღირებულებები და დამოკიდებულებები

რომელ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს მოიცავს ეს სასწავლო აქტივობა

ფასეულობები	**დამოკიდებულებები**
• ადამიანის უფლებები	• კულტურული განსხვავებულობა
• კულტურული უფლებები	• პატივისცემა
• მრავალფეროვნება	• სამოქალაქო აზროვნება
• სენსიტიური და საკამათო ისტორია	• პასუხისმგებლობა
• ტრანსნაციონალური პერსპექტივა	• თვითდარწმუნება
• მდგრადობა	• შემწყნარებლობა გაურკვევლობის მიმართ
სხვა (ახსენი)	სხვა (ახსენი)

SECTEUR

Legiendamm


СРЕДИ ЭТОЙ



Reuters

მოდულის თემა: პერესტროიკა. საბჭოთა კავშირის დაშლა

1. სასწავლო აქტივობის აღწერა:

ვიზუალური/წერილობითი წყაროს ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში)	ნინო კიღურაძე, „ისტორია“ მოსწავლის წიგნი, 12.2012
სათაური: „პერესტროიკა“ – საფოსტო მარკა	
საკვანძო კითხვა: რას წარმოადგენდა „პერესტროიკა“ ანუ გარდაქმნა საბჭოეთში?	
მოკლე აღწერა: საფოსტო მარკაზე წინა პლანზეა წამოწეულია საბჭოთა მშრომელი ადამიანი, მომღიმარი და ამაყი. უკანა პლანზეა დიდი შრიფტით სიტყვები – „პერესტროიკა – მასების ცოცხალი შემოქმედების საძირკველი“. ასევე პატარა ჩანართების სახით მოყვება მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების სიუჟეტები.	
ავტორი (ავტორები): პერესტროიკის ხსოვნის 1988 წლის აშშ-ს შტატების საფოსტო მარკა. ანდრეი სდობნიკოვი	
საფეხური (საშუალო, საბაზო, მაღალი დონე) – მაღალი დონე	
აქტივობისთვის ჩასატარებელი სავარაუდო დრო	45 წთ

მეტი ინფორმაცია:

პერესტროიკა (რუსული: Перестройка) იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (სკკპ) პოლიტიკური მოძრაობა-რეფორმა (გენერალური კურსის შეცვლა) 1980-იანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული ვიდრე საბჭოთა კავშირის დაშლამდე. იგი პირდაპირ უკავშირდება სკკპ გენერალურ მდივანს, მიხეილ გორბაჩოვს და მის „გლასნოსტ“-ს (რაც ნიშნავს “საჯაროობას, ღიაობას”). ეს ფაქტობრივად იყო სსრკ-ში მანამდე გაბატონებული ავტორიტარული პოლიტიკის ეფორმა. პერესტროიკა პირდაპირი მნიშვნელობით არის “გადაწყობა, გარდაქმნა, რეკონსტრუქცია”. იგი გულისხმობდა საბჭოთა ოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის რესტრუქტურიზაციას, რათა როგორმე დასრულებულიყო სტაგნაციის ხანა.

პერესტროიკამ დაუშვა სხვადასხვა სამინისტროს მხრიდან გარკვეული დამოუკიდებელი ქმედებები და შემოიღო საბაზრო ეკონომიკა. თუმცა, პერესტროიკის სავარაუდო მიზანი არ იყო სახელმწიფოს გეგმიური ეკონომიკის დასრულება. პირიქით, იგი გულისხმობდა სოციალიზმის უფრო ეფექტურად მუშაობას საბჭოთა მოქალაქეების მოთხოვნილებების უკეთ დასაკმაყოფილებლად. ლიბერალური ეკონომიკის ელემენტების მიღებით პერესტროიკის განხორციელების პროცესმა შექმნა დეფიციტი. აქედან გამომდინარე კი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური დაძაბულობა საბჭოთა კავშირში. ამ რეფორმას ხშირად ადანაშაულებენ ნაციონალიზმისა და ნაციონალისტური პოლიტიკური პარტიების პოლიტიკური აღმავლობის ხელის შეწყობაში მოკავშირე რესპუბლიკებში. პერესტროიკა და მასთან დაკავშირებული სტრუქტურული დაავადებები მოხსენიებულია, როგორც მთავარი კატალიზატორი, რომელმაც გამოიწვია საბჭოთა კავშირის დაშლა.

გორბაჩოვმა პირველად გამოიყენა ტერმინი ,,პერესტროიკა“ თავის გამოსვლაში ქალაქ ტოლიატიში ვიზიტისას 1986 წელს. პერესტროიკა გრძელდებოდა 1985 წლიდან 1991 წლამდე. გორბაჩოვი ზოგჯერ ამტკიცებდა, რომ მნიშვნელოვანი მიზეზი საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთ ბლოკისა სწორედ ეს იყო. ამას მოყვა კიდეც ცივი ომის დასასრული .

მ. გორბაჩოვის მმართველობის საწყის პერიოდში (1985–1987 წ.წ.) მან ისაუბრა ცენტრალური დაგეგმარების შეცვლაზე , მაგრამ რაიმე ფუნდამენტური ცვლილებები (უსკორენიე – „დაჩქარება“) არ განუხოცილებია. შემდეგ მ. გორბაჩოვმა და მისმა ეკონომიკურმა მრჩეველთა გუნდმა გაატარა უფრო ფუნდამენტური რეფორმები, რომელიც ცნობილი გახდა როგორც პერესტროიკა (გარდაქმნა).

1. სასწავლო მასალა

მასწავლებლისთვის განკუთვნილი რესურსები: ყველა ის რესურსი, რომელიც საჭიროა აქტივობის დასანერგად.

მოსწავლისთვის განკუთვნილი რესურსები:

ონლაინ რესურსები:

სათაური	„პერესტროიკა“ - გარდაქმნა
URL:	https://ka.gov-civ-guarda.pt/credit-card https://www.google.com/search?q=%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90&tbm=isch&chips=q:perestroika,g_1:glasnost:bg2ckH8cwmo%3D&prmd=ivmbstz&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwi9w62Bk7eEAxVIj_0HHWsCD2EQ4lYoAHoECAEQMw&biw=1903&bih=953#imgrc=YZZU715qcHkaaM

1. ისტორიული აზროვნება

რომელი ისტორიული აზროვნების, რომელ კლასიფიკაციაზე გადის ყველაზე მეტად მოცემული აქტივობა? (აირჩიე მხოლოდ ერთი ან ორი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია)

ისტორიული აზროვნება	მტკიცება (როგორ განავითარებთ თქვენს აქტივობაში ამ ისტორიული აზროვნების მახასიათებელს?
მნიშვნელობა	რატომ დადგა „პერესტროიკის საჭიროება“ საბჭოეთში 80-იან წლებში? რა პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა მას? როგორ უკავშირდება იგი პროპაგანდას?
ცვლილება და უწყვეტობა	რა პროცესების გაგრძელებას წარმოადგენდა „პერესტროიკა“? რა ცვლილებებს მოასწავებდა იგი – პოზიტიურს თუ ნეგატიურს?
მიზეზობრივი კავშირი	რა ძირითადი მიზეზები არსებობდა პერესტროიკის ჩასატარებლად საბჭოეთში 1980-იან წლებში? ეკონომიკა, იდეოლოგია, პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები?
შედეგების ანალიზი	რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა პერესტროიკას? მისგან გამომდინარე ახალი ნორმებისა და ფასეულობების დანერგვას?

პერსპექტივები	რა მომავალი შეიძლებოდა ჰქონოდა საბჭოთა საზოგადოებას პერესტროიკის შემდგომ? როგორ შეიცვლებოდა მისი არსი?
მსგავსებები და განსხვავებები	რა იყო მსგავსება და განსხვავება 1970-იან და 1980-იან წლებს შორის? ეკონომიკა, იდეოლოგია, პოლიტიკა?
ისტორია არის წარსული	ისტორია არის წარსული, რომლის დავიწყება არ შეიძლება.
წყაროები	წყაროები შესაძლებელია წერილობითიც და ვიზუალურიც.
მაგალითები და ინტერპრეტაციები	რომელი იდენტური მაგალითების მოყვანა შეიძლება ამ გაკვეთილზე მსოფლიო ისტორიიდან? როგორი ინტერპრეტაციების გაკეთება შეიძლება: პერესტროიკის გამართლება? პერესტროიკის დაგმობა?

უნარები

რომელ უნარებს მოიცავს თქვენი სასწავლო აქტივობა? (აირჩიეთ მხოლოდ ის უნარები, რომლებიც საკვანძოა აქტივობაში).

უნარები	მტკიცებულებები (როგორ ავითარებს სასწავლო აქტივობა/რესურსი უნარებს)
დამოუკიდებლად სწავლა	
ანალიტიკური და კრიტიკული	ისტორიული აზროვნების განვითარება და პროცესებზე დაკვირვება გამოიწვევს ანალიტიკური უნარისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.
აქტიური მსმენელი და დამკვირვებელი	
ემპათია	„საბჭოური ცხოვრების წესის მიმართ ნოსტალგია“ – რამდენად გამართლებულია „საბჭოური ცხოვრების წესის მიმართ ნოსტალგია“?
მოქნილობა და ადაპტირება	
თანამშრომლობა	წყაროების შესწავლის პროცესში, გაკვეთილზე ვიზუალურ და წერილობით წყაროებზე მუშაობისას ვითარდება თანამშრომლობის უნარი მოსწავლეებს შორის.
კონფლიქტების მოგვარება	

ღირებულებები და დამოკიდებულებები:

რომელ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს მოიცავს ეს სასწავლო აქტივობა

ფასეულობები	დამოკიდებულებები
• ადამიანის უფლებები	• კულტურული განსხვავებულობა
• კულტურული უფლებები	• პატივისცემა
• მრავალფეროვნება	• სამოქალაქო აზროვნება
• სენსიტიური და საკამათო ისტორია	• პასუხისმგებლობა
• ტრანსნაციონალური პერსპექტივა	• თვითდარწმუნება
• მდგრადობა	• შემწყნარებლობა გაურკვევლობის მიმართ
სხვა (ახსენი)	სხვა (ახსენი)





მოდულის თემა: ეროვნული კულტურა და ეროვნული მოძრაობა 50-იან-80-იან წლებში

1. სასწავლო აქტივობის აღწერა:

ვიზუალური/წერილობითი წყაროს ელექტრონული მისამართი (არსებობის შემთხვევაში)	ნინო კიღურაძე, „ისტორია“ მოსწავლის წიგნი, 12.2012
სათაური: თენგიზ აბულაძის ფილმის, „მონანიება“ როლი ქართული ეროვნული კულტურის განვითარებასა და წარსულის გადააზრებაში	
საკვანძო კითხვა: რა პროცესები დაძრა ფილმმა „მონანიება“ ქართულ საზოგადოებაში?	
მოკლე აღწერა: „მონანიება“ - თენგიზ აბულაძის ფილმი, ტრილოგიის ბოლო ნაწილი გადაღებულია 1984 წელს. მიღებული აქვს კანის მე-40 საერთაშორისო კინოფესტივალის სამი პრიზი: მთავარი ჟიურის სპეციალური პრიზი, კათოლიკური ეკლესიის ჟიურის პრიზი ჰუმანიზმისათვის და კინოპრესის საერთაშორისო ფედერაციის პრემია „ფიპრესი“; პრიზები ჩიკაგოსა და ჰეუგესუნის საერთაშორისო კინოფესტივალებზე. ყველა ზემოთჩამოთვლილი პრიზი მიღებულია 1987 წელს; იტალიის კინემატოგრაფისტთა ეროვნული ასოციაციის პრემია საუკეთესო საზღვარგარეთული ფილმისათვის (1988 წ.). ტრილოგიისათვის აბულაძეს 1988 წელს ლენინური პრემია მიეანიჭა. ფილმი პრემიერამდე არალეგალური გზით, ვიდეოკასეტებით ვრცელდებოდა. „მონანიების“ პირველი ოფიციალური ჩვენება ტრიუმფით გაიმართა მოსკოვში.	
ავტორი (ავტორები): თენგიზ აბულაძე	
საფეხური (საშუალო, საბაზო, მაღალი დონე) მაღალი დონე	
აქტივობისთვის ჩასატარებელი სავარაუდო დრო	45 წთ

მეტი ინფორმაცია: მონანიება – ფილმი ტოტალიტარულ სახელმწიფოში ძალა-უფლების პყრობელ მაღალი ეშელონების ჩინოვნიკებსა და მათ მიერ რეპრესირებულ ადამიანებზე.

ფილმისმის სცენარზე მუშაობა და გადაღებები რამდენიმე წელი გრძელდებოდა. საბჭოთა ხელისუფლება ეწინააღმდეგებოდა დიდ ეკრანზე მის ჩვენებას და ამიტომ, უკვე დასრულებული ფილმი, წლების მანძილზე თაროზე იყო შემოდებული, მიუხედავად ამისა, საზოგადოებაში ფილმისა და მისი შინაარსის შესახებ მალე გავრცელდა ხმები. გარკვეულ წრეებში, მისი ფარულად ნახვაც გახდა შესაძლებელი. რამდენიმე წლიანი ლოდინის შემდეგ ფილმი დიდ ეკრანზე გამოჩნდა.

ფილმის სცენარის შექმნის უამრავი ვერსია არსებობს, თუმცა ერთი ცხადია: საბჭოთა რეპრესიების შესახებ შექმნილი ფილმის მთავარი გმირის, ბარათელის ამბავი ძალიან ჰგავს 1937 წელს დიდი რეპრესიების დროს დახვრეტილი მხატვრის, დიმიტრი შევარდნაძის ამბავს. ფილმში ბარათელი დიმიტრი შევარდნაძის მსგავსად იცავს ტაძარს და მის დაცვას ეწირება.

თენგიზ აბულაძის ფილმებს არასდროს აკლდა წარმატება, თუმცა „მონანიება“ მაინც გამორჩეულია და არაერთი ჯილდო მიიღო კიდეც. იგი დღემდე ერთ–ერთი საუკეთესო ფილმია ქართულ კინოინდუსტრიაში.

თენგიზ აბულაძის ფილმი პირველი და ერთადერთი იყო, რომელმაც საბჭოთა ისტორიის სრულმასშტაბიანი გადაფასება სცადა. ისტორიისაკენ მიბრუნება საბჭოთა პერიოდის ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი იყო სტალინის შემდგომი ეპოქის საქართველოს ხელოვანთათვის. შედარებით ლიბერალური რეჟიმი ისტორიულ თემატიკაში ავად თუ კარგად შეფარულ ანტისაბჭოთა თემებს ვერ ამჩნევდა ან არ იმჩნევდა. შეგვიძლია „სუბვერსიულ ორენოვნებაზეც“ ვილაპარაკოთ, როდესაც, მაგ. კონტექსტი გასაგები იყო ქართულენოვანი მკითხველისათვის, მაგრამ გაუგებარი იყო სსრკ-ის დანარჩენი მოსახლეობისათვის. აბულაძის ფილმმა სააშკარაოზე გამოიტანა ბევრი პრობლემა, რომლებზეც აქამდე ქართულ ლიტერატურაში ან ქართულ კინოში მხოლოდ მინიშნებით საუბრობდნენ.

ფილმის „აწმყო“ დრო ძალიან მოკლეა და ფაქტობრივად მის პირველ და ბოლო სცენას მოიცავს: ქეთი ბარათელი (მსახიობი ზეინაბ ბოცვაძე), რომელიც, როგორც ჩანს, ტორტების ცხობით ირჩენს თავს, გაიგებს ქალაქის თავის, ვარლამ არავიძის სიკვდილის ამბავს. ფილმის ბოლო სცენაში, რომელიც განსაკუთრებით საბჭოთა კონტექსტში წაღმა და უკუღმაა ციტირებული, მოხუცი ქალი (ეს დიდი მსახიობის _ ვერიკო ანჯაფარიძის უკანასკნელი როლია) ეკითხება ქეთი ბარათელს: „ეს გზა ღვთისმშობლის ტაძრამდე მიმიყვანს?“, რაზეც ქეთი პასუხობს: „ეს ვარლამის ქუჩაა, ეს გზა ტაძრამდე ვერ მიგიყვანთ“ – ამას კი მოსდევს ვერიკო ანჯაფარიძის პერსონაჟის ფინალური რიტორიკული შეკითხვა: „აბა რა გზაა ის გზა, რომელიც ტაძრამდე ვერ მიგვიყვანს?“...

ამ „მოქმედების აწმყოს“ შიგნით მოქმედება ქეთი ბარათელის წარმოსახვაში ვითარდება. წარმოსახვით მოქმედებას ორი დრო აქვს: ერთი, რომელიც დროით ემთხვევა მოქმედების აწმყოს (ოღონდ მისგან განსხვავებული ონტოლოგიური სტატუსი აქვს, ის წარმოსახვითია), მეორე კი ვითარდება წარსულში. ქეთი 8 წლისაა, ვარლამს (მსახიობი ავთო მახარაძე) კი ქალაქის მერად ირჩევენ. დროთა მონაცვლეობა ქრონოლოგიური არაა, ის იწყება აწმყოში, წყდება, როდესაც ქეთი სასამართლოს უყვება ვარლამის ამბავს, და უბრუნდება ისევ აწმყოს, რომელშიც წარსულის გადაფასების პროცესი იწყება.

ვარლამის პროტოტიპი სავარაუდოდ მრავალი ფიგურისგან შედგება, მაგრამ მთავარი მათ შორის ალბათ ლავრენტი ბერიაა (1899-1953 წ.წ.): ამიერკავკასიის ცკ-ის პირველი მდივანი, საქართველოს ცკ-ის პირველი მდივანი, მოგვიანებით სსრკ-ის შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრი. სხვებთან ერთად სწორედ ბერიაა პასუხისმგებელი დიდ ტერორზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ქეთის მამა, სანდრო ბარათელი, მხატვარია, რომელსაც ვარლამი თანამშრომლობას სთავაზობს, სანდრო კი ეთიკური (და ესთეტიკური) მოსაზრებებით ამ თანამშრომ-ლობაზე უარს ამბობს. ვარლამსა და ინტელიგენციას შორის კონფლიქტის ფორმალური მიზეზი (რეალურად – საბაბი) გახდება ღვთისმშობლის ეკლესია, რომელშიც ლაბორატორიაა მოთავსებული (აი ის, ვერიკოს პერსონაჟი რომ ეძებს ფილმის ბოლოს). ლაბორატორიული ცდები უნიკალურ ძეგლს, ღვთისმშობლის ტაძარს აზიანებს. ბარათელი უფროს მეგობრებთან, მოსესა და მარიამთან ერთად ვარლამს სთხოვს ცდების შეჩერებას და ლაბორატორიისათვის ახალი შენობის აგებას. ვარლამის ხელისუფლებას და ძველ ინტელიგენციას შორის წოდებრივი განსხვავებაცაა: მოსე და მარიამი „ცისფერსისხლიანები“ არიან, ვარლამი კი „არავიძეა“ (მიუხედავად ამისა, ირკვევა, რომ ის და ბარათელი შორეულ ნათესავებადაც ერგებიან ერთმანეთს). უარის შემდეგ ბარათელი და მისი ოჯახი რეპრესიების მსხვერპლნი ხდებიან.

„საქართველო სტალინიზმის მსხვერპლი იყო“. ეს რუსეთის, უფრო ფართო გაგებით კი არაქართველი აუდიტორიის მისამართითაა ნათქვამი, მაგრამ „მონანიების“ ისტორიულ ნარატივს ქართველი ადრესატიც ჰყავდა. საქართველო თავის თავსაც ელაპარაკებოდა და განუმარტავდა საკუთარ ისტორიას და მის საზრისს. ასე იქმნებოდა ისტორიული ნარატივი: ისტორიის ინტერპრეტაციის ტრაგიკული მოდუსი, რომელიც საქართველოს XX საუკუნის ისტორიაზე, საბჭოთა ისტორიო-გრაფიისაგან რადიკალურად განსხვავებულ წარმოდგენას გვიქმნის.

„მონანიების“ მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი, სიახლე იყო მომავლისაკენ მიმართული მზერა, მომავლის პროექცია. ამ მომავლის სიუჟეტს ორი პროტაგონისტი (პროტაგონისტი – კინოფილმის ან ლიტერატურული ნაწარმოების მთავარი გმირი.) ჰყავდა: ეს მთავარი გმირები სწორედ მსხვერპლების და ჯალათების შთამომავლები იყვნენ: ქეთი ბარათელი და არავიძეების ოჯახი. ამ ოჯახის უმცროსი წევრი, თორნიკე (მერაბ ნინიძე), ბაბუამისის შესახებ სიმართლის გაგების შემდეგ ბაბუამისისავე ნაჩუქარი თოფით იკლავს თავს, ხოლო აბელი (ავთო მახარაძე) უკვე თავისი ხელით ამოთხრის მამამისის გვამს და ხევში გადააგდებს. მომავლის ეს ოპტიმისტური პროექცია „მონანიების“ ბოლო სცენაში ნაწილობრივ მაინც დგება ეჭვქვეშ. ბოლო სცენიდან ვიგებთ, რომ ეს იმედი – როგორც მთელი მოქმედება – ქეთი ბარათელის ფანტაზიაში ხდება. სინამდვილეში კი ქეთი ბარათელი ტორტების ცხობით ირჩენს თავს, მაშინ, როდესაც ნომენკლატურის მემკვიდრეობა დანაშაულზე დამყარებული ფინანსური, სოციალური და სიმბოლური კაპიტალის მესაკუთრეა.

ეკლესიის, როგორც ტრადიციული, ძველი, რევოლუციამდელი საქართველოს მეტაფორა აბულაძის ფილმში თითქოს უფრო სწორხაზოვანია, მაგრამ არცაა მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი. ერთი მხრივ, ჩვენ არ ვიცით, შემორჩა თუ არა ღვთისმშობლის ეკლესია, რომელსაც ვერიკო ანჯაფარიძის პერსონაჟი ეძებს. ვიცით ასევე, რომ ვარლამის ქუჩით ამ ეკლესიასთან ვერ მივალთ (ეს სწორი და არასწორი გზის თემა მოგვიანებით აიტაცა ზვიად გამსახურდიამ). მეორე მხრივ, ტორტებს, რომელთაც ქეთი ბარათელი აცხობს, ეკლესიის ფორმა აქვს. „სულიერების“ მეტაფორამ მატერიალური, კომერციული ფორმა მიიღო, სულიერება არის ეკონომიკური კაპიტალის ერთ-ერთი წყარო, თან ისეთის, რომელიც ასე თუ ისე საბჭოთა ჩრდილოვანი ეკონომიკის ნაწილია.

1. სასწავლო მასალა

მასწავლებლისთვის განკუთვნილი რესურსები: ყველა ის რესურსი, რომელიც საჭიროა აქტივობის დასანერგად.

მოსწავლისთვის განკუთვნილი რესურსები:

ონლაინ რესურსები:

სათაური	„მონანიება“
URL:	https://csogeorgia.org/ge/post/monanieba-filmi-represirebul-adamianebze

1. ისტორიული აზროვნება

რომელ ისტორიულ აზროვნების კლასიფიკაციაზე გადის მოცემული აქტივობა ყველაზე მეტად? (აირჩიე მხოლოდ ერთი ან ორი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია)

ისტორიული აზროვნება	მტკიცება (როგორ განავითარებთ თქვენს აქტივობაში ამ ისტორიული აზროვნების მახასიათებელს?)
მნიშვნელობა	რატომ გადაიღო თენგიზ აბულაძემ ფილმი „მონანიება“? რა უნდოდა რეჟისორს რომ ეჩვენებინა ამ ფილმის საშუალებით? როგორი გამოხმაურება მოყვა ამ ფილმს სსრკ-სა და მის საზღვრებს გარეთ? არის თუ არა ხსენებულ ფილმში ისტორიაზე დაფუძნებული პროპაგანდა? რა სახით?
ცვლილება და უწყვეტობა	რა ისტორიული პროცესები და დრამაა წარმოჩენილი ფილმში? როდის დაიწყო ეს პროცესი და სადამდე გაგრძელდა? როგორ ცვლილებებს მოასწავებდა ეს ფილმი, პოზიტიურს თუ ნეგატიურს? რა სახის პროპაგანდა იკვეთება?
მიზეზობრივი კავშირი	რა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობდა ფილმის სიუჟეტის მიხედვით მასში აღწერილ ისტორიულ პროცესსა და ადამიანების ტრაგედიებს შორის?
შედეგების ანალიზი	რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა სსრკ-ში „მონანიებას“? შედეგებიდან გამომდინარე, რომელი მანამდე არსებული ნორმებისა და ფასეულობების წაშლას და ახლის დანერგვას ექნებოდა ადგილი საბჭოთა და ქართულ საზოგადოებაში? რა ფასეულობების პროპაგანდაა აღნიშნულ ნაწარმოებში?

პერსპექტივები	რა მომავალი შეიძლება ჰქონოდა მონანიებულ საზოგადოებას? როგორ შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები შემდგომ? რა პერსპექტივები ჰქონდა და რა ცვლილებები გამოიკვეთა ქართულ საზოგადოებაში?
მსგავსებები და განსხვავებები	ფილმის მიხედვით, რა იყო მსგავსი და განსხვავებული საქართველოს 1930-იან და 1980-იან წლებს შორის?
ისტორია არის წარსული	ისტორია არის წარსული, რომლის დავიწყება არ შეიძლება
წყაროები	წყაროები შესაძლებელია წერილობითიც და ვიზუალურიც
მაგალითები და ინტერპრეტაციები	ამ ფილმის რომელი იდენტური მაგალითების მოყვანა შეიძლება გაკვეთილზე? რას ფიქრობთ და როგორ ინტერპრეტაციებს შემოგვთავაზებთ ფრაზაზე: „ეს გზა ტაძრამდე მიგვიყვანს?“

უნარები:

რომელ უნარებს მოიცავს თქვენი სასწავლო აქტივობა? (აირჩიეთ მხოლოდ ის უნარები, რომლებიც საკვანძოა აქტივობაში).

უნარები	მტკიცებულებები (როგორ ავითარებს სასწავლო აქტივობა/რესურსი უნარებს)
დამოუკიდებლად სწავლა	
ანალიტიკური და კრიტიკული	ისტორიული აზროვნების განვითარება, მასზე მსჯელობა და პროცესებზე დაკვირვება გამოიწვევს ანალიტიკური უნარისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.
აქტიური მსმენელი და დამკვირვებელი	
ემპათია	გაყოფილი საზოგადოების მიმართ ემპათია
მოქნილობა და ადაპტირება	
თანამშრომლობა	წყაროებზე მუშაობის პროცესში, კონკრეტულად გაკვეთილზე ვიზუალურ და წერილობით წყაროებზე მუშაობისას, მოსწავლეებს შორის ვითარდება თანამშრომლობის უნარი.
კონფლიქტების მოგვარება	

ღირებულებები და დამოკიდებულებები

რომელ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს მოიცავს ეს სასწავლო აქტივობა

	ფასეულობები	დამოკიდებულებები
	• ადამიანის უფლებები	• კულტურული განსხვავებულობა
	• კულტურული უფლებები	• პატივისცემა
	• მრავალფეროვნება	• სამოქალაქო აზროვნება
	• სენსიტიური და საკამათო ისტორია	• პასუხისმგებლობა
	• ტრანსნაციონალური პერსპექტივა	• თვითდარწმუნება
	• მდგრადობა	• შემწყნარებლობა გაურკვევლობის მიმართ
	სხვა (ახსენი)	სხვა (ახსენი)

"...breathtaking..." —Sheila Benson, LOS ANGELES TIMES
"...audacious..." —Judy Stone, SAN FRANCISCO CHRONICLE
"...intriguing..." —THE NEW YORK TIMES
REPENTANCE
FESTIVAL DE CANNES
CANNES CLASSICS
2021 OFFICIAL SELECTION
Winner Cannes 1987 Special Jury Prize
THE CANNON GROUP, INC. presents
in association with SOVEXPORTFILM, a GRUZIAFILM production
A film by TENGIZ ABULADZE REPENTANCE AVTANDIL MAKHARADZE · IA NINIDZE
MERAB NINIDZE · ZEINAB BOTSVADZE · KETEVAN ABULADZE · EDISHER GIORGOBIANI
Musical selection NANA DJANELIDZE Production designer GEORGY MIKELADZE Director of photography MIKHAIL AGRANOVICH
Written by NANA DJANELIDZE, TENGIZ ABULADZE and REZO KVESELAVA Produced by GRUZIAFILM STUDIO
Directed by TENGIZ ABULADZE
CANNON

მონანიება


რეჟისორებული ადამიანები
მონანიება

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ᲛᲝᲜᲐᲜᲘᲔᲑᲐ